ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 9 მაისი 1998 №68 (603) ფასი 50 თეთრი

## მორჩა: ქინქლაძე აიაქსელია!

### მეც დავისვენე და თქვენც დაგასვენეთ

**პირველად ეს გვითხრა ამსტერდამის „აიაქსის“ ახალშეძენილმა ქართველმა ნახევარმცველმა. დიახ, როგორც იქნა, აღსრულდა, გიორგი ქინქლაძე აიაქსელია და ამიერიდან ამსტერდამელთა მეორე ქართველის — შოთა არველაძის პარტნიორი იქნება. გუშინ, როცა ჰოლანდიაში სამი საათი იდგა, გიო ქინქლაძემ „აიაქსთან“ კონტრაქტი გააფორმა. გააფორმა და ჯიბეში მობილური ტელეფონი აუწკრიალდა...**



— გისმენთ?

**— გიო, გამარჯობა, „სარბიელი“ გაწუხებს თბილისიდან.**

მერე ის სიტყვები, ზემოთ რომ მოგახსენეთ. შემდეგ კი...

— პირველებმა მგონი თქვენ გაიგეთ — გვითხრა გიომ —, ჯერ მანჩესტერში გულშემატკივრებმაც არ იციან „აიაქსთან“ თუ კონტრაქტი გავაფორმე.

**— რამდენწლიანს მოაწერე ხელი?**

— სამს პლუს ერთზე შევთანხმდით. ხელმოწერა წყნარ ვითარებაში მოეწყო. მე, „აიაქსის“ პრეზიდენტი, კლუბის ფინანსურ საქმეთა გამგებელი და კიდევ რამდენიმე კაცი ვიყავით. პრესკონფერენცია, მაისურის საზეიმო გადაცემა და სხვა, კვირას შედგება, „აიაქსის“ მორიგი მატჩის მერე.

**— პირობებით კმაყოფილი იქნები.**

— კი, ყველაფერი მაკმაყოფილებს. როგორც წესი, ბინასაც მომცემენ და „ოპელის“ მარკის მანქანასაც. საპრეტენზიო არაფერი მაქვს.

**— „სიტის“ უფროსობა რა ჭკუაზეა?**

— რა ვიცი. ისე, საწადელს ბოლომდე მაინც ვერ მიაღწიეს. „აიაქსს“ 5,5 მილიონ გირვანქას სთხოვდნენ, საქმეს შეგნებულად აჭიანურებდნენ, მაგრამ ჰოლანდიელებმა 5 მილიონზე დაიყაბულეს.

**— პერსპექტივა როგორ გხიბლავს?**

— ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ახალ კლუბში გადავედი. თორემ მეც კარგად ვიცი და „აიაქსის“ ხელმძღვანელობამაც, ოთხი წელი აქ არ გამაჩერებენ, ალბათ, უფრო სარფიანად გამყიდიან. „აიაქსიდან“ გაცილებით მეტი შანსია, ევროპის სხვა ძლიერ კლუბში გადავიდე.

**— ოლსენთან აღარ გილაპარაკია?**

— არა, მწვრთნელს აღარ შევხვედრივარ. კვირასაა დაგეგმილი მასთან შეხვედრაც და სამომავლო გეგმებზე საუბარი.

**ძოგა ინასარიძე**

## ფედერაცია და დეპარტამენტი შერიგდნენ

### გუშინ აღმასკომმა მანდატები გაანაწილა

24 ივლისს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა ჩატარდება. იმ დღიდან ფედერაციას ახალი, კანონიერი პრეზიდენტი ეყოლება, რომელსაც სულ მცირე, ოთხი წლით მოუწევს პასუხისგება ქართული ფეხბურთის ავ-კარგზე. ყოველივე მაინც ახლო მომავლის საქმეა, ივლისამდე კიდევ ორი თვეა დარჩენილი. გუშინ კი ფედერაციის აღმასკომი ყრილობამდე ბოლოჯერ შეიკრიბა.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მაინც მანდატების განაწილება გახლდათ. ვის რამდენი ერგება — აი, რა იყო სადაო, მაგრამ გუშინ ამასაც წერტილი დაესვა. მანდატები განაწილდა და აწი ვერც ვერავინ შეძლებს, სხვა პირობები მოითხოვოს.

იხილეთ მესამე გვერდი

ბიბლიოთეკა

## ნემსაძემ და ქავთლაშვილმა ჩემპიონურად მოილხინეს





გუშინ შვეიცარიის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურში „გრასჰოპერმა“ ციურიცული დერბი 2:1 მოიგო. მოიგო და ჩემპიონობაც გაინაღდა. დარჩენილ სამ თამაშში ციურიხელთა მდევარი „სერვეტი“ ათქულიან ჩამორჩენას ვერანაირად ამოქაჩავს.

კალიათა წლევანდელ წარმატებაში წვლილი ქართველებმაც დაიდეს, რომელთაც წუხელ ვერაფრით დავუკავშირდით, რადგან საჩემპიონო მოლხენა შვეიცარიელებს გამთენიამდე გაუგრძელდათ.

## მარგვეთი გავარდა!

**ჩემპიონატის გასრულებამდე სამი ტური კი დარჩა, მაგრამ ზესტაფონის „მარგვეთს“ აღარაფერი უშველის. მარგვეთი მესამე გუნდია, ვიცე-ჩემპიონი რომ ყოფილა და უძლიერესებს გამოაკლდა**



გუშინწინ ვაკეში: „ლოკომოტივი“ — „დინამო“. არჩევაძემ (№7), ყაველაშვილმა (№8) და ვოლკოვმა კარი მშრალად შეინახეს

### 27 ტური

| | | |
|---|---|---|
| ლოკომოტივი | 0:0 | დინამო |
| გურია | 2:0 | სამგურალი |
| სიონი | 7:1 | მარგვეთი |
| ბათუმი | 1:0 | ოდიში |
| თსუ | 0:1 | მერანი |
| ვიტ ჯორჯია | 1:0 | რუსთავი |
| მაღაროელი | 1:0 | დილა |
| კოლხეთი | 2:2 | ტორპედო |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 21 | 3 | 2 | 71:12 | 61 |
| ბათუმი | 26 | 16 | 6 | 4 | 54:17 | 54 |
| კოლხეთი | 27 | 16 | 6 | 5 | 52:22 | 54 |
| ტორპედო | 26 | 13 | 9 | 4 | 42:22 | 48 |
| ოდიში | 26 | 13 | 4 | 9 | 35:40 | 43 |
| თსუ | 27 | 11 | 6 | 10 | 32:25 | 39 |
| ლოკომოტივი | 27 | 10 | 8 | 9 | 30:34 | 38 |
| დილა | 27 | 10 | 4 | 13 | 24:30 | 34 |
| მერანი | 27 | 11 | 7 | 9 | 34:32 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 26 | 7 | 9 | 10 | 23:30 | 30 |
| სიონი | 27 | 9 | 6 | 12 | 43:36 | 28 |
| რუსთავი | 26 | 8 | 3 | 15 | 25:38 | 27 |
| სამგურალი | 27 | 7 | 6 | 14 | 25:48 | 27 |
| გურია | 26 | 5 | 8 | 13 | 26:48 | 23 |
| მაღაროელი | 26 | 5 | 5 | 16 | 21:53 | 20 |
| მარგვეთი | 27 | 2 | 6 | 19 | 19:69 | 12 |

„დინამოს“ და „სიონს“ დაკლებული აქვთ 5-5 ქულა, „მერანს“ — 7

## ყოჩები ისევ ყოჩობენ, დათვები კი დატორეს



გუშინწინ ვარკეთილში, გუშინ კი ვაკეში ჩვენებური რაგბი გაჩაღდა — ეროვნული ჩემპიონატი დაგვეწყო. ვისი გამარჯვებაც სავარაუდო იყო, მოიგო კიდეც, ასე რომ სენსაცია არ მომხდარა, ოთხმა უძლიერესმა — ყოჩებმა, არმიის სპორტკლუბმა, „გუმარმა“ და ლოკომოტივყოფილმა „ექსპრესმა“ ქულების დათვლა დაიწყეს.

იხილეთ მერვე გვერდი

## ქალები ჯერ ყოჩაღად არიან

უკვე ვიუწყებოდით, რომ საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრები ნინო ლუარსაბიშვილის, მაკა ჩახნაშვილისა და ირინა კაკულიას შემადგენლობით ამ დღეებში ანთალიაში, ფედერაციის თასზე ევრო-აფრიკული ზონის მეორე ჯგუფიდან პირველში გადასასვლელად იბრძვის. ჩვენმა ჩოგბურთელებმა ჯერ მშრალად — 3:0 დაამარცხეს მოლდოვის გუნდი, მერე 2:1 ბოსნია-ჰერცოგოვინას მოუგეს, მესამე შეხვედრაში კი ისევ მშრალად ისლანდიას აჯობეს. დარჩენილი ორი შეხვედრის მოგების შემთხვევაში ჩვენები ავტომატურად მოიპოვებენ პირველ ლიგაში დაწინაურების უფლებას.

ფოთი
„ფაზისი“
8 მაისი

**კოლხეთი 2:2 ტორპედო**

**კოლხეთი:** ქვაჩახია, მიქაბერიძე, ტორჩინავა, გიორგაძე, ქუნთელია, ღლანიძე, დ. ნოზაძე, ინალიშვილი (სუხიაშვილი 76), ე. გვასალია, ქუტიძე, მ. ქობულაძე
**ტორპედო:** მამარდაშვილი, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე (თურმანიძე 86), დ. ჯანაშია (გ. შენგელია 87), მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 75), კ. მეტრეველი
0:1, 0:2 მეტრეველი (49, 60), 1:2 ნოზაძე (69პ), 2:2 ქობულაძე (82)
**გაფრთხილება:** შეყრილაძე, გიორგაძე, ჩხაიძე, ქუნთელია
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

# ვითომ ასე სჯობდა?

**იუზა კაციტაძე** ფოთიდან

სასწაული თუ არ მოხდა, „დინამო“ მეცხრედაც გაჩემპიონდება. „მარგვეთის“ საქმე კი წასულია. ჯგუფიდან ჩამოქვეითებას ველარ ასცდება. გათამაშების გასრულებამდე ორი კვირაღაა დარჩენილი, მაგრამ გარკვეულად სხვას ვერაფერს იტყვის კაცი. ჯერჯერობით უცნობია ვერცხლ-ბრინჯაოს ბედიც: პრეტენზიას პრიზიორობაზე „ბათუმი“, „კოლხეთი“ და „ტორპედო“ აცხადებდნენ და საბოლოოდ ყველაფერს, ალბათ, მათი ურთიერთობა გადაწყვეტს. ეს საშინაო საქმეებს რაც შეხება, საგარეოში კი „ბათუმს“ უკვე დაბევებული აქვს ევროპაზე თამაში, ჩვეულად თასების თასზე მოუწევს ასპარეზობა. რჩება უეფა და ინტერტოტო. ამათი საგზურების მაძიებელნი გუშინ „ფაზისზე“ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. წინასამატჩო აჟიოტაჟზე ბევრი დაიწერა, ამიტომაც ამაზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ, თუმცა ერთს მაინც ვიტყვით — ფითოში საგანგებოდ მოემზადნენ მოსალოდნელი გართულებებს თავიდან ასაცილებლად. განსაკუთრებული ყურადღება იმ ტრიბუნისკენ იქნა გადატანილი, სადაც „ტორპედოს“ ფანებს მოეყარათ თავი. ისინი მართლაც ბლომად იყვნენ, მაგრამ ადგილობრივებთან ვერ მოვიდოდნენ. ასეთი დასწრება სტადიონზე თვით „დინამოსთანაც“ არ ყოფილა. თუმცა, რიცხობრივ უმცირესობაში მყოფნიც ქუთაისელები ქომაგობაში სჯობნენ კიდეც დამხვდურთ.

მოლოდინისამებრ, თამაში მეტად მძაფრი, უშელავათო გამოდგა. მიუხედავად ამისა, უძლიერესი შემადგენლობა არ ჰყავდათ (ტრავმირებულები იყვნენ წივწივაძე, გიორგობიანი, ჩხენკელი) მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს, სტუმრებამც იგივეთი უპასუხეს. მესამე წუთზე აზარტში შესულ შეყრილაძეს არბიტრმა ღლანიძის წაქცევა არ აპატია — გააფრთხილა. მაგრამ მალევე ანალოგიურ ეპიზოდში უკვე ღლანიძე რომ იყო დასასჯელი, წაუყრუა. ხიფათი პირველად ქუთაისელებმა იგრძნეს. მეათე წუთზე ნოზაძემ მარჯვნიდან მეორედ მიაწოდა კუთხური, მიქაბერიძემ ტორპედოელ მცველებს აჯობა და ახლოდან თავური მოასწრო, მაგრამ ოდნავ ააცილა. 21-ე წუთზე უკვე კოლხებს შეექმნათ აშკარა საფრთხე. ჯანაშიამ ხუჯაძისგან მიღებული კარიდან წინ გამოსულ ქვაჩახიას თავზე გადაუგდო. გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ბოლო მომენტში ისევ გოლკიპერმა იმარჯვა, ვიდრე ჰაერში კარის ხაზს გადაკვეთდა, ბურთს დაეწია და უკან მოიგერია. მერე ქობულაძემ და მეგრელაძემ შორეული დარტყმებით დააფრთხეს მეკარეები. 36-ე წუთზე მასპინძლებმა ზედიზედ ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. გიორგაძის ჩაწოდებულს სამეკარეოს კუთხეში ქობულაძე დაუხვდა, მაგრამ მამარდაშვილმა დარტყმა დაუფარა. თითქმის იქვე მიქაბერიძის დაბალმა ძლიერად დატყმულმა კარის ძელს სულ ახლოს ჩაუქროლა. ვალში არც სტუმრები დარჩენილან. ხუთი წუთის შემდეგ ქვაჩახიამ იხსნა თავისიანები მეტრეველის დარტყმისგან. ტაიმის ბოლოსკენ ისევ ფოთელებს მიეცათ შანსი. ტორპედოელებმა საჯარიმო ხაზის წინ მიქაბერიძე წააქციეს. ღლანიძემ მოჭრილი დაარტყა, მაგრამ შუა კარში მოუვიდა, იქ, სადაც მამარდაშვილი იდგა. ასე, ორმხრივ იერიშებში გაილია პირველი ნახევარი. დაძაბულობის მიუხედავად თამაშში რაიმე ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

ექსცესებით აღსავსე მეორე ტაიმი გამოდგა. თუმცა ჯერ ქუთაისელთა გოლებზე ვთქვათ. ორივე მეტრეველმა გაიტანა, თანაც ისე, როგორც მაღალი დონის ოსტატს შეშვენის. არაჩვეულებრივი სილამაზის გახლდათ პირველი. მეტრეველის ერთ დარტყმას ქუტიძე გადაეფარა მკერდით, მაგრამ ცოტაც და ბურთი ისევ მეტრეველისკენ წავიდა. მანაც მიწაზე დაშვება არ აცალა და 15 მეტრიდან უკუვარდნაში ქვაჩახიას მარჯვენა კუთხეში აულებელი დაურტყა. მეორედ მეტრეველმა დასწრებაზე ითამაშა. ხუჯაძის საჯარიმოდან დარტყმული კოლხთა მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ სლავამ დაამატა.

„კოლხეთი“ ის გუნდი არ არის, პრინციპულ მატჩში მარცხს რომ იოლად შეეგუოს. ფარ-ხმლის დაყრას მასპინძლებმა ისევ გაბრძოლება არჩიეს და თუმცა ქაოსურად, მაგრამ დიდი ძალებით გადავიდნენ ქუთაისელთა კარის შტურმზე. 65-ე წუთზე კოლხები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ტორპედოელმა მცველმა ხელით ითამაშა თავის საჯარიმოში. არბირტს პენალტი რომ ვერ დასტყუეს, აუიხრდნენ. ალყაში მოქცეულ ლაცაბიძეს მგონი მოხვდა კიდეც ერთი-ორი. ინციდენტს რეაგირება არ მოჰყოლია. სამი წუთიც გავიდა და გიორგაძემ ქუთაისელთა საჯარიმოში ჩააწოდა, გვასალიამ უხერხული მდგომარეობიდან ბადეში მოათავსა ბურთი. ლაცაბიძემ არ ჩათვალა — კოლხმა თავურს ხელი მოახმარაო. აქ უკვე ტრიბუნებიც აირია და სიტუაცია სტადიონზე უკიდურესობამდე დაიძაბა. კოლხთა ქომაგნი აღარც სათადარიგო ტორპედოელებს მოერიდნენ, სკამიდან წამოყარეს და თავშესაფრის ძებნაში ისევ წესრიგის დამცველებმა იმარჯვეს. ხალხი დააშოშმინეს და თამაშიც გაგრძელდა. ფოთელები ისევ და ისევ წინ მიილტვოდნენ. მათ ერთი ბურთი მალე გაქვითეს. ნოზაძე ხატოვნად წაიქცა „ტორპედოს“ საჯარიმოში და ლაცაბიძემაც უმალ დანიშნა პენალტი (თამაშის შემდეგ არბიტრი იტყვის, ვაშაკიძე მაისურზე ქაჩავდა ნოზაძესო). ქუთაისელებსაც ჰქონდათ პროტესტის საბაბი, მაგრამ მსაჯი გადაწყვეტილებას აღარ შეცვლიდა... „ტორპედოს“ აქამდე ფოთში არ მოეგო და გუშინ ნავსის გატეხვა შეეძლო. ახლოსაც იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ინიციატივის დათმობა სტუმრებს სიკეთეს ვერ მოუტანდა. მე-80 წუთზე გვასალიას ახლოდან თაური კი გაუცუდდა, მაგრამ ორიოდ წუთში ქობულაძემ ივარგა, საჯარიმოს გარედან ზუსტად გაისროლა და გააყაიმა. უკანასკნელ წუთზე მეტრეველმაც იგივე გაიმეორა. ჰეთ-თრიქსაც შეასრულებდა, მაგრამ ქვაჩახიამ იმარჯვა, მუშტით კუთხურზე მოიგერია ბურთი. ასე რომ, 2:2. ფოთელებმა, დიდ სკანდალს, ასე სჯობდაო. ვითომ?

თბილისი
„26 მაისი“
7 მაისი

**ლოკომოტივი 0:0 დინამო**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ამბიძე, ერაძე (ბაქრაძე 46), ბარნოვი, კაკუბავა (გ. კვეტენაძე 46), ქვარცხავა, ზ. არჩვაძე, ყაველაშვილი, კოტორაშვილი, გოდერძიშვილი, ზამთარაძე (ქველაძე 84)
**დინამო:** ზოიძე, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, ა. სახვაძე, კინკაძე, ალექსიძე, აშვეთია, მუჯირი, ხომერიკი (წიტაიშვილი 53)
**გაფრთხილება:** ამბიძე
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

# ვისთვის სიხარული ვისთვის საფიქრალი

**გიორგი ვაშაკიძე**

ქართული ფეხბურთი, რომ რეგრესის გზაზე დგას ეს არახალია, მართლაც ვაკეში გამართული დერბი ამის სრული დასტურია. ეჰ, ჯერჯერობით უნდა ვიოცნებოთ, რომ ჩვენშიაც დადგება დრო, როდესაც სანატრელი არ გაგვიხდება უეფას თასის ფინალის დარი თამაშები. სიმართლეს თვალებში შევხედოთ და ვაღიაროთ, რომ ჩვენ ასეთი თამაშით ევროპაში არაფერი გვესაქმება.

შეხვედრის დაწყების წინ გუნდებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ლოკომოტივის ტექნიკური დირექტორის ხსოვნას. დინამომ თავიდანვე ხელთ იგდო თამაშის სადავეები, მაგრამ რკინიგზელები მედგრად დახვდნენ, მათი დაცვითი ხაზი აულებელ ციხესიმაგრეს დაემსგავსა.

ჩემპიონი მთლიანად უდიდეს უპირატესობას ფლობდა, მაგრამ რად გინდა. ქაოსური შეტევები, უჯიგროდ მოქმედი ფეხბურთელები. ერთადერთი მუმუ თუ ცდილობდა რაღაცას თავისი შორეული დარტყმებით.

ერთადერთი დასამახსოვრებელი მომენტი თამაშის ბოლოს შეიქმნა, როდესაც აშვეთიამ გოლი გაიტანა, მაგრამ გუნთაძემ სამართლიანად დააფიქსირა თამაშგარე მდგომარეობა. საბოლოოდ უფერული და ყოველგვარი ინტერესმოკლებული თბილისური დერბი ფრედ 0:0 დასრულდა.

„დინამოს“ თავკაც ხურცილავას კი ბევრის გაკეთება მოუწევს, თორემ ასეთი უნიათო თამაშით ჩემპიონთა ლიგა ოცნებადვე დარჩება.



ჩემპიონატის ბომბარდირმა ლევან ხომერიკმა ამჯერად ვერ გაიტანა

ლანჩხუთი
„ევგრაფი შევარდნაძე“
7 მაისი

**გურია 2:0 სამგურალი**

**გურია:** ვარდანიძე, ფაცურია, კ. კვეკვესკირი, ლორია, ბაბუნაშვილი, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი, ქიქავა, პატარაია, ბუკია (გოგიჩაიშვილი 46), ბულუხია
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, გ. თევზაძე (შ. ლონლაძე 46), ფხაკაძე, ჯავახაძე, კ. ჯანაშია, მოსიკაშვილი, გ. ვაშაკიძე, ვ. ჯანელიძე, ხურცილავა (ზ. ქუთათელაძე 66), თევდორაძე (მანაგაძე 70)
1:0 კ. კვეკვესკირი (61პ), 2:0 თიბილაშვილი (85)
**მსაჯი:** ე. სილაგავა (თბილისი)

# სოკო გურიაშიც ბევრია

**იუზა კაციტაძე** ლანჩხუთიდან

ხელმოკლეა, აუტანლად უჭირს, ჯგუფიდან გავარდნა კი მაინც არ უნდა. რამდენია ჩვენთან ასეთი? მეტი თუ არა, მესამედს არ დააკლდება. და ამ მესამედში „გურიაც“ შედის. გუნდი, რომელიც თასსაც დაპატრონებია და ჩემპიონობაზეც დებდა თავს. წახდნენ გურულები. ლანჩხუთში ფეხბურთი აღარავის ანაღვლებს. გუნდიც დაკნინდა საქმე სამათხოვროდ შეექნა. გადათამაშებას თავი დავანებოთ, გურულებს ჯგუფიდან პირდაპირ გავარდნის საშიშროება ემუქრებათ, ამიტომაც გუშინწინდელ თამაშს მათთვის, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. თავი ქუდში გვაქვსო. ჯერ ვერც წყალტუბოელები იტყვიან და ბუნებრივია, „სამგურალსაც“ ბრძოლა და წარმატებაზე ფიქრი მართებდა. ბევრის, თუმცა, რაღა ბევრის, მატჩს 150 მაყურებელი ესწრებოდა, გასაკვირად, თამაში ჟინმოკლებული, ულიმლამო გამოდგა, სტუმარ-მასპინძელს ძირითადის რამდენიმე მოთამაშე აკლდა და იქნებ ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი... მიუხედავად ამისა, თამაშის მსვლელობისას მაინც შეიქმნა რამდენიმე ისეთი ეპიზოდი, გასახსენებლად რომ ღირს.

მასპინძლებს მესამე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. ფრანგიშვილმა საკუთარი საჯარიმოს წინ პარტნიორისგან მიღებული ვერ დაიმორჩილა, ბურთი ბაბუნაშვილს ჩაუვარდა, რომელმაც რამდენადმე წინ წაიწია და კარისკენ დაარტყა, მაგრამ ააცილა. ოთხ წუთში ისევე ბაბუნაშვილმა თითქმის იმავე პოზიციიდან ისევ არ ამიცდესო, გვერდზე პატარაიას გადაულოცა, თუმცა ვერც მან იხეირა. მორიგი სახიფათო მომენტის შექმნას ნახევარ საათზე მეტი დრო დასჭირდა, მაგრამ ახლა უკვე გურულები გადაურჩნენ გოლს. სტუმართა სწრაფი კონტრშეტევისას თევდორაძემ გრძელი დიაგონალური პასით, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გაიყვანა მოსიკაშვილი. მან კი ვერ გამოიყენა მიცემული შანსი, მაღალი მოუვიდა. ამას ზაზა კვეკვესკირის შორიდან სახიფათოდ, მაგრამ ასევე არაზუსტად დარტყმული მოჰყვა და პირველი ტაიმიც მორჩა.

გუნდებს დიდად არც შესვენების შემდეგ გამოუჩენიათ თავი, სტუმრები იოლად უმკლავდებოდნენ ფიზიკურად მოუმზადებელ მასპინძლებს, იერიშს არ აცლიდნენ, მაგრამ, ბევრი იწვალეს თუ ცოტა, ლანჩხუთელებმა, როგორც იქნა „სამგურალის“ საჯარიმოში შეაღწიეს. ფხაკაძემაც ნებით თუ უნებლიეთ, ფეხი კი გამოსდო პატარაიას, რომელიც უმალ წაიქცა. არბიტრიც თითქოს ამას უცდიდა, 11-მეტრიანისკენ მიუთითა. კობა კვეკვესკირმა კარის მარცხენა კუთხე ამოირჩია, სტურუა კი მარჯვნივ გადაახტუნა. გარეგნულად ისე ჩანდა, გაშვებულმა წყალტუბოელები ააფორიაქა. მათ შეუტიეს კიდევაც მეტოქეს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა... 65-ე წუთი იყო მარცხნიდან იერიშში ჯავახაძე ჩაერთო, გოგიჩაიშვილს აჯობა და დაახლოებით 15 მეტრიდან ოდნავ მახვილი კუთხიდან დაურტყა ვარდანიძეს. მეკარემ მოიგერია, თუმცა წინ, ახლოს, სადაც თევდორაძე იმყოფებოდა. წყალტუბოელს დამატებას და გატანას არავინ უშლიდა, მაგრამ დასარტყმელად მოქნეული ცაცია ჰაერში გაუშეშდა, მერე ესღა მოიფიქრა, უკან გადასცა თავისიანს, ამასობაში კი გურულები გონს მოვიდნენ და სიტუაცია განიმუხტა. თევდორაძემ რომ აშკარად დაინდო მასპინძლები, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. გასაკვირი კი მართლაა. მით უფრო, რომ ოცი წუთის შემდეგ ლანჩხუთელებმა ერთხელაც არ უშელავათეს მეტოქეს, პატარაიამ შორიდან ჩაჰკიდა „სამგურალის“ საჯარიმოში ფხაკაძე ბურთს ვერ მისწვდა, ბულუხიამ კი შეგნებულად გატარა, ზურგს უკან თიბილაშვილი ეგულებოდა და მანაც არ დააღალატა. წყალტუბოელებმა ერთის გაქვითვა მოინდომეს, მაგრამ ხუთი წუთი არ ეყოთ. „გურიამ“ სამი ქულა „ჩაიხუტა“ და ალბათ, ცოტა შვებაც იგრძნო. ლანჩუთელებს „დილას“ და „მაგვეთის“ იმედიც აქვთ. თბილისში „დინამოსთან“ და „ვიტ-ჯორჯიასთან“ კი გაუჭირდებათ. მომდევნო ორი თამაში მათ სწორედ დედაქალაქში ექნებათ, ეს, რა თქმა თუ ხელმეორედ არ მოიწამლნენ, მატყუარა სოკო გურიაშიც ბევრი ყოფილა, ეს თავად გურულებმა გვითხრეს.

ბოლნისი
„თამაზ სტეფანია“
7 მაისი

**სიონი 7:1 მარგვეთი**

**სიონი:** დალაქიშვილი, ბერიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, კ. წიკლაური, რატარაშვილი (დ. მეტრეველი 70), გოგოლაძე, ჯ. წიკლაური (თვალაბეიშვილი 59), ჯაფარიძე, ჯაგიდისი (ჩომახიძე 77), გაგუა
**მარგვეთი:** ნიქაბერიძე (მერკვილიშვილი 46), გოგაძე, გურიელიძე, ჟვანია (კაკაბაძე 70), ლონლაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (ქურციკიძე 46), თ. გაბრიჭიძე, მალალურაძე, შავგულიძე
1:0 ჯაგიდისი (16), 2:0 ჯ. წიკლაური (29), 3:0 ჯაფარიძე (34), 4:0 ჯ. წიკლაური (45), 5:0 ჯაგიდისი (64), 6:0 ბერიძე (75), 6:1 გაბრიჭიძე (78), 7:1 მეტრეველი (89)
**მსაჯი:** თ. მაჭარაძე (ხონი)

# მომავალ შეხვედრამდე

**კობა ინასარიძე** ბოლნისიდან

აქამდე ჯგუფში დასარჩენად „მარგვეთი“ თეორიულ შანსს ინარჩუნებდა, ახლა კი ველარაფერი უშველის. ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ზესტაფონელები იმათ დაემშვიდობნენ, რომელთაც ორიოდ წლის წინ გარკვეული პერიოდი სათავეში ედგნენ და ჩემპიონატის დასასრულს მეორეობას დასჯერდნენ. როგორც იმავე წლის ზაფხულმა გვიჩვენა, იმერელთა ვერცხლის პრიზიორობაც შემთხვევითი ყოფილა, „მარგვეთმა“ ხომ უეფას თასზე სამარცხვინოდ წააგო მალტურ „სლიემასთან“. გასულ სეზონში ზესტაფონელებმა ინერციით გააგრძელეს თამაშები, ცხრილის შუაგულშიც დამკვიდრდნენ, ჯერაც მიმდინარე გათამაშებაში კი მეორე ჯგუფს უწიეს. ახლა მარგველებს ქულათა მაქსიმუმიც არ ეყოფათ. ისღა დარჩენიათ, მომავლისთვის საფუძვლიანად გაემზადონ და უკან მოსაბრუნებლად იბრძოლონ, ერთი წელი კი მეორეჯგუფელებს გაუამხანაგდებიან. 27 თამაშში 12 ქულის მოგროვებისთვის ნაღდად ალალია დაქვეითება, თუმცა საწყენიც კია, იმერელნი გუნდნაკლულნი რომ დარჩებიან. ამათ მაგივრობას, ალბათ, სამტრედიის „იბერია“ გასწევს, მაგრამ ეს ზესტაფონელთათვის რა ნუგეშია. მხოლოდ იმერეთის რეგიონი დაიმშვიდებს თავს — ერთის ნაცვლად მეორეს შეიმატებს. ყოველ შემთხვევისთვის, დღეს ასეა. მოსალოდნელია, „მარგვეთს“ „მალაროელიც“ მიჰყვეს, მოგვიანებით კი ამათი ბედი „სამგურალმაც“ გაიზიაროს. წინაპირობა არის, მაგრამ სამ ტურში რა მოხდება, ღმერთმა იცის. ასეთ სიტუაციაში იმერლებს დაფიქრება მოუწევთ, სამი გუნდი თუ გაუვარდათ, საშველი აღარ ყოფილა.

რაც შეეხება ბოლნისურ მატჩს, ბევრის დაწერას აზრიც არა აქვს. მასპინძლებს ყველანაირი, საფეხბურთო თუ არასაფეხბურთო უპირატესობა ჰქონდათ, ბურთებიც პანტაპუნტით შეყარეს მარგვეთელთა კარში.

თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ბოლნისს ნასტუმრებმა და ფედერაციისგან გაუფრთხილებელმა „მარგვეთმა“ ისიც არ იცოდა, მატჩები მაისში ხუთ საათზე რომ იწყება. მსაჯდელეგატმა 45 წუთით კი გადადეს თამაში, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არც ამას ჰქონდა, მატჩის ხუთზე დაწყება უკეთესიც იქნებოდა, ფეხბურთელები შინ ადრე მივიდოდნენ.

ჭიათურა
„მაღაროელი“
7 მაისი

**მაღაროელი 1:0 დილა**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, ოობაშვილი, ბინაძე, მ. გაბრიჭიძე, ბარამიძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
**დილა:** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი (თაყაძე 60), გ. ჩიტაია, ლომიძე, თარხნიშვილი, რევაზიშვილი, ს. გაგნიძე, ციცქიშვილი (აკოფიანი 55), შატაკიშვილი, ხარგუაშვილი (ბ. ჩიტაია 78), მინდიაშვილი
**გაფრთხილება:** მწყერაშვილი, შატაკიშვილი
1:0 კიპაროიძე (84)
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**ბესიკ ჯანგავაძე** ჭიათურიდან

# ჯერ ყველაფერი წინაა

ეს გუნდები წლეულს მეოთხედ ხვდებოდნენ. წინა სამ მატჩში გორელებმა ორჯერ იმარჯვეს და ერთხელ ფრეს დასჯერდნენ. თითოეულ მაჩში ბრძოლა უშელავათო და საინტერესო იყო. გორელებს კარგა ხანია, თავი ქუდში აქვთ და დარჩენილი თამაშები ფორმალობად იქცა. მათ აუტსაიდერი მასპინძლებისთვის კი ჯერ არაფერია დაკარგული, თავის გადარჩენის პრაქტიკული შანსი კიდევ არსებობს. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, თამაში უშელავათო იყოო, აი, საინტერესო კი ნამდვილად გამოდგა.

მატჩი თავიდანვე ნელ ტემპში დაიწყო, ფეხბურთელები ძალიან დუნედ, ინერტულად და უნიათოდ ირჯებოდნენ. გორელებმა პრესინგს მიმართეს და ცდილობდნენ, მეტოქის მიერ წამოწყებული იერიშები ცენტრშივე ჩაეხშოთ. მეტნაკლებად მიზანს კიდეც აღწევდნენ. მასპინძლებმა მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შეძლეს კარის მიმართულებით დარტყმა (თუმც თავი არც სტუმრებს მოუკლავთ). ჯერ იყო და შეყლაშვილმა ტაიმის მე-16 წუთზე სცადა შორი მანძილიდან ჭანტურიას კარის დალაშქვრა, მაგრამ საკმაოდ არაზუსტად. ათიოდ წუთში კი ჩემპიონატის მეორე წრეში ჭიათურელთა რიგებში ლიდერად მოვლენილმა სოსო ბარამიძემ ასევე შორი მანძილიდან მოსინჯა ჭანტურიას მზადყოფნა.

ერთადერთი, რითაც გორელებმა პირველ ნახევარში თავი დაგვამახსოვრეს (და როგორც შემდგომში გაირკვა, მთელ მატჩში), ტაიმის შუაწელში ლამაზად გათამაშებული, მრავალსვლიანი კომბინაცია იყო, რომელიც შატაკიშვილის, სუსტი, უხეირო დარტყმით დასრულდა. მისი მოგერიება გველესიანს ოდნავაც არ გასჭირვებია.

მეორე ნახევარში სტუმრებმა ტაქტიკა შეცვალეს, პრესინგს თავი ანებეს და მთელი ძალებით საკუთარი საჯარიმოს მისადგომების გამაგრებას მიჰყვეს ხელი. წინ ოდენ ხორგუაშვილი და გიორგი ჩიტაია დაიგულეს. ტრავმირებული მარლიშვილის ადგილზე მოთამაშე შატაკიშვილმა, რომელსაც მოედნის ცენტრის კონტროლი და შეტევათა ორგანიზება ევალებოდა, ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდა. ამასობაში ჭიათურელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და აშკარა ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობა მოიპოვეს. განსაკუთრებით აქტიური მათ რიგებში ბუიშვილი გახლდათ, რომელიც მასპინძელთა ყოველი შეტევის სულისჩამდგმელი იყო. მან არც შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმები დააკლო მეტოქის კარს და სწორედ მისი წაქცევისათვის დანიშნული ჯარიმიდან გაიტანეს ჭიათურელებმა მატჩის მიწურულს ერთადერთი გამარჯვების გოლი. კავთელაძემ ჯარიმიდან მაღალი ჩაჰკიდა საჯარიმოში, იქ კი კარისკენ ზურგით მდგარმა ტანმაღალმა კიპაროიძემ ბურთს კეფა დაუხვედრა და მეკარისგან მარცხენა ცხრიანში გადაგზავნა.

სათაყვანებელი გუნდის მეტად საჭირო გამარჯვებით აღფრთოვანებული ჭათურელ გულშემატკივართა დიდი ჯგუფი კარგა ხანს არ სცილდებოდა გასახდელთა მისადგომებს. ამ გამარჯვებამ მათ რწმენა ჩაუსახა, იმედი დაუბრუნა, იმედი უძლიერსთა მარაქაში დარჩენისა. ვნახოთ, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

ბათუმი
„დინამო“
7 მაისი

**ბათუმი 1:0 ოდიში**

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, ღლონტი, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭველიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, ზირაქიშვილი (აფხაზავა 70)
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ცქიფურიშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე (ისიანი 76), ჩადუნელი, ენდელაძე, ბარქაია, გელა ქორიძე, კალანდაძე
1:0 ჭიჭველიშვილი (69პ)
**გაფრთხილება:** ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, ქორიძე
**გაძევება:** ქორიძე (45)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**გოჩა ჯანაშია** ბათუმიდან

# დახმარება რად უნდოდა

„ოდიში“ კრიზისს რომ განიცდის, ეს ცხადზე ცხადია. ბოლო ოთხი ტურია, მათ მოგების სიხარული არ განუცდიათ და ამ ოთხ მატჩში ორი ქულის ამარა თანაც 11 გაშვებული გოლით ეწვივნენ ბათუმს. არც „ბათუმის“ საქმეა მთლად კარგად. რაც გუნდმა ევროპის საგზური დაიბევა, ჟინი დაკარგა, გოლების გატანა უფრო და უფრო უჭირს. გუშინწინ ადვილი შესაძლებელი იყო, „მერანთან“ წინა საშინაო მატჩის დარად, ზღვისპირელებს ვერ ეხეირათ, მაგრამ მეორე ტაიმში თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მიაღწიეს გამარჯვებას.

თამაში დაიწყო თუ არა, „ბათუმი“ საქმეს შეუდგა და მეორე წუთზე თორლაშვილის ჩვეული, თუმცა ოდნავ არაზუსტი დარტყმით პირველი ხიფათიც შეიქმნა სტუმართა კართან. ორიოდ წუთში მინდაძის მარცხნიდან ჩაწოდებულს და საჯარიმოში თავით მაჭუტაძის დაგდებულ ბურთს სიჭინავა დაუხვდა და ძლიერი აბრაგანიც დაჰკრა, მაგრამ კვლავ არაზუსტად. იქვე ისევ სიჭინავას შორიდან გასროლილი სოლოლაშვილის კარის ხარიხას ოდნავ გადასცდა.

„ოდიშმა“ პირველ დაბომბვას გაუძლო და მწვავე კონტრშეტევაც წამოიწყო. მე-10 წუთზე ერთობ აქტიურმა ჩადუნელმა მარცხენა ფლანგიდან შეუტია და მასპინძელთა მცველებისგან უმეთვალყურეოდ მყოფი კალანდაძე მოძებნა. ოდიშართა კაპიტანს უკეთ გარჯა მართებდა, მაგრამ ხუთიოდ მეტრიდან მის უხეიროდ დარტყმულს ტოგონიძე გადაელობა.

მასპინძლები პირველ ტაიმში ძირითადად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. 22-ე წუთზე კვლავ სიჭინავა (უკვე მერამდენედ) ურტყამდა 25 მეტრიდან, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე სოლოლაშვილს ვერაფერი მოუხერხა. ამის შემდეგ ზედიზედ ორჯერ კანტიძეს მიეცა გოლის გატანის შანსი. ჯერ მოედნის ცენტრიდან თორლაშვილის შორეული გადაცემის შედეგად ზირაქიშვილმა მარცხენა ფლანგზე მეურვე ჩამოიცილა და საჯარიმოში შერბენილ კანტიძეს ეფექტურად უპასა, მაგრამ მის მზაკვრულ დარტყმულს სოლოლაშვილი მედგრად დაუხვდა, დამატებულზე კი მაჭუტაძეს მცველებმა დაასწრეს. სამიოდ წუთში კანტიძემ საჯარიმო დარტყმა ჩინებულად გადაატარა ცოცხალ კედელს, მაგრამ „ოდიშის“ კარი ძელმა იხსნა.

43-ე წუთზე პირველი სადავო ეპიზოდიც იშვა. მარცხნიდან მინდაძის ჩაწოდებული ხელზე მოხვდა ცქიფურიშვილს. არა, ხელით განზრახ თამაში ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ პენალტის დანიშვნა შეიძლებოდა. ფანიაშვილს ამაზე რეაქცია არ ჰქონია და მაყურებლის გინების კორიანტელიც დაიმსახურა. იქვე მსაჯმა შეცდომის გამოსწორება სცადა და დროის გაყვანისთვის ლურსმანაშვილი გააფრთხილა. აშკარა იყო, მდგომარეობა თანდათან იძაბებოდა. აი, ტაიმის დასრულებისთანავე რაც მოხდა, ეს კი ალბათ, ფანიაშვილის სინდისზე უნდა იყოს. ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა სტუმრებმა მარცხენა ფლანგზე კონტრშეტევა წამოიწყეს, სადაც ჩადუნელმა კედელი გაითამაშა ენდელაძესთან და წესით ხიფათიც უნდა შექმნილიყო მასპინძელთა კართან, მაგრამ მსაჯმა მოულოდნელად ტაიმის დასრულების ნიშანი მისცა. ჩასტვენა და მოედნის ცენტრში ფანიაშვილის ზუგდიდელთა ალყაში მოქცევა ერთი იყო. ისინი უკმაყოფილებას აშკარად გამოთქვამდნენ, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ, ხოლო ყველაზე აგრესიულ ქორიძეს ფანიაშვილმა ჯერ ყვითელი ბარათი აუფრიალა, მერე წითელიც მიაყოლა. ვნებათაღელვა კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა, მაგრამ სტუმრებმა გამოიჩინეს გონიერება და ინციდენტი ამით დასრულდა. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით, ამ დროს თამაშის შეჩერება ნამდვილად შეცდომა იყო, თანაც ტაიმს მინიმუმ ორი წუთი მაინც უნდა დამატებოდა. მით უმეტეს, რომ მატჩი კარგა ხნით შეჩერდა, როცა ტრავმირებულ ტყემალაძეს წამლობდნენ.

მეორე ტაიმი კვლავ ზღვისპირელთა უპირატესობით დაიწყო და მატჩის ბოლომდეც ასე გასტანა. თუ პირველ ტაიმში მასპინძლები შორეული დარტყმების იმედზე იყვნენ, მეორეში ძირითადად ცენტრიდან საჯარიმოში შესვლას ლამობდნენ, მაგრამ ოდიშარნი შეუვალნი იყვნენ. ისინი უშეცდომოდ ირჯებოდნენ და ცოცხალი თავით არაფრის დათმობას არ აპირებდნენ. თუმცა, 69-ე წუთზე მინდაძის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ ჭიჭველიშვილთან საჰაერო ბრძოლისას ისევ ცქიფურიშვილს მოხვდა ბურთი ხელზე და, ზუგდიდელთა პროტესტის მიუხედავად, ფანიაშვილმა ამჯერად პენალტი დანიშნა. სოლოლაშვილმა კუთხე კი გამოიცნო, მაგრამ ჭიჭველიშვილმა შანსი მაინც არ დაუტოვა.

გაშვებულმა გოლმა კაცნაკლული „ოდიში“ საბოლოოდ გატეხა და ბოლო ოცი წუთი მასპინძელთა დიდ უპირატესობაში გაილია. გოლის გატანის ხელსაყრელი შანსი ჰქონდათ თორლაშვილს, მინდაძეს, მაჭუტაძეს, სიჭინავას, მაგრამ ხან მოიერიშენი სცოდავდნენ და ხან სოლოლაშვილი თამაშობდა საიმედოდ.

მოკლედ, „ბათუმმა“ მატჩი კი მოიგო, მაგრამ რომ არა ის ინციდენტი, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა. არა, მთელი მატჩის განმავლობაში საკმაოდ აქტიური ზღვისპირელები გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდნენ, მაგრამ ამისთვის მსაჯების დახმარება მათ ნამდვილად არ სჭირდებოდათ.

თბილისი
„შევარდენი“
8 მაისი

**ვიტ ჯორჯია 1:0 რუსთავი**

**ვიტ ჯორჯია:** დავით ჯანელიძე, ი. ილურიძე, კველიშვილი, ქოხონელიძე, ლამბაშიძე (მ. ბურდული 76), დვალიშვილი, ვ. ქუთათელაძე, მაისურაძე, ლ. ნოზაძე (რუხაძე 88), ქუმბურიძე, გოჩაშვილი
**რუსთავი:** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, პატარიძე, კუდინოვი (მ. სახვაძე 55), სილაგაძე (ლ. ალადაშვილი 85), ცომაია, ზირაქაძე, მელაძე, ბ. შენგელია, ყიფიანი (ლაბაძე 70), კ. ალადაშვილი
1:0 გოჩაშვილი (10)
**გაფრთხილება:** ჯანელიძე, ქუმბურიძე, შენგელია
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

**კობა ინასარიძე**

# გოჩაშვილი შორს წავიდა

ვიტელმა გოჩაშვილმა ნავსი გატეხა და აქამდე უამრავი მომენტის გამცუდებელმა ფორვარდმა როგორც იქნა, შეაგდო. თანაც მეტად პრინციპულ მატჩში გაამარჯვებინა თავისიანებს.

ცხრილში მეზობლად მყოფ გუნდებს თავისი გასჭირვებიათ. ორივე გადათამაშების კანდიდატია და გუშინდელი მოგება ეგებ გადამწყვეტიც ყოფილიყო. მასპინძლებმა იმარჯვეს და ახლა ცოტას კიდეც ამოისუნთქავენ, სანამ დანარჩენები 30-ქულიან ზღვარს მიაღწევენ, თუმცა ვინ იცის, სხვები მოაგროვებენ კი ამ ქულებს? ვნახოთ, წინ კიდევ სამი ტურია. უფრო სწორად, ზოგს სამი თამაში დარჩა, ზოგსაც ერთით მეტი. გუშინდელი სტუმარ-მასპინძელიც იმათ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც მატჩნაკლულნი არიან.

ყველაფრის მიუხედავად კი „რუსთავი“ მაინც გაჭირვებაშია. როგორია, ბოლო მატჩებში „ბათუმს“, „კოლხეთს“ უმასპინძლოს თავისსავე კონკურენტებს — „მაღაროელსა“ და „სამგურალს“ კი ესტუმროს? დაგვეთანხმებით, ერთობ ძნელი საქმეა. ძნელია იმდენად, რამდენადაც ფოთელები, ბათუმელებთან ერთად, რუსთაველებზე ათი თავით მაღლა დგანან, დანარჩენი ორი კი სახლიდან ქულის გამტნევნი ცოცხალი თავით არ არიან. მოკლედ, დიდი შანსია, „რუსთავის“ ჩემპიონატი ოდნავ გაუგრძელდეს და ჯგუფში დასარჩენი ადგილი თავისნაირ გუნდთან გაითამაშოს.

ისანში „რუსთავს“ ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა. მონდომებით თამაშობდნენ, იბრძოდნენ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს მიაღწიეს. არადა, მთელი მეორე ტაიმი სტუმრების აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, თავსხმა წვიმაში უტევდნენ, უტევდნენ, ვიტელი მცველები კი ჯანელიძიანად შეუვალნი იყვნენ. სათითაოდ თითქმის ყველა „რუსთაველს“ ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ბოლოს სად ურტყამდნენ, თავად აღარ იცოდნენ. თბილისელებსაც რა ენაღვლებოდათ, გოჩაშვილმა თავიდანვე დააწინაურა ლამაზი, შორეული დარტყმით და შესვენების შემდეგ მხოლოდ თავის დაცვაზე ფიქრობდნენ. მათ კონტრშეტევათა ხერხს მიმართეს, მაგრამ უგულოდ ირჯებოდნენ, ეტყობოდათ, მთავარი ანგარიშის შენარჩუნება გახლდათ. საწადელს კი უფრო იოლად მიაღწევდნენ, სულ ბოლოს ერთის გამტან გოჩაშვილს მეორეც რომ შეეგდო. ფაქტობრივად, ქორიძესთან პირისპირ დარჩენილმა კარს ააცილა. რამდენიმე წუთში მალალურაძემაც ჩასტვინა, მაგრამ მანამდე სტუმრები რამდენჯერმე ისევ დაემუქრნენ ჯანელიძეს. ისე, მართლაც საცოდაობა იყო, სტუმრები სამ ქულას ვინ ჩივის, შინ საერთოდ ხელმოცარულნი რომ დაბრუნდნენ.



ფოტო

მცხეთა
„არმაზი“
8 მაისი

**თსუ 0:1 მერანი**

**თსუ:** ბათიაშვილი, ყოლბაია, ვერემჩუკი, კვიტატიანი (გიორგი ქორიძე 46), ლ. მელქაძე, მაზიაშვილი (სვანიძე 70), გემეზაშვილი, გუჯაბიძე, რუსია, კ. მელქაძე, როსტიაშვილი
**მერანი:** ნაჭყებია, დავითნიძე, ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, გეწაძე (აბაზაძე 60), დავითაშვილი (საბიაშვილი 69), დანელია, ა. ხორხელი, მაზანაშვილი (ივანიშვილი 87), მესხი
0:1 ხორხელი (56)
**გაფრთხილება:** გუჯაბიძე, დავითნიძე, გემეზაშვილი, ხორხელი
**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

**ვანო ოქროპირიძე** მცხეთიდან

# მშვიდად თამაშიც შესძლებიათ

ამ მატჩის წინ ხუთქულანაკლულ „მერანს“ კიდევ ორი ჩამოაკლეს და გუნდი სახიფათო ზონაში მოხვდა, ამიტომ ამ შეხვედრაში აუცილებლად მოგება სჭირდებოდა. თსუ-ს კი ბოლო დროს დაკარგული პრესტიჟის აღდგენა სურდა. მათ ხომ თასის გათამაშების ჩათვლით ზედიზედ 7 მატჩში ვერ შეძლეს მოგება. ამიტომ შეხვედრა დიდ ინტერესს იწვევდა.

თამაში და წვიმა „არმაზზე“ ერთდროულად დაიწყო.

შეხვედრა საშუალო ტემპში, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პირველი სახიფათო მომენტი მე-3 წუთზე შეიქმნა. გემეზაშვილის დაახლოებით 20 მეტრიდან დარტყმული ჯარიმა მცირე მანძილით ასცდა კარს. მალე მოედანი და ბურთი წვიმისგან დამძიმდა, ამიტომ გუნდები შორი დარტყმებით ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ ზოგს არაზუსტად ურტყამდნენ, ზოგიც მეკარეთა ლუკმა ხდებოდა. პირველ ნახევარში რეალური საგოლე მომენტი არც ერთ გუნდს არ შეუქმნია.

მეორე ტაიმის საწყისი ოცი წუთი კარგი სანახავი გამოდგა. 50-ე წუთზე ქორიძემ ითამაშა მშვენივრად და მაზიაშვილს დაუგორა ბურთი, რომლის ძლიერი დარტყმა მცირედით ასცდა „მერანის“ კარს. ამას საპირისპირო მხარეს მეტად სახიფათო შეტევა მოჰყვა. კართან ახლოს მდგომ დავითაშვილს თავზე აეჭრა ბურთი, რომელსაც რუსიამ მიუსწრო და მაზანაშვილს გადასცა. მან კი დაარტყა, მაგრამ ბურთი მცველს მოხვდა და კუთხურზე გავიდა. იქიდან ჩაწოდებული კარგ პოზიციაში მყოფ მესხს მიუვიდა, რომლის დარტყმაც ძელმა მოიგერია. ორიოდ წუთში აბრეზას მიეცა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ბათიაშვილმა დაასწრო და კუთხურზე მოიგერია ბურთი. 56-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლი გავიდა. თსუ-მ მოედნის ცენტრში ბურთი დაკარგა, იგი აბრეზამ მიიღო, მასპინძელთა საჯარიმოს მიუახლოვდა და იქვე მდგომ ხორხელს მიაწოდა, რომლის ძლიერი დარტყმულიც ვერემჩუკს მოხვდა და კარში შევარდა. ამის შემდეგ თამაში შედარებით დაწყნარდა. თსუ საჯარიმოში ბურთის მაღალი ჩაწოდებით ცდილობდა ხიფათის შექმნას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. 70-ე წუთზე შეცდა თსუ-ელი გუჯაბიძე, რის გამოც დავითაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ რატომღაც შეყოვნდა და გუჯაბიძემ გამოასწორა შეცდომა. 89-ე წუთზე თსუ-ს შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ლევან მელქაძის თავური დარტყმა ნაჭყებიამ სასწაულებრივი ნახტომით მოიგერია. ბოლოს არ შეიძლება, არ აღინიშნოს მესხის მშვენიერი თამაში. იგი ყველა მოგერიებული ბურთის შენარჩუნებას ახერხებდა და სტუმრების შეტევების სულისჩამდგმელიც იყო. მერანელებს კი ამ მატჩში მსაჯის არც ერთ გადაწყვეტილებაზე უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ.

# ქვეყნის სირცხვილია, ფედერაციის სირცხვილი

## ამბობს მურთაზ ხურცილავა



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საკვირველი ბევრი არაფერი ყოფილა. თბილისის „დინამოს" მწვრთნელად მურთაზ ხურცილავა სულ ერთი კვირის დანიშნულია. თუმცა მან დანაპირების ასრულება უკვე დაიწყო. გუშინ დილით საწვრთნელ ბაზაზე დაპატიჟა, თავის თანაშემწე ნოდარ აკობიასთან ერთად დაგვხვდა და რაც კვირის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე უთქვამს, ფედერაციაში აღმასკომის სხდომის დაწყებამდე ორი საათით ადრე გვითხრა.

თავიდან ხურცილავა ჯერჯერობით „დინამოს" უცვლელი სახე შეეხო — ფეხბურთელების უცხოეთში გადაბარგებას და წელიწადში ორჯერ ახალი გუნდის შექმნას. მწვრთნელმა ყველაფერზე მოკლედ ისაუბრა.

— წინასწარ არ მიყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ აუცილებელია. კონკრეტულად არც ვიცი ვინ წავა, ვინ მოვა. დღეს რომ ფეხბურთელი ამბობს, უცხოეთში გამიშვითო, ხვალ შეიძლება გადაიფიქროს. ჩემი დიდი სურვილია, თავად ფეხბურთელი იყოს მონდომებული, დაინტერესებული, ასეთ შემთხვევაში მე პირადად ხელს შევუწყობ, თორემ ისე გამოვა, რომ ერთხელ [illegible] ნაძალადევად თამაშობს.

გუნდის ხელმძღვანელობა მაქსიმალურ პირობებს კი უქმნის მოთამაშეებს, მაგრამ არ სურთ საქართველოში გაჩერება. ისიც არ ვიცი, რომელთაც კლუბი რომელიმე ფეხბურთელის [illegible]. ეს თავად ბიჭებმა უნდა, რომლებიც ჯერ არაფერს ამბობენ.

„დინამოში" მომსვლელებს რაც შეეხება, ვეძებთ, რომ [illegible] ყოფილი დინამოელები კი დაბრუნდნენ, მაგრამ მე სხვა შეხედულება მაქვს. ერთადერთი შეიძლება კახა გოგიჩაიშვილი დავიბრუნო, პირველ ყოვლისა, მისი ჯანმრთელობა მაინტერესებს, ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა, აქედან გამომდინარე კი სათამაშო ფორმაც, მეეჭვება, შენარჩუნებული ჰქონდეს. ფაქტობრივად, ერთი წელია მისი თამაში არ მინახავს. თუ ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მაშინ მხარში ამოვუდგებით. დანარჩენებზე კი მიჭირს ახლა აზრის გამოთქმა. 26 მაისიდან ბიჭებს შვებულებაში გავუშვებთ, ორი კვირა დაისვენებენ, შევიკრიბებით და წამსვლელ-დამრჩენ-მომსვლელის ამბავსაც მაშინ გეტყვით.

ისე, სიტყვამ მოიტანა და ეროვნული გუნდის მწვრთნელთან მაქვს სასაუბრო. 30-ში რუსებთან თამაშია დანიშნული, 7-ში „ტორპედოსთან", ახალგაზრდული ნაკრებიც ამ პერიოდში აპირებს მატჩებს. ჰოდა, ორივე ნაკრებში „დინამოდან" შვიდ-რვა ფეხბურთელს რომ მიიწვევენ, რაღა დასვენება გამოუვათ? მთელი მოსამზადებელი პროგრამა აირევა, ფეხბურთელები გადაღლილები იქნებიან. რა თქმა უნდა, ნაკრების ინტერესები უპირველესია, მაგრამ რაღაც გამოსავლის მოძებნაა საჭირო. ვოვა გუცაევს პირდაპირ ვეტყვი, „დინამოდან" ჩემი რეკომენდაციის გარეშე არავინ მიიწვიოს.

სულ ეს იყო, რაც მურთაზ ხურცილავამ „დინამოს" შესახებ თქვა. მერე კი, ქართული ფეხბურთის აწმყოთი თუ მომავლით დამწუხრებულმა გააგრძელა. მით უმეტეს, როგორც ზემოთ ვთქვით, ორიოდ საათში ფედერაციაში მოახლოებული ყრილობისთვის მანდატები უნდა გაენაწილებინათ.

— ვის გაუკვირდება, რომ ვთქვა — ქართულ ფეხბურთში კატასტროფული ვითარებაა შექმნილიო. „დილამ" „დინამოს" მოუგო, „ლოკომოტივმა" ფრედ გვეთამაშა, ფოთში წავაგეთ, იტყვიან, ფეხბურთის დონე ამაღლდაო. ამბობენ კიდეც. რა, ვინმე დაიჯერებს? წინა ტურში არ იყო, „მერანი" — „კოლხეთის" მატჩისას 22 ფეხბურთელში საუკეთესო 36 წლის ნუგზარ მაჭავარიძე რომ გახლდათ. ამ ასაკის მოთამაშე დანარჩენებზე ათი თავით მაღლა იდგა. ტურას მადლობა ეთქმის კარგი თამაშისთვის, მაგრამ განა ნიშანდობლივი არაა ეს ფაქტი? როგორ შეიძლება 36 წლის კაცი ყველაზე კარგად თამაშობდეს. კი, შეიძლება ოსტატობით და გამოცდილებით ახალგაზრდებს აჯობოს, მაგრამ მონდომებითაც? არა, რომელ ფეხბურთის დონის ამაღლებაზეა ლაპარაკი. იმ დღეს მარტო მაჭავარიძემ მასიამოვნა. დანარჩენები? იდგნენ და მას შეჰყურებდნენ. უბედურებაა, ჩვენი უბედურება, რომ რვა წლის მანძილზე ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, არაფერი გაკეთებულა. ეცადეთ, ბატონო, გუნდების [illegible], იქნებ სჯობდეს, მაგრამ... „მერანის" იგივე მატჩი ავიღოთ. გულშემატკივრები [illegible] ამბობდნენ, ეს თამაში უსისხლოდ არ დამთავრდებაო. რატომ? [illegible]. იმიტომ, რომ მიჩვეულები არიან თითქმის ყველა მატჩში მსაჯის ცემას, აურზაურს, თამაშების ჩაშლას.

ჩემი პოზიცია კარგად იცით. პიროვნულად არავის ვებრძვი. ფედერაციაში მეგობრები მყავს. მაგრამ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. დავსხდეთ ერთად და მოველაპარაკოთ. ვინც აჯობებს, ვინც მოუვლის ქართულ ფეხბურთს, ის იყოს. ფედერაციას უნდა აინტერესებდეს, გულშემატკივრების, ყველას. მე ვიცი, პიროვნება, რომელიც მოუვლის შინაურ ფეხბურთს და რატომ არა ის და სხვა. ჩემი აზრით, თხოვნა მაქვს, ყრილობამდე ყველა გუნდის პრეზიდენტები და ქომაგები შეიკრიბონ, აქ ჩამოვიდნენ, შევხვდეთ ერთმანეთს, ვიმსჯელოთ, იქნებ რამეს მივაღწიოთ. გარდა ამისა, ვინც ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს, ისინიც შეგვხვდნენ და თავიანთი გეგმები წარმოგვიდგინონ. [illegible], ბატონებო, ეგებ სასიკეთო ნაბიჯი გადავდგათ. კიდევ ოთხი წელი ასე რომ გაგრძელდეს, სულ დავიღუპებით. ფეხბურთი ეს არაა, რაც საქართველოშია. მე ერთი მაინტერესებს, როგორც საქართველოში ფეხბურთი ლორძინდება.

„ლოკომოტივთან" „დინამოს" მატჩი აიღეთ. შედეგზე, რა თქმა უნდა, საუბარი არა მაქვს. ფრე კიდეც გამიხარდა, ეგებ დონე ამაღლდეს.

სირცხვილია, ჩვენი ქვეყნის სირცხვილია, ფეხბურთის ფედერაციის სირცხვილია, რომ იმ მოედანზე საფეხბურთო მატჩები ტარდება. წარმოიდგინეთ, თბილისში ვინმე უცხოელი სტუმარი იყოს და „ლოკომოტივის" სტადიონზე მატჩს დაესწროს. რას იფიქრებს. შეიძლება იქ საერთოდ ბურთის გაგორება? ტრავმის გარდა ფეხბურთელს არაფერი შეემთხვევა. ვერ გამიგია, მთავარი ფურცელია, რომელზეც მატჩის ჩატარება დაფიქსირდება? თუ იმდენ საქმეს აკეთებენ, რამდენსაც ამბობენ, მაშინ მოუარონ სტადიონს.

ხუთი ქულის ჩამორთმევის პრინციპი აიღეთ. გუნდის ქულებთან ვის რა ხელი აქვს. დასაჯე ფეხბურთელი, აკრძალე სტადიონზე თამაში, გუნდს რას ერჩი. უსამართლობაა და მეტი არაფერი. ყვარლის „დურუჯი" გაიხსენეთ, ჩემპიონატი ერთი კინკილა ქულით რომ დაასრულებინეს. სიმახინჯისკენ მივდივართ, ფეხბურთი გვიკვდება.

რა უნდა გაკეთდეს? თან ვიცი, თან არა. თქმაც მსურს და დუმილიც მირჩევნია. დღევანდელი დღიდან გამომდინარე, მომავალიც არ ჩანს. მეტიც, მგონია რომ უარესი მდგომარეობა იქნება.

გამაგებინეთ, ერთი, „დინამო" — „მრეტების" საქმე ფიფამდე რატომ მივიდა. არ შეიძლებოდა აქვე მოგვარებულიყო? ქართული გუნდი არაა ორივე? დაეძახებინა ფედერაციას „დინამოსთვის" და „მრეტებისთვის", აქვე მოგვარებულიყო ეს ამბავი, ხომ შეიძლებოდა. მაგრამ არა. ხელშეწყობის ნაცვლად ხელს გვიშლიან. სულ და მართლაც რომ გადასახდელი იყოს ის ფული, უნდა დაგვეხმარონ, ისინი კი მეორე ჯგუფში დაქვეითდებითო გვემუქრებიან. რას ჰქვია მეორე ჯგუფი?! პირიქით აკეთებენ, ყველანაირად ცდილობენ „დინამომ" მეორე ჯგუფში ითამაშოს. კარგით, იქაც გავძლებთ. მე მგონია, ამათ „დინამოში" მომუშავე ხალხის მოშორება უნდათ, მაშინ იგივე მოხდება, რაც „სამტრედიას" მოუვიდა. ჯერჯერობით ყველაფერი ფეხბურთის საწინააღმდეგოდ ხდება.

ასე გაგრძელება აღარ შეიძლებაო, მურთაზ ხურცილავამ ერთხელაც გაიმეორა და პრესკონფერენციაც დამთავრდა.

**კობა ინასარიძე**

# ფედერაცია და დეპარტამენტი შერიგდნენ

## გუშინ აღმასკომმა მანდატები გაანაწილა

ფედერაციამ თავისი გაიტანა. იქაურმა ხელმძღვანელებმა ადრევე არჩეულ პრინციპს არ უღალატეს. ნათქვამი იყო, თითო სუბიექტს თითო ხმის უფლება მიეცესო და აღმასკომმაც ასე დააკანონა.

მანდატი ექნება აღმასკომის ყველა წევრს, ასევე კლუბების წარმომადგენლებს, მასჯთა კორპუსს, ვეტერანთა კავშირს, იუსტიციის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის დეპარტამენტს, გულშემატკივართა კავშირს, ინვალიდთა ფეხბურთის ასოციაციას და თქვენ წარმოიდგინეთ, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასაც.

ყველაზე წარმოუდგენელი მაინც ის გახლდათ, რომ ფეხბურთის ფედერაციის აპარატიდან მანდატს ვერც ერთი მიიღებს — ყველა განყოფილება თამაშგარედ დარჩა.

არ გვგონია, ფედერაციის ხელმძღვანელებს ეს ნაბიჯი დაუფიქრებლად გადაედგათ. მათ ან ის ტოტი მოჭრეს, რომელზეც მოკალათებულან, ანაც პირიქით, თავიანთი საქმეები ყრილობამდე გაჩარხეს. არსებული სიტუაციის კომენტარი მეტად ძნელია, არც ნათელმხილველები ვართ და ამ ორი ვარიანტიდან ერთ-ერთის სიმართლეს თავად ყრილობის მსვლელობა გამოაჩენს.

მოკლედ, ფეხბურთის ფედერაციას მხოლოდ სამი ხმის უფლება დაუმტკიცდა. მანდატები ალექსანდრე ჩივაძეს, დავით კვინიკაძეს და მსაჯთა კორპუსის წარმომადგენლებს ექნებათ. ამჟამინდელ პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს მანდატები იმიტომ ერგოთ, აღმასკომის წევრები რომ არიან, ხოლო რაც შეეხება ნოდარ ანდრიაძეს, ვიცე-პრეზიდენტს ხმის მიცემის უფლებას თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა ანიჭებს.

ვისაც წინა ყრილობები ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ ამგვარი ვითარება ადრე არ ყოფილა. მაშინ ხმის უფლება ყველას ჰქონდა, სპეციალისტს თუ უბრალო მოყვარულს, ხოლო ყველაზე მეტი მანდატი ფედერაციის თანამშრომლებს ეკუთვნოდათ.

სიახლე გახლდათ ისიც, რომ ხმის უფლებები მოიპოვეს იუსტიციისა და განათლების სამინისტროებმა. ოლიმპიურმა კომიტეტმა თუ სპორტის დეპარტამენტმა, ვეტერანებმა და გულშემატკივრებმა, ინვალიდთა ასოციაციამ და ჟურნალისტებმა. სხვათა შორის, სპორტულ ჟურნალისტებს ყრილობაზეც დაგასწრებთო, ასე შეგვპირდნენ. ყველაფრის გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადრინდელთან შედარებით ობიექტურობას ვიხილავთ.

თითოს თითო მანდატიო ითქვა, მაგრამ ისეთი სუბიექტებიც გამოერია, რომელთაც ორი და მეტი ხმის უფლება ექნებათ. მაგალითად, „დინამო" ავიღოთ. ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს ოთხი მანდატი დაუგროვდა. კლუბის პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას ხმის უფლებას აღმასკომის წევრობა აძლევს, ამას „დინამოს", „დინამო 2"-ის და „ნორჩი დინამოელის" უფლებები ემატება. ორი წარმომადგენლით იქნებიან წარმოდგენილი ბოლნისი და ლანჩხუთი. ამათი კლუბის წარმომადგენლები აღმასკომის წევრებიც არიან.

რაც შეეხებათ ვეტერანებს, ამათი დამსახურებების გათვალისწინებით ყრილობაზე აუცილებლად მოიწვევენ. გამოსვლასა და თავიანთი აზრის გამოთქმასაც არავინ დაუშლით, მაგრამ მანდატი მხოლოდ ერთი აკუთვნეს.

საკითხი ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობის შესახებ ამოიწურა. გასარკვევი ერთიღა დარჩა, ვისი ავტორიტეტი და დამსახურება გადასწონის, რასაც პასუხს 24 ივლისი გასცემს.

აღმასკომმა მიიღო ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამა. გაკეთდა უმნიშვნელო შესწორებები. როგორც ითქვა, ყრილობა პროგრამას დაამტკიცებს, მერე ჯერი პარლამენტზეა. იქ დოკუმენტს კიდევ ერთხელ, საბოლოოდ განიხილავენ და იქნებ ჩვენს გაღარიბებულ ფეხბურთსაც ეშველოს. პროგრამის განხილვისას აღმასკომზე მოწვეულები გახლდნენ სახელმწიფო კანცელარიის მრჩეველი სპორტის საკითხებში ეზეკი ინწკირველი და სპორტის დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსი ამირან აბესაძე. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფოებრივი პროგრამა ხომ ყველას ერთობლივი ნამუშევარია და აღმასკომზე ამათი მიწვევაც არ იყო მოულოდნელი.

აღმასკომმა მინი ფეხბურთის ასოციაციაზეც ისაუბრა. ფეხბურთის ფედერაცია მინი ფეხბურთის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე მიავლინებს და შეკრების, ეკიპირების და მგზავრობის ხარჯებს თავადვე გაიღებს.

ახლა ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებზე ვთქვათ. ჯერჯერობით ერთადერთი ოფიციალური კანდიდატი ალექსანდრე ჩივაძე გახლავთ. ადრე ზოგმა გამოთქვა სურვილი და კენჭს ვიყრიო, განაცხადა, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი არ გადაუდგამს. ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის თქმით, კანდიდატად თავისი პიროვნების დასახელება შეეძლება ყველას, ვისაც ყრილობაზე ხმის უფლება მიეცემა. საბოლოოდ ასე გამოვიდა, პრეზიდენტობის კანდიდატთა ვინაობას 24 ივლისს შევიტყობთ.

ბოლოსთვის ქართულ ფეხბურთში არსებული სკანდალური ამბავი მოვიტოვეთ. აღმასკომზე „მრეტებსა" და „დინამოს" შორის დაპირისპირება, რაც გიორგი ქინქლაძის სატრანსფერო თანხის განაწილებას შეეხება, პირველ საკითხად გამოიტანეს. ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ აღმასკომის წევრებს განუმარტა, რომ ამ სკანდალთან დაკავშირებით „დინამოს" დამატებითი საბუთები გააჩნია, რომლებიც მეტად სერიოზული ხასიათისაა და მათ გაამართლებს. კონტრაქტში არის იურიდიულ-კონსტიტუციური კაზუსები, ამიტომ რომან შოთაძემ სთხოვა აღმასკომს, ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად თავიდან განიხილონ აღნიშნული საქმე და ფიფასაც აცნობონ საბოლოო შედეგები. აღმასკომი წინააღმდეგი არ წასულა. თუ „დინამო" მართლა წარმოადგენს დამატებით მასალებს, მაშინ საქმის ხელახალი გარჩევაც შესაძლებელი იქნება. აღმასკომზე ის არ დაზუსტებულა, როდის უნდა ეცნობოს ფიფას ბოლო ვერდიქტი. არადა, ამჯერად ცოტა აჩქარება არც ერთ მხარეს, ყოველ შემთხვევაში, „დინამოს" და ფედერაციას, არ აწყენდათ, რადგან 20 მაისამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა.

ჟურნალისტებისთვის სასიამოვნო სიურპრიზად სპორტის დეპარტამენტის სპორტის სამმართველოს უფროსის, ამირან აბესაძეს სიტყვები დარჩა — აღმასკომმა დღეს დაანაწილა წარმომადგენლობითი ნორმები. ვიღაცას შეიძლება არასწორად მოეჩვენოს მანდატთა განაწილების სისტემა, მაგრამ ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. აღმასკომმა დაამტკიცა, მორჩა, მას ვერავინ შეცვლის. ჩვენ შევეცადეთ, ყრილობა, ასე ვთქვათ, გაგვეხსნა ფართო საზოგადოებისთვის. დროა, შევეგუოთ იმ აზრს, რომ უნდა დამთავრდეს ყველანაირი კონფრონტაცია ფეხბურთთან დაკავშირებით. დავსხდეთ ერთად ყველანი და ვაკეთოთ საერთო საქმე. სწორედ ამიტომ მოგვიწვიეს აღმასკომის სხდომაზე, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფოებრივ პროგრამაზეც ერთობლივად ვმუშაობდით. ასე რომ, ყოველნაირი დაპირისპირებები უნდა გამოირიცხოს, იმედია, ამაში ჟურნალისტებიც ხელს შეგვიწყობთო.

რაკი შერიგებასა და წინსვლაზეა საუბარი, მაგას რა სჯობს. ჩვენთვის ქართული ფეხბურთის ჩიხიდან გამოყვანაზე უმთავრესი რა უნდა იყოს. საერთო ფერხულს „სარბიელი" არასდროს ჩამორჩება. არც არავის ვებუტებით, მაგრამ თუ ქართული ფეხბურთი ისევ კუს ნაბიჯებით ივლის, მაშინ შეგუებაზე... ნურას უკაცრავად.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ცეცხლს ფეხბურთელებიც ანთებენ

UEFA CUP

## უეფას თასის ფინალი

### ინტერი 3:0 ლაციო

**ინტერი:** პალიუკა, ფრეზი, კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, ვინტერი (კოე 68), ზე ელიასი, სიმეონე, ჯორკაეფი (მორიერო 68), რონალდო, სამორანო (სარტორი 73)

**ლაციო:** მარკეჯანი, გრანდონი (გოტარდი 55), ნესტა, ნეგრო, ფავალი, ფუზერი, ვენტურინი (ალმეიდა 49), იუგოვიჩი, ნედვედი, მანჩინი, კაზირაგი

1:0 სამორანო (5), 2:0 ძანეტი (60), 3:0 რონალდო (70)

### ...და კვლავ პარიზი

ერთ თვეში საფრანგეთის დედაქალაქი მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. მანამდე ულამაზეს პარიზში ბევრი რამ მოხდება, თუმცა იმას, რომ ქალაქი წელს გადამწყვეტი მატჩების უპირველეს მასპინძლად იქცა, თქმა არ უნდა — გარდა საფრანგეთის თასის და ლიგის თასის ფინალებისა, აგერ, სულ რამდენიმე დღის წინ პარიზში ევროთასის ფინალი ჩატარდა.

„პარკ დე პრენსი" — „პრინცების პარკი" მართლაც ზედგამოჭრილი გამოდგა უეფას თასის ფინალისთვის. ბრწყინვალე თამაში პრინცების სტადიონზე — კარგა ხანია, იტალიურ გუნდებს ერთმანეთში ასეთი სანახაობრივი შეხვედრა არ უთამაშიათ. „ინტერიც" და „ლაციოც" ღირსი იყო უეფლისწულიდან მეფედ ქცეულიყო, „პარკ დე პრენსი" კი მეფური ფეხბურთისთვის ზედგამოჭრილი გახლდათ.

და კვლავ პარიზი — ვინ მოთვლის რამდენი სულისშემკვრელი ბურთაობა გამართულა ამ ქალაქში.

### წუთი წუთს მისდევს...

— ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ვერანაირად ვერ შევეგუები იმ აზრს, რომ „ინტერი" წელსაც უეფას თასის გარეშე დარჩება. ეს არ უნდა მოხდეს — იტყვის თამაშის წინა დღეს, სამშაბათს, მილანელთა თავკაცი ლუიჯი სიმონი და შემდეგ დასძენს — „ლაციო" კარგი გუნდია, ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ ფეხბურთის თამაში ნაკლებად რომ არ ვიცით, ამას ხვალ დავამტკიცებთ. პარიზული მატჩი „ინტერისთვის" გადამწყვეტია. ან ახლა ან არასდროს.

— ერთი მილანელი მეტოქე უკვე შევიწირეთ. მეორეც არ იქნებოდა ურიგო, თუმცა „მილანთან" შედარებით „ინტერის" დამარცხება რომ უფრო გაგვიჭირდება, ამას თქმა არ უნდა. პარიზში მოსაგებად ჩამოვედით, შინ ხელცარიელი დაბრუნებას არ ვაპირებთ. „ლაციო" თავისას ეცდება — რომაული კლუბის შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი იმედიანად გახლდათ.

დაძაბულობა სულ უფრო მატულობდა. გულშემატკივრები კი ნერვიულობისგან ოხრავდნენ. არც ფეხბურთელები იყვნენ უკეთესად. ისინი, ვისაც ბედმა გაუღიმა და საფრანგეთის დედაქალაქს ეწვია, ასე თუ ისე წყნარად იყვნენ, მაგრამ შინ დარჩენილი „ტიფოზები"? რომში, „ლა რეპუბლიკას" მოედანზე და მილანში „ილ მესაჯეროს" სკვერში დიდი ეკრანები დადგეს საგანგებოდ. ქომაგებმა მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გაავსეს მიმდებარე ტერიტორია, პარიზში კი...

### ივანე მრისხანე

მსაჯმა სასტვენს ჩაჰბერა. ბურთი გაგორდა. ცეცხლი დაინთო, თამაში დაიწყო. ცეცხლი მოედანზე კიდევ 90 წუთი იბრიალებს, მილანში კი კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება, თუმცა ეს ყოველივე შეხვედრის შემდეგ. მანამდე კი...

„ინტერმა" თავდასხმა იცის. „ლაციომაც". შეხვედრის დაწყებას ქომაგთა დაძაბულობა და პრინცების სარბიელზე დანთებული საფეხბურთო ცეცხლი დაერთო. ორივე ღირსია, ხელთ ეპყრას უეფას თასი, მაგრამ გამარჯვებული ერთი უნდა დარჩეს. საამისოდ მილანელები პირველ ნაბიჯს დგამენ. როგორც შემდეგ გამოჩნდება, არა საბოლოოს.

მეტოქეთათვის ერთმანეთის დაზვერვა მიუღებელია. ისედაც ზეპირად იციან ერთურთის კარგიც და ცუდიც. და იმ დროს, როცა საფრთხე თითქოს არსაიდან იყო მოსალოდნელი, გოლი გავიდა. რომაელთა სამწუხაროდ, მათ კარში — დიეგო სიმეონეს მოედნის შუაგულიდან ლაციოელთა საჯარიმოსთან ჩაკიდებულს პირველი ჩილელი ივან სამორანო გამოეხმაურა — წინ გამოსული მარკეჯანი, სუსტად, მაგრამ ზუსტად მოქნეული ტერფით შეცვლილი ბურთის მიმართულება და გოლი. „ინტერი" და, რაღა თქმა უნდა, „ინტერნაციონალეს" ტიფოზები სიხარულმა მოიცვა.

სამორანომ მეხუთე წუთზე გაიტანა. შარშანდელი ფინალის განმეორებით მატჩში, მილანში კი საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე. გასულ წელს „ინტერი" დამარცხდა, ახლა რა იქნება, ჯერ არავინ იცის.

### რონალდოც აქაა

20 წლის ბიჭია და სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ბრაზილიელი ვუნდერკინდი მუდამ დარჩება გულშემატკივართა მეხსიერებაში. რაც მას ტიტულები მოუხვეჭია, ბევრისთვის სანატრელია. ოთხშაბათს კი, შარშან „ბარსელონაში" მოგებულ თასების თასს, წელს უეფას თასიც დაურთო.

— ჩემპიონატის მატჩებში რონალდომ ნესტას ვერაფერი დააკლო. დარწმუნებული იყავით, დღესაც იგივე მოხდება — გაიძახოდა მატჩამდე „ლაციოს" გულშემატკივართა ბოსი, ლუჩანო „პეპე" ჯამონინი. „პეპეს" იმედები გაუცრუვდა. რონალდოს ნესტამ ვერაფერი დააკლო. რონალდო ნესტას გაექცა და თან როგორ.

მეორე ტაიმში მარკეჯანისთან ერთი ერთზე დარჩენილმა რონალდომ ორიოდ წამში შესრულებული სამი ცრუმოძრაობით მეკარეს წონასწორობა დააკარგვინა — წინ ცარიელი კარი დარჩა. დანარჩენი თავდამსხმელის საქმე იყო, ბრწყინვალედ შესრულებული საქმე.

„ლაციოს" კარი რონალდოს კიდევ ერთ გოლს გადარჩა, უფრო სწორად ხარიხას და მარცხენა ძელის „ერთობლივმა ძალისხმევამ" გადაარჩინა.

### უბრალოდ ძანეტი

არგენტინას ბევრი რატომღაც არ მიიჩნევს მსოფლიოს ჩემპიონობის კანდიდატად. არადა, დანიელ პასარელას ბიჭებს ძალუძთ, დაიბრუნონ რვა წლის წინ დაკარგული ტიტული. არგენტინელთა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე მსოფლიოს ჩემპიონატზე ალბათ ხავიერ ძანეტი იქნება, ფეხბურთელი, რომელიც ვარსკვლავებით მოჭედილ „ინტერშიც" გამორჩეულად კაშკაშებს. თუ ადამიანს ერთხელ მაინც უნახავს მილანელი შავ-ლურჯების თამაში ძანეტი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა — ხავიერი ყველგანაა. იქაც კი, სადაც მას არ უნდა ველოდეთ.

მარკეჯანის სასწაული უნდა მოეხდინა, ძანეტის დარტყმულს წინ რომ აღდგომოდა — არგენტინელი ჭაბუკის უძლიერესი დარტყმა ულამაზესი გოლით დაგვირგვინდა. არა, ძანეტი ნამდვილი ვარსკვლავია.

რაც შეეხება გოლებს, ოთხშაბათს ისინი ერთიმეორეზე უკეთესი გამოვიდა.

### სად იყვნენ ბატები?

ჩვენ წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე რომის იმპერიის სატახტო ქალაქი რომი ავისმსურველთაგან დაწვას ბატებმა გადაარჩინეს. „პარკ დე პრენსზე" მილანელთა დანთებულ ცეცხლში რომაელები იწვოდნენ, ბატები კი არსად ჩანდნენ.

„ლაციო" განადგურებას ვერ გადაურჩა, არადა, რაც ამ დღეს მანჩინიმ, ფუზერმა, ნედვედმა, კაზირაგიმ, იუგოვიჩმა და სხვა რომაელებმა აკეთეს, ნაღდად არ იმსახურებდა 0:3 წაგებას.

და მაინც, „ინტერმა" იმარჯვა. როგორც ჩანს, მათ მეტოქეზე ორჯერ მეტი გაილეს გამარჯვებისთვის.

### ზემოთ და ქვემოთ

წარმატებას აღმაფრენა მოსდევს, მარცხს — ფანტაზიებიდან რეალობამდე დასვლა. ევროთასის მოგებამ მილანელები მეცხრე ცაზე აიყვანა. ამაზე თუნდაც კლუბის აცრემლებული პრეზიდენტი მასიმო მორატი მეტყველებს — გახარებული მენავთობე „ინტერის" ბიჭებმა რამდენჯერმე ჰაერშიც აისროლეს.

და რას აკეთებდნენ ლაციოელები? — იქვე, მინდორზე წამომსხდარიყვნენ და დანა პირს არ უხსნიდათ. ბაგეების ნაცვლად თვალები მეტყველებდნენ — მათ თვალებში იმედგაცრუება და წყენა გამოსჭვიოდა.

— როგორც იქნა, გავიმარჯვეთ. დღევანდელი თამაშიდან გამომდინარე, ასეც უნდა მომხდარიყო, „ლაციოს" აშკარად ვჯობდით — გამარჯვებულთა თავკაც ჯიჯი სიმონის პრესკონფერენციამდე მხოლოდ ეს სიტყვები დასცდა. მისმა ნირწამხდარმა კოლეგამ, სკანდინაველმა ერიკსონმა კი მასმედიასთან საუბარზე ცივი უარი განაცხადა.

### აწმყო და მომავალი

დღესდღეობით „ინტერი" უეფას თასის მფლობელია, „ლაციო" კი იტალიის თასისა. მიუხედავად იმისა, რომ მილანელები გაისად ალბათ, მაინც ჩემპიონთა ლიგის კარს შეაღებენ, უეფას თასის ფინალში ძლეული „ლაციო" ამ გათამაშებაში აღარ იასპარეზებს — მას თასების მფლობელთა თასი, ბოლო წლებში ცოტა არ იყოს პრესტიჟშელახული, მაგრამ მაინც ჩემპიონთა ლიგის შემდეგ მეორე გათამაშება ელის.

**ლაშა გოდუაძე**





REUTERS მარიო ზიდან

ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ — ფინტების კასკადს რონალდოს გოლი მოჰყვა

---

**არგენტინელმა** თავდამსხმელმა კლაუდიო ლოპესმა გადაწყვიტა, თავისი მომავალი მის ამჟამინდელ კლუბს, „ვალენსიას" დაუკავშიროს. ფეხბურთელი, რომელმაც „მარაკანაზე" გამართულ ამხანაგურ მატჩში ბრაზილიელებს გადამწყვეტი გოლი გაუტანა, კონტრაქტს სავარაუდოდ 2002-2003 წლების სეზონამდე გააფორმებს.

**ბრაზილიის** ნაკრებისა და „ფლამენგოს" თავდამსხმელმა, 1994 წელს აშშ-ში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა, რომარიომ, ჩემპიონატში ნათამაშევ ბოლო შეხვედრაში ტრავმა მიიღო. გუნდის ექიმის თქმით, დაჭიმული კუნთის აღდგენას დაახლოებით 7-10 დღე დასჭირდება. როგორც ცნობილია, ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარიო ზაგალომ რომარიო იმ ფეხბურთელთა სიაში დაასახელა, რომლებიც საფრანგეთი 98-ში მიიღებენ მონაწილეობას.

**ესპანეთში გადაბარგებულმა არიგო საკიმ, რომელიც მომავალი სეზონიდან მადრიდის „ატლეტიკოს" ჩაუდგება სათავეში, პირველი შენაძენი გააკეთა. როგორც ესპანურმა გაზეთმა „მარკამ" განაცხადა, ეს არის ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ნახევარმცველი ზორან ნიეგუსი. სავარაუდოდ, იუგოსლაველი ფეხბურთელი „ატლეტიკოში" 4 წელი დარჩება, სატრანსფერო თანხა კი 6,6 მილიონ დოლარს შეადგენს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ნიეგუსი იმავე სოფლიდან არის, რომლიდანაც გუნდის წინა თავკაცი, რადომირ ანტიჩი იყო.**

**ბელგიის** ნაკრების თავდამსხმელმა ლუკ ნილისმა გადაწყვიტა, „ეინდჰოვენის" რიგები დატოვოს. მისი აგენტის განცხადებით, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კლუბი სამმა საკვანძო ფეხბურთელმა მიატოვა. ნახევარმცველი ფილიპ კოკუ ალბათ „ბარსელონაში" გადავა, იაპ სტამმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" გააფორმა კონტრაქტი, ხოლო არტურ ნუმანი მომავალი სეზონიდან „გლაზგო რეინჯერსში" ითამაშებს. ნილისით უკვე პრემიერლიგის ორი ბინადარი დაინტერესებულა — „ტოტენჰემ ჰოთსფური" და „ბლექბერნ როვერსი".

### ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთის წლევანდელმა ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „ბარსლონამ" ფრანგი თავდამსხმელის, ტიერი ანრის თავის რიგებში ხილვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ „მონაკოს" თავკაცის, ჟან ტიგანასგან ცივი უარი მიიღო — ტიერი კლუბს არ დატოვებს და მომავალ წელსაც ჩვენთან დარჩებაო. რაც შეეხება თავად ანრის, მისი თქმით, ამის შესახებ თავად მხოლოდ გაზეთებიდან შეიტყო, პირადად კი არავინ შეხმიანებია. „ბარსელონა" მეორე ესპანური გუნდია, რომელმაც ფრანგი ფეხბურთელის შეძენა მოისურვა. აქამდე ასეთივე თხოვნით „მონაკოს" მადრიდის „რეალი" შეეხმიანა.**

**ესპანეთში** დიდი აჟიოტაჟია ატეხილი „ბარსელონას" თავხოტორა ნახევარმცველ ივან დელა პენიას გარშემო. საქმე იმაშია, რომ მისით ორი მილანური გრანდი — „მილანი" და „ინტერი" დაინტერესდა. ამათგან პირველი, ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელში 2,5 მილიარდ პესეტას (16,7 მლნ დოლარი) და ჰოლანდიელ თავდამსხმელ პატრიკ კლუივერტს იძლევა. უეფას თასის წლევანდელი გამარჯვებულის, „ინტერის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა რონალდომ კი განაცხადა, საკმაოდ კარგად ვიცნობ დელა პენიას, მშვენივრად ვუგებ მას მინდორზე და ძალიან კარგი იქნება, თუ მომავალ სეზონში ჩვენთან გადმოვაო.

**ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი მომავალი სეზონიდან „იუვენტუსში" ან „ბარსელონაში" იასპარეზებს. შავკანიანი თავდამსხმელის თქმით, მისი „მილანში" დარჩენა გამორიცხულია, ხოლო საბოლოო არჩევანს ამ ორ კლუბს შორის უახლოეს მომავალში გააკეთებს. „ „მილანის" უფროსობამ მითხრა, რომ ჩემი გაყიდვა გადაუწყვეტიათ, მაგრამ არც ერთ მათგანს „ბარსელონაზე" სიტყვა არ დაუძრავს. რაც შეეხება „იუვენტუსს", ვიცი, რომ იქ ჩემით სერიოზულად არიან დაინტერესებულნი. როგორც კი ესპანეთიდან რაიმე ცნობას მივიღებ, საუკეთესო ვარიანტს მაშინვე ამოვარჩევ" — განაცხადა კლუივერტმა.**

**ფინეთის** საუკეთესო ფეხბურთელი, ამსტერდამის „აიაქსის" 27 წლის თავდამსხმელი იარი ლიტმანენი შესაძლოა „ბეტისში" გადავიდეს. ესპანური პრესის ცნობით, გასულ წელს უკვე იყო ამ ტრანსფერზე საუბარი, მაგრამ მაშინ მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა და „ბეტისმა" უპირატესობა ბრაზილიელ თავდამსხმელ დენილსონს მიანიჭა. ლიტმანენის კონტრაქტი „აიაქსთან" 1998-99 წლების სეზონის ჩათვლით არის გაფორმებული.

**მადრიდის „რეალის" 28 წლის მეკარემ სანტიაგო კანისარესმა, რომელიც „სამეფო" კლუბში 1994 წლიდან ირიცხება და რომელსაც პირველი დივიზიონის რეკორდი ეკუთვნის (710 წუთი უგოლოდ), განაცხადა, რომ კონტრაქტის დამთავრებისთანავე, 30 ივნისს, გუნდს დატოვებს. სეზონის დასაწყისში კანისარესი „რეალის" ძირითადი მეკარე იყო, მაგრამ მარტიდან მოყოლებული, გუნდის მთავარი მწვრთნელის იუპ ჰაინკესის გადაწყვეტილებით, მისი ადგილი გერმანელმა ბოდო ილგნერმა დაიკავა. შესაძლოა, კანისარესის წასვლის მიზეზიც სწორედ ეს არის. სხვათა შორის, კანისარესის მსურველ გუნდთა შორის სუბისარეტას ამჟამინდელი კლუბი „ვალენსიაცაა".**

## ინგლისი

### გამოტოვებული მატჩი

### ლივერპული 4:0 არსენალი

**ლივერპული:** ფრიდელი, მაკატირი (ტომასი 54), ბები, კარაგერი, ბიორნებიუ, ლეონარდსენი, მაკმანამანი, ინსი, ჰარკნესი, ოუენი, რიდლე (მერფი 90)

**არსენალი:** მანინგერი, დიქსონი, ბოულდი, პლატი, გრიმანდი, აშსონი, ჰიუზი, ბოამორტე, ვრე (მენდესი 70), პარლოუ (ვიეირა 65), რაიტი (ანელკა 65)

1:0, 2:0 ინსი (28, 30), 3:0 ოუენი (40), 4:0 ლეონარდსენი (87)

## ჰოლანდია

### თასის ნახევარფინალი

### აიაქსი 3:0 ჰერენვეენი

1:0 ლიტმანენი (39), 2:0 არველაძე (56), 3:0 ბლინდი (65)

## EURO 2000

### ჩვენი ჯგუფი

ალბანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, რომელიც მან სამშაბათს გააკეთა, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, სიცოცხლეს გამოასალმეს ქვეყნის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებისა და პირველ დივიზიონში მოასპარეზე გუნდის „ფლამურტარი ვლორეს" 19 წლის მცველი ედისონ ნიტო. მკვლელობა მაშინ მოხდა, როდესაც ნიტო და მისი მეგობარი ბარში იმყოფებოდნენ. მკვლელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. „ფლამურტარი ვლორეს" წარმომადგენლებმა ოფიციალური განცხადება გააკეთეს, რომ ტურის მორიგ შეხვედრას „ბესა კავაიეს" წინააღმდეგ არ ჩაატარებდნენ, თუმცა ეს მატჩი, მართალია მოგვიანებით მაინც გაიმართა.

ედისონ ნიტო მესამე ალბანელი ფეხბურთელია, რომლებიც მკვლელებმა იმსხვერპლეს. პირველი, რობერტ ბაირამი, გემზე ჩახოცილ 100 ალბანელთან ერთად იყო, ხოლო ტეუტა დურესი გასული წლის ზაფხულში მოკლეს უცნობმა პირებმა.

## ნორვეგია

მე-6 ტური. კონგსვინგერი — სოგნდალი 3:2; მიოლდე — მოსი 6:0; რუსენბორგი — სტაბეკი 2:2; სტრომგოდსეტი — ლილესტრიომი 2:3; ტრომსო — ბრანი 1:0; ვიკინგი — ჰაუგესუნდი 3:1; ვოლერენგენი — ბოდო გლიმტი 2:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიოლდე | 6 | 4 | 2 | 0 | 18:5 | 14 |
| რუსენბორგი | 6 | 4 | 2 | 0 | 16:4 | 14 |
| ვიკინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 15:8 | 12 |
| სტაბეკი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| ტრომსო | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| მოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:9 | 10 |
| ლილესტრიომი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:18 | 9 |
| კონგსვინგერი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ბოდო გლიმტი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| ვოლერენგენი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | 7 |
| ბრანი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:9 | 3 |
| სოგნდალი | 6 | 0 | 3 | 3 | 6:11 | 3 |
| სტრომგოდსეტი | 6 | 0 | 3 | 3 | 8:15 | 3 |
| ჰაუგესუნდი | 6 | 0 | 1 | 5 | 7:15 | 1 |

## ალბანეთი

30-ე ტური. ლაჩი — სკენდერბუ 1:2; ბილიში — ხკუმბინი 2:0; ტეუტა — ტირანა 2:1; პარტიზანი — ტომორი 3:1; სოპოტი — აპოლონია 1:0; ვლაჟნია — ელბასანი 3:0; ლუშნია — ალბპეტროლი 5:0; შკიპონია — დინამო 1:0; ბესა — ფლამურტარი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაჟნია | 30 | 21 | 5 | 4 | 39:19 | 68 |
| პარტიზანი | 30 | 18 | 4 | 8 | 51:19 | 58 |
| ტირანა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:18 | 56 |
| ტეუტა | 30 | 16 | 2 | 12 | 36:32 | 50 |
| აპოლონია | 30 | 13 | 7 | 10 | 36:27 | 46 |
| შკუმბინი | 30 | 14 | 3 | 13 | 46:39 | 45 |
| ლაჩი | 30 | 14 | 3 | 13 | 40:33 | 45 |
| ბილიში | 30 | 12 | 6 | 12 | 38:30 | 42 |
| ლუშნია | 30 | 12 | 5 | 13 | 48:34 | 41 |
| ტომორი | 30 | 13 | 2 | 15 | 32:42 | 41 |
| ელბასანი | 30 | 12 | 4 | 14 | 36:27 | 40 |
| სკენდერბუ | 30 | 11 | 6 | 13 | 32:43 | 39 |
| ბესა | 30 | 11 | 5 | 14 | 38:43 | 38 |
| ფლამურტარი | 30 | 10 | 7 | 13 | 33:38 | 37 |
| დინამო | 30 | 9 | 8 | 13 | 28:31 | 35 |
| შკიპონია | 30 | 10 | 4 | 16 | 29:51 | 34 |
| სოპოტი | 30 | 9 | 5 | 16 | 31:54 | 32 |
| ალბპეტროლი | 30 | 5 | 4 | 21 | 20:80 | 19 |

დარჩა
FRANCE 98
31 დღე

## ფეხბურთის დროშით
# ჟუნინიო შინ რჩება

— ამ გადაწყვეტილების მიღება რომ ჩვენი გულების ძახილით ყოფილიყო ნაკარნახევი, ჟუნინიო უსიკვდილოდ მოხვდებოდა ნაკრებში, თუმცა ბოლოს მაინც საღმა აზრმა იმარჯვა — ასეთი იყო ბრაზილიელთა მთავარი მწვრთნელის მარიო ზაგალოს კომენტარი ნაკრების საბოლოო შემადგენლობაზე, რომელიც სამშაბათს გამოაქვეყნეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა თავკაცებმა. იქ დამსწრე ჟურნალისტებმა გაკვირვებისგან პირი დააღეს, როცა საფრანგეთში წამსვლელთა შორის ჟუნინიოს ნაცვლად ბარსელონელი ჯოვანის გვარი აღმოაჩინეს.

— ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. კაცს, რომელიც უმძიმესი ტრავმის შემდეგ სრულად ჯერაც არ გამოჯანმრთელებულა, ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ფეხბურთელი ვარჩიეთ და, ვფიქრობ, არც შევმცდარვართ — თავი იმართლა ზაგალომ.

შეგახსენებთ, რომ „ატლეტიკოს" ნახევარმცველმა სამი თვის წინ ესპანეთის ჩემპიონატი ერთ-ერთ მატჩში ფეხი მოიტეხა და დროებით ჩამოშორდა მწვანე მინდორს. თუმცა, ფორმა მალე აღიდგინა და წინა კვირას თავისი გუნდის შემადგენლობაში ითამაშა კიდეც. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ზაგალოს მოსახიბლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მწვრთნელს თურმე მწარედ ახსოვს მსგავს მდგომარეობაში მყოფი ზიკოს (1986 წელს) და რომარიოს (1990 წელს) სუსტი თამაში. ეს ფეხბურთელები მადრიდელის მსგავსად ჩემპიონატის დაწყებამდე ტრამვირებული იყვნენ, თუმცა შესაბამისად მექსიკასა და იტალიაში წასვლაზე უარი არ ეთქვათ და შედეგებმაც არ დააყოვნა. 1986-ში ზიკომ ფრანგებთან გამართულ მეოთხედფინალურ შეხვედრაში გადამწყვეტი პენალტი ვერ გაიტანა და ბრაზილიაც გამოემშვიდობა ჩემპიონატს. 1990 წელს კი ტრავმირებულმა რომარიომ მხოლოდ ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა და პირად ფიზიოთერაპევტთან ხშირი კონსულტაციებით გამუდმებულ დაძაბულობაში ჰყავდა თანაგუნდელები.

ჟუნინიოს მაგივრად 22 კაცში მოხვედრილი ჯოვანისთვის კი ეს ნაკრებში პირველი გამოძახებაა შარშან საფრანგეთში ნათამაშები „ტურნუა დე ფრანსის" შემდეგ.

კიდევ ერთი მოულოდნელობა ჩემპიონატზე წამსვლელთა შორის მცველ მარსიო სანტოსის ჩართვა გახლავთ. ამ ფეხბურთელმა შარშან ნორვეგიელებთან 2:4 წაგებულ შეხვედრაში ისე სუსტად ითამაშა, რომ არავის ეგონა მწვრთნელების თვალთახედვის არეში კიდევ თუ აღმოჩნდებოდა, თუმცა...

— მართალია, იგი ნაკრების გარეშე დავტოვეთ, მაგრამ მუდმივად ვაკვირდებით და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბოლო სამი თვე მან ბრწყინვალედ ჩაატარა სან პაოლოს შემადგენლობაში — ზაგალოს სიტყვები ნამდვილად მალამოსავით დაედებოდათ გულზე მარსელო სანტოსის გულშემატკივრებს.

ბრაზილიაში ბევრ მოთამაშეს ჰქონდა ეროვნულ გუნდში მოხვედრის პრეტენზია. საუკეთესოთა შესარჩევად ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ზაგალომ 63 საერთაშორისო მატჩში 100-ზე მეტი ფეხბურთელი გამოსცადა...

22 რჩეულთაგან შვიდი ოცდაათ წელსაა გადაცილებული, ხოლო ნაკრების ცხრა წევრი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც იცავდა თავისი ქვეყნის ღირსებას. აღსანიშნავია, რომ გუნდში 20 წელზე უმცროსი ასაკის არც ერთი მოთამაშე არ არის.

საგულისხმოა, რომ ვასკო და გამას ვეტერან მცველს მაურო გალვაოს და მეკარეებს — რონალდო ჯიოვანელისა (ფლუმინენსე) და ანრეს (ინტერნასიონალი) ერთხელაც არ მისცემიათ შანსი, ზაგალოსთვის ამხანაგურ შეხვედრებში მაინც ეჩვენებინათ თავიანთი შესაძლებლობანი. არადა, ეს ფეხბურთელები კლუბებში წამყვან როლს თამაშობენ და საუკეთესოებად ითვლებიან.



სარჩიელის არქივიდან

ჟუნინიოს შეიძლება იმედები გაუცრუვდეს

საჯარიმო დარტყმებისა და კუთხურების ჯადოქარს „კორინთიანსის" თავდამსხმელს მარსელო კარიოკას, „პარი სენ ჟერმენის" ელეგანტურ ნახევარმცველ რაისა და „სანტოსის" თავდამსხმელ მიულერს კი ცხვირწინ მიუჯახუნეს ნაკრების კარი. თამამად შეგვიძლია ბარსელონელი სონი ანდერსონიც ამ უიღბლოთა სიაში შევიტანოთ, მიუხედავად იმისა, რომ მას, ბევრისგან განსხვავებით, თავის გამორჩენის რამდენიმე შანსი მიეცა.

ბრაზილიელთა თავკაცს ოპონენტები გაკეთებულ არჩევანს უწუნებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ჟუნიორ ბაიანო ზედმეტად ფეთქებადია და დაცვის შედუღაბება არ ძალუძს, ტაფარელის საუკეთესო წლები წავიდა, კაფუ საშინელ ფორმაშია, რომარიომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბურთს სულ რამდენჯერმე გაჰკრა ფეხი, გუნდის კაპიტანმა დუნგამ ცუდი საქციელი ჩაიდინა, როცა გერმანია-ბრაზილიის ამხანაგური თამაშისას წითელი ბარათი დაიმსახურა, რომ ბებეტო უკვე 34 წლისაა და თანაც უკანასკნელი 18 თვე უფრო ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებებში გაიყვანა, ვიდრე ფეხბურთის თამაშში...

ზაგალოს კი თავი მშვიდად უჭირავს და ყურადღება მთლიანად მოახლოებულ ჩემპიონატზე აქვს გადატანილი. მას ალბათ, არც გაემტყუნება, რადგან ბრაზილიელთათვის ახლა მთავარი გამარჯვებაა. და თუ ისინი თასის მეხუთეჯერ მოპოვებასაც შეძლებენ, მათი მწვრთნელი გმირი გახდება. გმირი, რომელსაც მთელი ბრაზილია ხელში აიყვანს...

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ბრაზილიის ნაკრები წინასაჩემპიონატო შეკრებას 12 მაისს დაიწყებს რიოდან 75 კილომეტრით დაშორებულ მთიან ტერესოპოლისში. 10 დღის შემდეგ კი საფრანგეთში გაემგზავრებიან:

*მეკარეები:* ტაფარელი (ატლეტიკო, მინიერო), კარლოს ჟერმანიო (ვასკო და გამა), დიდა (კრუზეირო);

*მცველები:* კაფუ, ალდაირი (ორივე რომა), გონსალვეში (ბოტაფოგო), ჟუნიორ ბაიანო, ზე რობერტო (ორივე ფლამენგო), რობერტო კარლოსი (რეალი), მარსიო სანტოსი (სან პაულუ);

*ნახევარმცველები:* დუნგა (ივატა), დორივა (პორტო), რივალდო (ბარსელონა), ლეონარდო (მილანი), დენილსონი (სან პაულუ), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო), სეზარ სამპაიო (ანა სატო კოიო), ჯოვანი (ბარსელონა);

*თავდამსხმელები:* რომარიო (ფლამენგო), ედმუნდო (ფიორენტინა), ბებეტო (ბატაფოგო), რონალდო (ინტერი).

### სამხრეთ აფრიკა

პარასკევს ცნობილი გახდა იმ 28 სამხრეთ აფრიკელის ვინაობა, რომელთაგანაც ამ გუნდის უფროსი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე ივნისის დასაწყისში 22 საუკეთესოს შეარჩევს.

მეკარეები: ანდრე არენდსე (ფულემი), ბრაიან ბელოი (კაიზერ ჩიფსი), პოლ ევანსი (სუპერსპორტ იუნაიტედი), ჰანს ვონკი (ჰერენვეენი); მცველები: მარკ ფიში (ბოლტონი), პიერ ისა (მარსელი), ვილემ ჯექსონი (ორლანდო პირატსი), ტემბა მნგუნი (მამელოდი სანდაუნსი), დევიდ ნიატი (სენტ გალენი), ლუკას რადბე (ლიდსი), ჯერალდ რაფალელა (ორლანდო პირატსი); ნახევარმცველები: მარკ არნოლდი (ჰერტა), დალრონ ბაკლი (ბოხუმი), ქვინტონ ფორტუნი (ატლეტიკო), დოქტორ ხუმალო (კაიზერ ჩიფსი), ჰელმან მკალალე (ქაისერსფორი), ჯონ მოეტი (ორლანდო პირატსი), ნოტი მოკოენა (მენინგ რეინჯერსი), ჯონ მოშოუ (ფენერბაჰჩე), ალფრედ ფირი (ვანსფორი), ერიკ ტინკლერი (ბარნსლი); თავდამსხმელები: ბრენდან ავგუსტინი (ლასკი), შონ ბარტლეტი (კეიპ თაუნ სპურსი), ფილ მასინგა (ბარი), ბენედიქტ მაკარტი (აიაქსი), ლებოგანგ მორულა (ვანსფორი), კენი ნიემახი (მამელოდი სანდაუნსი), ჯერი სიხარანა (ორლანდო პირატსი)

### ესპანეთი

სამშაბათს ესპანელთა მთავარმა მწვრთნელმა კლემენტემ ნაკრების საბოლოო შემადგენლობა გამოაცხადა. ყველაზე დიდი სიურპრიზი 22 კაცში „ბარსელონას" ნახევარმცველ ალბერტ სელადესის მოხვედრა გახლავთ. ეს ფეხბურთელი საფრანგეთში წამსვლელთა სიაში თანაგუნდელი ხოსეპ გვარდიოლას ნაცვლად მას შემდეგ შეიყვანეს, რაც ამ უკანასკნელმა განაცხადა, ფორმაში არა ვარ და გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერაფრით დავეხმარებიო. აღსანიშნავია, რომ კლემენტემ სელადესის გარდა ესპანეთის ნაკრებში კიდევ შვიდ კატალონიელს უხმო. გასულ თვეში დასახელებული 29 სავარაუდო კანდიდატიდან შვიდს ამჯერად შინ დარჩენა მოუწევს. გვარდიოლას გარდა ამ უიღბლოთა სიაში შევიდნენ: ნახევარმცველები: ბენჟამინი, ემილიო ამავისკა და ფერნანდო სანჩესი; მცველები: დენია და რობერტო რიოსი და თავდამსხმელი ოლი ალვარესი.

ოცდაორკაციან სიაზე ერთი თვალის გადავლებით ადვილად აღმოვაჩენთ, რომ კლიმენტემ ძირითადი აქცენტი კვლავ ვეტერანებზე და გამოცდილ ფეხბურთელებზე გააკეთა. მწვრთნელის ასეთი გადაწყვეტილება ერთგვარად სარისკოც კი გახლავთ. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საფრანგეთში წამსვლელ მოთამაშეთა ნაწილს გასულ სეზონში ჩავარდნა ჰქონდა და ისინი ადრინდელივით თავიანთ გუნდებში წამყვან როლებს ველარ ასრულებდნენ.

შეგახსენებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატი 19 მაისს გასრულდება. ნაკრების ფეხბურთელები კი ხუთ დღეს დაისვენებენ და 22 მაისიდან წინასაჩემპიონატო შეკრებაზე გაემგზავრებიან კურორტ პუენტე ვიესგოში.

მეკარეები: ანდონი სუბისარეტა (ვალენსია), სანტიაგო კანისარესი (რეალი), ხოსე მოლინა (ატლეტიკო); მცველები: ალბერტ ფერერი, მიგელ ანხელ ნადალი, სერხი ბარხუანი, აბელარდო ფერნანდესი (ბარსელონა), ფერნანდო იერო (რეალი), რაფაელ ალკორტა კარლოს აგილერა (ატლეტიკო), ივან კამპო (მალიორკა), აგუსტინ არანზაბალი (სარაგოსა); ნახევარმცველები: ლუის ენრიკე, გილერმო ამორი, ალბერტ სელადესი (ყველა ბარსელონა), იულიენ გერერო (ატლეტიკი); თავდამსხმელები: რაული, ფერნანდო მორიენტესი (რეალი), ალფონსო (ბეტისი), ხოსება ეჩებერია (ბილბაო), კიკო ნარვაესი (ატლეტიკო), ხუან პიცი (ბარსელონა).



სარჩიელის არქივიდან

პოლ გესქოინი

# ოპტიმისტი გაზა მადლიერია

ინგლისის ნაკრებისა და აწ უკვე პრემიერლიგის ბინადრის, „მიდლსბროს" ნახევარმცველმა, თავისი სკანდალური გამოხდომებით განთქმულმა პოლ გესქოინმა განაცხადა, რომ თუ ინგლისელები წელს ვერ მოიპოვებენ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს, ამას ოთხ წელიწადში ნამდვილად შეძლებენ. ამაში გასკოინი იმიტომ ყოფილა დარწმუნებული, რომ, როგორც თვითონ თქვა, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა ინგლისელებს კარგა ხანია, არ ჰყოლიათ. მეტიც, გაზას იმდენად სჯერა თავის ახალგაზრდა თანამემამულეების, რომ შემდეგი განცხადება გააკეთა: „დამიჯერეთ, ჩვენ ძალიან გვჭირდება და გვინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდეთ, მაგრამ თუ ეს წელს, საფრანგეთში ვერ შევძელით, მაშინ მზად ვარ, საკმაოდ დიდი თანხა დავდო იმაზე, რომ მსოფლიოს თასი ოთხი წლის შემდეგ ინგლისში დაიდებს ბინას."

მომავალზე ოპტიმისტური საუბრის შემდეგ, გესქოინი, რომელიც მარტში შოტლანდიის ჩემპიონ „გლაზგო რეინჯერსიდან" პირველი დივიზიონის „მიდლსბროში" გადავიდა, დღევანდელობას დაუბრუნდა და თავისი ძველი მწვრთნელი ვოლტერ სმიტი მეტად ტკბილად მოიხსენია: „ვოლტერ სმიტი დიდი კაცია. მე მას ძალინ ვაფასებ და ვიცი, თუ რამდენს ნიშნავს იგი ჩემთვის. იგი ყოველთვის გვერდზე მედგა — ჭირშიც და ლხინშიც. თუნდაც ის ფაქტი, რომ ვოლტერი კვლავ მპატიჟებს ხოლმე თავის საშობაო ლანჩზე, სადაც საუკეთესო ბრენდი ისმევა, ჩემთვის მეტად სასიხარულოა. მე მას ყოველივე კარგს ვუსურვებ და მან ეს კარგად იცის."

### იაპონია

იაპონელებმა გამოაცხადეს იმ 25 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც მსოფლიოს ჩემპიონატამდე გასამართ კირინის თასზე მიიღებენ მონაწილეობას. 2 ივნისს კი დასახელებულთა რაოდენობა 22-მდე შემცირდება.

მეკარეები: იოშიკაცუ კავაგუჩი (იოკოჰამა მარინოსი), სეიგო ნარაზაკი (იოკოჰამა ფლუგელსი), ნობოიუკი კოჯიმა (ჰირაცუკა); მცველები: მასამი იჰარა, ნორიო ომურა (იოკოჰამა მარინოსი), იუტაკა აკიტა, ნიაკი სომა, აკირა ნარაჰაში (კაშიმა ანტლერსი), ტოშიჰიდე საიტო, დაისუკე იშიკავა; (შიმიცუ), ეისუკე ნიკანიში (ჯეფ იუნაიტედი); ნახევარმცველები: მოტოჰირო იამაგუჩი (იოკოჰამა ფლუგელსი), ჰიროაკი მორიშიმა (კერეზო ოსაკა), ჰიროში ნანამი (ივატა), ტაკაში ჰირანო (ნაგოია გრამპუს ეითი), ჰიდეტოში ნაკატა (ჰირაცუკა), ცუიოში კიტაზავა (ვერდი კავასაკი), ტოშიჰარო ჰატორი (ივატა), შინჯი ონო (ურავა რედზი), ტერუიოში იტო (შიმიცუ); თავდამსხმელები: კაზუო მიურა (ვერდი კავასაკი), შოჯი ჯო (იოკოჰამა მარინოსი), მასაიუკი ოკანო (ურავა რედზი), ვაგნერ ლოპესი (ჰირაცუკა), მასაში ნაკაიამა (ივატა).

# ჟაკე ფიქრობს, ბა კი ნერვიულობს

საფრანგეთის ნაკრების მარჯვენა გარემარბმა იბრაჰიმ ბამ განაცხადა, რომ მას არც კი წარმოუდგენია თავი ნაკრებსა და მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა. მისივე თქმით, სამფეროვანთა გუნდს შესწევს ძალა იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვოს, მაგრამ ამისთვის გუნდის კიდევ უფრო კარგად შეთამაშება და დაბალანსებაა საჭირო. „საფრანგეთის ნაკრები ყოველთვის ჩემს გულში ზის და მე ვიცი ერთი რამ — მე მზად ვარ" — თქვა შავკანიანმა და თეთრთმიანმა ფეხბურთელმა ფრანგული ყოველკვირეული გაზეთის „ლე ჟურნალ დუ დიმანშ"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. ამავე ინტერვიუში მან კიდევ ერთი აზრი გამოთქვა: „ჩემი აზრით, დღევანდელი ნაკრები უფრო ძლიერია, ვიდრე 1986 წლის, როდესაც მისი ლიდერი მიშელ პლატინი იყო."

ამასობაში კი საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ემე ჟაკე საბოლოო არჩევნისათვის ემზადება და მის შედეგებს, ანუ სამფეროვანთა გუნდის შემადგენლობას დღეს გაგვაცნობს.

გიო ახვლედიანის



სპექტრი

## მილანის „ინტერის" დასაცავად

გინდა მომკალით, გინდა დამარჩინეთ, მაგრამ როცა ორი იტალიური გუნდი თამაშობს, გულით ვერცერთთან მივდივარ?

განა არ ვიცი? ხანიმუშო კვალიფიკაცია, ღრმა ცოდნა, გამოზომილი ტაქტიკა, ნატიფი ტექნიკა, მსოფლიოს უმაღლესი დონე — ეს ყველაფერი სერია A-ს თამაშია, მაგრამ ერთხელ ჯანფრანკო ძოლას წამოსცდენია, იტალიაში საფეხბურთო მატჩზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო მატჩის ტელერეპორტაჟიაო და ამ გამონათქვამის ბრალია, თუ სხვა რამის, იტალიელთა შორის ვერავის ვქომაგობ, ისე კი, რომელი ნევიო როკო და ენცო ბეარზოტი მე ვარ, რომ თამაშს სპეციალისტის თვალით ვუყურო?

იტალიურ ფეხბურთში თამაში და შეჯიბრი მეტად თავისებურადაა შეხამებული, მაგრამ ახლა ამის გამო ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა.

მე უფრო სხვა რამ მინდა ვთქვა.

აი, ოთხშაბათს უეფას თასის ფინალი იყო ორ იტალიურ გუნდს შორის და ამგვარად ერთმანეთში მოთამაშე ორი იტალიური გუნდი მე არ მინახავს. ცალკე „ლაციოა" დახვეწილი, „თეთრი" ფეხბურთის გუნდი თავისი რობერტო მანჩინითა და ვალოდია იუგოვიჩით, აქეთ კიდევ „ინტერნაციონალე".

სწორედ „ინტერის" გამო უნდა მოგახსენოთ: ჩვენში იშვიათად იპოვი საერთაშორისო ფეხბურთის ქომაგს, „ინტერის" გაგონებაზე ცხვირი რომ არ აიბზუოს — ფუჰ, ეს რა საზიზღარი რამ არის, ამდენი ვარსკვლავი ჰყავს და ვერაფრისთვის მიუღწევია, არა აქვს შთამბეჭდავი, თანამედროვე ტაქტიკა და არა ჰყავს ფართო თანამედროვე აზროვნების მწვრთნელი, რომელიც შეძლებდა და ამ საუცხოო ფეხბურთელებისგან ისეთ გუნდ-მკვლელს შთაბერავდა სულს, როგორიც ფაბიო კაპელოს „მილანი" იყო.

სხვანაირად, ამდენი ვარსკვლავის მოცდენა თანამედროვე ფეხბურთის ღალატს უდრის და ამიტომაც „ინტერი" თუნდ იგებდეს, მაინც ულამაზო და გამაღიზიანებელია, რადგან „იუვენტუსივით" სამხედრო ავიაციის მოტორის ბღუილს არ გააგონებს ხალხს და არც „ლაციოსავით" გაპრიალებულია შვედური „ვოლვოს" დარადო.

მე კი რას ვფიქრობ, რომ „ინტერს" აქვს ერთი ღირსება, რომელიც სანთლით საძებარია დღევანდელ ფეხბურთში. „ინტერი" ნაღდ ვარსკვლავთა გუნდია და მისი ხიბლიც ეს არის. აქ ვარსკვლავები გუნდისთვის არიან და არა მაინცდამაინც მწვრთნელის რვეულისთვის (აი, როგორ ხდება ხოლმე — დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი ფეხბურთელი დავიდ ჟინოლა მწვრთნელის რვეულში რომ ვერ ჩაეტია). ვარსკვლავები და ვარსკვლავობასთან ახლო მდგომი ფეხბურთელების ასეთი რაოდენობა ფეხბურთის წარსულისკენ მიგვახედებს და რაღაცით გვახსენებს იმ დროს, როცა ფეხბურთი ვარსკვლავ-ჯადოსანთა ხელში იყო.

იმხანად თამაშის სახეს ვარსკვლავი განსაზღვრავდა და დღევანდელ ფეხბურთში ყველაზე მკვეთრად ეს „ინტერში" ჩანს. შარშან ჩანდა „ბარსელონაში" და წელს „ინტერში" ჩანს.

ახლა თქვენ იფიქრეთ, ეს რონალდოისტი ყოფილა, ჩვენ კი დელ პიერო გვირჩევნია და ამის ნაწერის კითხვა აღარ გვჭირდებაო, მაგრამ ერთსაც ვიტყვი და დავამთავრებ.

რონალდო სწორედ იმ ძველი დროის ნამტვრევი მგონია, როცა ფეხბურთელის ფეხები ჯადოქრის კვერთხს ჰგავდა. ის 50-იანი წლების ვარსკვლავებს ჩამოჰგავს და „ინტერშიც" ტყუილად არ არის. რა თქმა უნდა, წლევანდელ „ინტერს" სანახაობის და ალმაფრენის ამბავში ვერ შეადარებ შარშანდელ „ბარსას", მაგრამ ეშმაკმა წამოიღო და ძალიან მომწონს, როცა ისე ურტყამენ კარში, როგორც ხავიერ ძანეტი, ისე ატყუებენ მეკარეს, როგორც ამას რონალდო და შეუძლიათ მოთამაშეთა რიგში თავის ან ფეხის ისე გაყოფა, როგორც სამორანოს. „ინტერის" თამაში მაშინ არის ხოლმე კარგი, როცა ეს სამი რამ ერთმანეთს დაემთხვევა. დღევანდელ ფეხბურთში ვარსკვლავები სულ უფრო იშვიათად თამაშობენ ისე, როგორც ვარსკვლავები უნდა თამაშობდნენ.

„ინტერს" კი, თუნდ მოსაწყენი და ძნელი იყოს, აქვს კიდევ ერთი გამორჩეული უნარი — ულამაზესი გოლის გატანისა.

განა „ინტერი" ყოვლისშემძლეა? პირიქით, ძალიან ხშირად ის ტყუილად ღვრის ოფლს.

იტალიაში წესად არის მოთამაშეთა მცირე რაოდენობით შეტევა, რადგან აქ შეტევა უპირველესად მოულოდნელობის, გამოჭერის ეფექტს ემყარება. „ინტერიც" მთლად თითო კაცით შეუტევს ხოლმე და ამითაც გვახსენებს იმ ძველ ფეხბურთს, როცა ვარსკვლავი, მარტოკაცი წყვეტდა ხოლმე თამაშის ბედს.

ეგებ ეს სისულელეა, მაგრამ მე ამიტომ მომწონს „ინტერი".

უბრალოდ, მომწონს, რომ მოედანზე ბევრი ვარსკვლავია და მიხარია, რომ სამს კიდევ შეუძლია შემოსვლა. დანარჩენი?

განა ჯიჯი სიმონი მარჩელო ლიპია? ვერც შევადარებ, მაგრამ რომ დაიწყებენ ჩამოთვლას: კონტე, პეკია, დი ლივიო, მონტერო, დიმაში, და მიმაში, ვერც ერთს ვერ ვცნობ და რა ვქნა? „ინტერში" კი ვინტერიც მახსოვს და რეკობაც, რადგან ძირითადიდან დაკარგულმა კაცმაც კი ამ სეზონში რაღაც ეფექტურით დამამახსოვრა თავი.

# ამბავი მეთოფეთა გამარჯვებისა

ლონდონის „არსენალმა“ მეთერთმეტედ მოიგო ინგლისის ჩემპიონობა და ახლოა იმასთან, რომ საქვეყნო დუბლიც გააზეროს, რაზან მომავალ შაბათს ასოციაციის თასის ფინალში თამაშიც უწევს.

უკანასკნელად დუბლი „არსენალმა“ ოცდაშვიდი წლის წინათ მოიგო, ჩემპიონობა კი შვიდი წლის წინათ. ამ შვიდ წელიწადში ინგლისს სულ სამი ჩემპიონი ჰყავდა: „ლიდსი“, „ბლექბერნი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც წინ ფრანგი ერიკ კანტონა მიუძღვოდა.

სწორედ კანტონა იყო პირველი კონტინენტელი ფეხბურთელი, დისკვალიფიკაციისშემდგომ კუნძულურ თამაშში რომ მანამდე არნახულ წარმატებას მიაღწია და ორი კლუბის „ლიდსისა“ და „მანჩესტერის“ შემადგენლობაში ზედიზედ გახდა ინგლისის ჩემპიონი. აქვე გაირკვა, რომ პრემიერლიგა ნორვეგიელთა გარდა ფრანგთათვისაც მოუგონიათ. რატომაც არა? ფრანგები ყოველთვის შემტევ, ლაღ ფეხბურთს თამაშობდნენ.

მაგრამ კანტონა პირველი დიდი ფრანგი იყო. მას დავიდ ჟინოლა, სრულიად განსაკუთრებული ნიჭისა და გაქანების, ვარსკვლავი მოჰყვა.

ხოლო როცა წლინახევრის წინათ ლონდონის „არსენალმა“ მენეჯერი ბრუს რიოქი მოხსნა და იაპონიაში დაიწყო ფრანგის ძებნა, ჰაიბერელ ფანებს ღიმილი შეახმათ სახეზე: „არსენ ვინა? მერე ჩვენგან რა უნდა?“

არსენ ვენგერი, „მონაკოს“ ოდინდელი მწვრთნელი, რატომღაც საპენსიო ჯეი ლიგაში გადაბარგებულიყო. ალბათ, ევროპული ყაყანი მობეზრებოდა და თავის საბანკო ანგარიშზე ერთი ნულის წამატებაც უნდოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად ფეხბურთის კაცი იყო და მიწვევა-გამოწვევაც მიიღო.

და რაღა იყო „არსენალი“ იმ სექტემბერს?

ეს იყო კლუბი, რომელსაც სევდის მარადიული კრიზისი შეჰყროდა.

ეს იყო კლუბი, რომელსაც უკვე ჰყავდა მსოფლიო ვარსკვლავი დენის ბერხკამპი, პრემიერლიგის ისტორიული მეგოლე იან რაიტი, ნაკრების მეკარე სიმენი, ნაკრების კაპიტანი ადამსი, ნაკრების გარემარბი მერსონი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი პლატი და მხარბეჭიან შიდა მწიშვნელობის ვარსკვლავ-ვეტერანთა მთელი წყება ლი დიქსონის, რეი პარლოუსი და ნაიჯელ უინტერბერნის თამადობით.

ფეხბურთელთა ძალმოსილებით ეს გუნდი ყველას აჯობებდა, ფეხბურთელთა ფრთის გაშლით კი ბევრს ვერა.

არსენ ვენგერი ის კაცი იყო, ვის ხელშიც არაერთ ვარსკვლავს გაევლო მონეგასკურ კლუბში მუშაობისას. და პრინციპში, რაც ვენგერმა საუცხოოდ იცის ფეხბურთში, ეს მოთამაშის გამოფხიზლება, მისი ვარსკვლავურ გზაზე შეყენება და მასში საუკეთესოს გუნდური თამაშისთვის მისადაგებაა. მის ხელში გაბრწყინებულან თუნდაც გლენ ჰოდლი და ჯორჯ ვეა.

ჰაიბერზე დამკვიდრებული ვენგერი ერთთავად ამტკიცებდა, ინგლისური ფეხბურთის ავანჩავანი ძალიან კარგად ვიცი და ჩემი გუნდი უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებსო. მისი ეს სიტყვები ძნელად თუ ცვლიდა საქმეს, რადგან „არსენალი“ თამაშობდა მძიმედ, მშრალად და იან რაიტის ეფექტურ გოლებს შეუძლებელი მარცხები ენაცვლებოდა ხოლმე.

ინგლისური ფეხბურთი ყოველთვის ჯიუტად ადგა თავის გზას. აგერ ას მეცხრე წელიწადი ილევა, რაც ამ ქვეყანაში რეგულარული ჩემპიონატი მიმდინარეობს და ამ საუკუნის განმავლობაში მოწინავე გუნდებს უკვე ჩამოუყალიბდათ იერ-სახე და სათამაშო პრინციპი. აი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბასბის დროიდან უკანმოუხედავ შეტევას, ე.წ. „სიამოვნების ფეხბურთს“ მისდევს. „ლივერპულს“ შენკლიმ და კეისლიმ დაუთქვეს აწყობილი გუნდური თამაშის პრინციპი, შუა მოედნის პყრობა და არაორდინალური თავდასხმა. „არსენალის“ ტრადიცია კი, ვგონებ ჩეპმენის დროიდან, რაღაც თვალშისაცემი პრაგმატიზმი იყო — უმტკიცესი დაცვა, დროის წელვის ხელოვნება და სწრაფი კონტრშეტევა, რომელიც ბასრი დარტყმებით ბოლოვდებოდა.

ასეთი იყო „არსენალი“ ყოველთვის და ყოველჟამს.

დისკვალიფიკაციის ხანის მეთოფეთა გუნდს სქოთი ჯორჯ გრემი ქმნიდა, 70-იანი წლების „არსენალის“ მცველი, თავისთავად საუცხოო მენეჯერი, რომელმაც არნახულ დონემდე გაზარდა მთქნარების შესაძლებლობა „ჰაიბერის“ ტრიბუნებზე და გუნდს მრავალი ტიტული მოუტანა: ორჯერ გახდა ჩემპიონი და საშინაო და ევროპული თასებიც დაავანა მშობლიურ სტადიონზე



„არსენალს“ და რაიტს წუწაობის დროც დაუდგათ

სარბიელის არქივიდან

რით იყო ცნობილი გრემის გუნდი?

მას „მოსაწყენ არსენალს“ უწოდებდნენ. ის კი ტიტულებს იგებდა. იმ დროის „არსენალი“ განთქმული იყო იან რაიტის უნარით სეზონში 30-35 გოლი გაეტანა და დაცვის ხაზის არნახული სიმტკიცით (სიმენი — უინტერბერნი — ლინიგენი (კეუნი) — ადამსი — უინტერბერნი).

შემდეგ გრემი ფინანსურ სკანდალში გაეხვა. ბრუს რიოქს იმედი ჰქონდა, რომ მის ადგილას დიდხანს იქნებოდა, მაგრამ შარშანდელი პრემიერლიგის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე მოხსნეს და კლუბი უმენეჯეროდ შეაგებეს ჩემპიონატს.

არსენ ვენგერი სექტემბერში მოვიდა.

განა ჩვენ ბოლო ორი პრემიერლიგის მიმდინარეობას აღვწერთ? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, უნდა ვთქვათ, რომ ლონდონი თვალსა და ხელს შუა იქცა საფეხბურთო ბაბილონად და მისი გავლენა ინგლისურ ფეხბურთზე თანდათან გაიზრდება. დედაქალაქის კლუბებმა დიდი კოსმოპოლიტური ტრანსფერები იტვირთეს და თავიანთი შემადგენლობა უცხოელთა თამაშზე ააგეს. „ჩელსი“, „ტოტენჰემი“, „ვესტ ჰემი“ და რა თქმა უნდა, „არსენალი“ ამ მხრივაც გამოირჩეოდნენ. სადღეისოდ, ამ ოთხიდან სამს წყალგაღმელი მენეჯერი ჰყავს. და რა თქმა უნდა, ვენგერიც ამათ შორისაა.

ვენგერის გრძელ სიაში, ძირითადად ახალგაზრდა, მაგრამ დიდი პოტენციალის ფეხბურთელები მოხვდნენ: ფრანგები ვიეირა და ანელკა, ლიბერიელი ვრე, პორტუგალი ბოა მორტე, ავსტრიელი მანინგერი და ა.შ. მაგრამ ეს უფრო ხვალინდელი შემადგენლობა იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფრანგს ლონდონი მოსწონს. იყო ვარსკვლავთა ან ცნობილთა რეესტრიც, მარკ ოვერმარსი, ფრანგი პეტი და სხვანი.

თავად ვენგერის სიტყვები თავის ახალგაზრდათა შესახებ ტრაბახად უფრო ჩანდა. რადგან ამ გაზაფხულამდე მეთოფეთა გუნდში სისხლში გამჯდარი რამდენიმე ადათი მოქმედებდა. ვთქვათ ასეთი: გოლები იან რაიტს გააქვს, ხანდახან — ბერხკამპს. თუ თამაშობს ბერხკამპი, თამაშობს „არსენალიც“. ვენგერი კი იმეორებდა, გუნდში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელები მყავს, ჰა, თუ ყმაწვილნი, ჰა, თუ ძველგაზრდანიო.

პრობლემები კი მრავლად იყო. მწვრთნელი ვერ ახერხებდა ჰარმონიის განფენას ძირითად შემადგენლობებში. ძველი ფეხბურთელები სტერეოტიპებით ირჯებოდნენ, ახლები დაბნეულნი ჩანდნენ. ესეც არ იყოს და, ტონი ადამსისა და ლი დიქსონისთვის სულაც არ იყო იოლი რაღაც ახლის უპირობოდ მიღება. სეზონის წინ ვენგერის მოთხოვნით გაიყიდა კლუბის ცოცხალი სიმბოლო პოლ მერსონი და ეს მაშინ, როცა გუნდის უმთავრეს პრობლემად მოძრაობა რჩებოდა. მარკ ოვერმარსი ძნელად შედიოდა თამაშში. მოძრაობის პრობლემა მხოლოდ რაიტსა და ბერხკამპს არ ჰქონდათ. პირველი საკლუბო რეკორდის დასამხობად იყო ანთებული, მეორეს კი ის ყინულის გული გალღობოდა და თავის საუკეთესო ინგლისური სეზონის ჩასატარებლად ემზადებოდა.

წლევანდელი პრემიერლიგის ინტრიგა ლონდონსა და მანჩესტერს შორის დასუნსულებდა. ის, როგორღაც, ორ ეტაპად გაიყო. შარშანდელ ჩემპიონსა და წლევანდელ გამარჯვებულს შორის ჭიდილი ამ პრემიერლიგის უმთავრესი ნიშანი იყო.

ჩემპიონატი რომ გახურდა, ორი რამ შეიქნა ცხადი: პირველი ის, რომ „მანჩესტერმა“ „ტრადიცია“ დაარღვია და შემოდგომიდანვე შთამბეჭდავად თამაშობს ინგლისსა და ევროპაში, მეორე კი ის, რომ „არსენალის“ წარმატება ბერხკამპისა და რაიტის ბრწყინვალე ფორმაზე ჰკიდია.

„არსენალი“ ეფექტურად ირჯებოდა და საუცხოო გამარჯვებებს შოკისმომგვრელ მარცხს უნაცვლებდა. „ჰაიბერის“ პუბლიკა გაურკვევლობას მოეცვა. ევროპული არენის სამარცხვინოდ დატოვება, უდისციპლინო თამაში (ყვითელ-წითელ ბარათთა მთელი წყება), პრობლემები „ლესტერის“ დარ გუნდებთან და მაინც შთამბეჭდავი გამარჯვება „მანჩესტერ იუნაიტედზე“ ორი შარშანდელი მარცხის მოსაწმენდად. მაგრამ პრობლემები მაინც დიდი იყო, განსაკუთრებით გასახდელში, სადაც უცხოელები და ინგლისელები აშკარად სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ, ან სულ არ ლაპარაკობდნენ.

ზამთრის პირას „მანჩესტერმა“ იმხელა მარაგი შეიქმნა, რომ ცხადი გახდა, ტახტიდან მისი ჩამოგდება მხოლოდ სასწაულს, ძალიან მკვეთრ რაღაცას შეუძლია.

„არსენალს“ კი თითქოს ყველა ჭრილობა გაეხსნა. აბა, ვის არ ახსოვს სულისმღაფავი მეთოფენი, რომელსაც „ბლექბერნმა“ ჰაიბერიზევე გაუტენა თოფები მიწით, სამი გოლი გაუტანა, დაჩაგრა და გაამასხარა? „არსენალი“ მზობლავ, ილაჯგაწყვეტილ გუნდს ჰგავდა. ფანებმა ფეხბურთელებს აგინეს, იან რაიტმა ფანებს. მონასტერი არევის პირას იყო და სწორედ აქედან დაიწყო დრამა, რომელსაც „მეფეთა დამხობა“ უნდა ვუწოდოთ.

იანვრის თვე ის დროა პრემიერლიგაში, როცა ყოველი ძველი ტკივილი ახალი ძალით იჩენს ხოლმე თავს. თებერვალში კი ყოველი ჭრილობა იხსნება და ვაი იმას, ვინც ტკივილი დაძლია და დროზე ვერ უწამლა თავს. წელსაც ასე იყო: ჩემპიონთა ლიგისკენ მრბოლავი „ჩელსი“ გულიტის გადაყენებამ დაამუხრუჭა, „ბლექბერნი“, პროვინციული გუნდი-ვარსკვლავი, ფრონტის სიგანეს ველარ გასწვდა, „მანჩესტერში“ ტრავმებზე დაყრდნობილი გუნდური კრიზისი გაღვივდა. „არსენალს“ დევიდ სიმენი და იან რაიტი გამოაკლდნენ ტრავმების გამო, პატრიკ ვიეირას და ბერხკამპს კი მგონი მთელს კარიერაში არ მიუღიათ ამდენი დამსჯელი ბარათი. მერე ბერხკამპიც დაშავდა. თუმცა, ეს მერე იყო.

ძნელი სათქმელია, როდის დაიჭირა ვენგერმა მომენტი და როდის გახსნა გუნდი, მაგრამ ფაქტი ერთია, 28 იანვრიდან, ვიდრე 3 მაისამდე „არსენალმა“ ორადორი გოლი გაუშვა და ყველა თამაში მოიგო. თვენახევარს იდგა სიმენის ადგილას მთლად ყმაწვილი ალექს მანინგერი და მშრალად შეინახა კარი. ადამს-უინტერბერნ-ბოულდის „ჯგუფმა“ დაივიწყა ის, რომ ჯამში ასზე მეტი წლისაა და კლდედ იქცა, რამაც მსუბუქად მოგვაგონა გრემის დროება. გუნდი ამოძრავდა, გაიშალა, რეი პარლოუმ მარცხენა ფრთა გადათხარა, მარკ ოვერმარსმა მარჯვენა, ვიეირამ მთელი შუამოედნის პყრობა შესძლო, ანელკამ კი თამაშის ბედის გადაწყვეტის ხელოვნება შეითვისა. „არსენალი“ ამოძრავდა, დაიქოქა და მძლავრი და შთამბეჭდავი შეიქნა.

ვენგერს სწორედ ამ საქმის დასაწყისში დასცდა: „ჩვენ ჩემპიონები გავხდებით და თასსაც მოვიგებთ“. მან უკვე იცოდა, რომ აეწყო. ჯერჯერობით სხვამ არავინ. გოლები აღარ იყო რაიტისა და ბერხკამპის პრეროგატივა. გოლები გაჰქონდა ყველას. ყველა ხდებოდა გამარჯვების შემოქმედი. ერთი თამაში ვრეს გოლმა მოიგო, ერთი ვიეირასამ, სამი ოვერმარსისამ, ერთიც პარლოუსამ და ა.შ.

საშემოდგომო მარაგით ზურგგამაგრებული „მანჩესტერი“ კი ყველაფერს თმობდა, ევროპასაც, სახლსაც, ცოტას აგებდა, მაგრამ ველარაფერს იგებდა და როგორც ყველაფრის დასასრული, ფერგიუსონის გუნდის გარდაუვალი განწირულობის წამი „ოლდ ტრეფორდზე“ დადგა. „არსენალმა“ აჯობა ტანჯულ „იუნაიტედს“ ერთი სპონტანური კომბინაციის შედეგად გატანილი ოვერმარსის გოლით, მაგრამ აჯობა ჯანით, გახსნილობით და მოძრაობით, კომბინაციათა ხლართვის უნარით.

„არსენალი“ საბოლოოდ გაიხსნა ამ თამაშით. ცხადი შეიქნა, რომ ის ჩემპიონი გახდებოდა.

არსენ ვენგერს კი ნაღდად ეკუთვნის ტაში, მას ფეხბურთის მაჯაზე უდევს ხელი და მაჯისცემაც კარგად ესმის. როცა მაჯისცემა გესმის, მაშინ დამაწყნარებელ წვეთებსაც იოლად იპოვნი. ძველი და ახალი არსენალის გზაგასაყარზე ტიტული იდო. ეს უცნაურია. მაგრამ ამაზე უცნაური ის არის, რომ „არსენალი“ „ლალატობს“ „არსენალს“. თუმცა რა, საფეხბურთო ლონდონი ხომ საოცრად კოსმოპოლიტური ადგილია, წარსულის აჩრდილები კი მხოლოდ აჩრდილები ყოფილან და სხვა არაფერი. ალბათ, ტონი ადამსიც მალე იქცევა ინგლისური ფეხბურთის წარსულად, მის ადგილს კი გუნდში რომელიმე ლუიშ ბოა მორტე დაიჭერს.

და მეთოფენი ჩემპიონები არიან.

არსენ ვენგერს კი ბედმა გაუღიმა, რომ არც „ჩელსიში“ მოხვდა და არც „ტოტენჰემში“, არამედ ძველ, დინჯ, სერიოზულ და გეგმაზომიერ „ჰაიბერიზე“, სადაც ხალხს ერთი ხელის დაკვრით არ იშორებენ.

**ირაკლი გამყრელიძე**

## სატირული ფეხბურთი — კითხვა-პასუხი

*— გამარჯობა. დღეს რაზე ვილაპარაკოთ?*

— რაღაა სალაპარაკო?

*— რატომ?*

— სიზმარი ენახე და ყველაფერი გავარკვიე.

*— რა სიზმარი?*

— ვითომ ბრაზილია ჩემპიონი გამხდარიყოს, ბლატერი კი ფიფას პრეზიდენტი.

*— უჰ, რა კოშმარული სიზმარი გინახავს. როგორ მეცოდები.*

— მე რას გეცოდები, ფეხბურთი შეიცოდე. კიდევ ენახე რომ მარადონა ნაკრებში დააბრუნეს.

*— აუჰ, კიდევ უფრო დიდი...*

— კიდევ, ფრანგებს მაიკები აერიათ ინგლისელებთან თამაშის წინ და რახან ინგლისელებმა მოუგეს, ხალხმა იფიქრა, ჩემპიონები ფრანგები გახდნენო და იზეიმეს, ამასობაში კი ინგლისელებმა ფრანგების მაიკები გაიხადეს და თავისი ჩაიცვეს, რამაც ფრანგი ხალხი ალაშფოთა.

*— რატომ?*

— ჩვენს ნაკრებს ინგლისის ფორმა რატომ აცვიაო.

*— მერე.*

— მერე ინგლისელებმა დაუმტკიცეს, რომ ფრანგები არ არიან.

*— როგორ?*

— როგორ და ჩვენ მხოლოდ ორი ზანგი გვყავს, თქვენ კი მხოლოდ ორი თეთრიო.

*— ვაჰ, რა ჭკვიანური უთქვამთ.*

— შენ რა, ინგლისელები სულელები გგონია?

*— როგორ გითხრა?*

— მითხარი.

*— სულელები ნამდვილად არ მგონია, მაგრამ შენ მართლაც სულელური სიზმარი გინახავს. სად გაგონილა გუნდებს მაიკები არეოდეთ?*

— ჰმ. შენ გგონია, შემთხვევით მოხდა?

*— აბა?*

— მისმინე: ჰოდლი ხომ არის ვენგერის ახლობელი. ვენგერი კი ჟაკეს ახლობელია.

*— მერე მაქედან რა გამოდის?*

— ის, რომ ჟაკეს შიში ჰქონდა, რომ მოვიგო, არ შემაქებენ და რომ წავაგო, მომკლავენო და ჰოდლს სთხოვა, მოდი, მაიკები გავცვალოთ. თუ წავაგე, ხალხს ინგლისი ვეგონები და თუ მოვიგე, გავიხდი და მივახვედრებ, რომ ფრანგი ვარო.

*— მერე, ჰოდლმა რაო?*

— ჰოდლმაც იფიქრა, მეც მაწყობსო, თუ მოვიგე, ხომ გავიხდი და ინგლისელობას დავამტკიცებ, თუ წავაგე და ფრანგის სამოსით გავიპარებიო.

*— მართლა მაგარი სიზმარი გინახავს, მაგრამ დესაი როგორ უნდა გეგონოს ტონი ადამსი?*

— დესაი კემპბელი უნდა გეგონოს.

*— და ბექემი ბა არა?*

— თუნდაც.

*— ეგ როგორ?*

— ბიჭო, ნუ გამაგიჟე კარემბუ ფეხბურთელი გგონია და ბექემს და ბას ვერ აურევ ერთმანეთში?

*— და კარემბუ ვინ უნდა გეგონოს ინგლისელებში?*

— ვინ და... სქოულზი.

*— აუჰ. ის რიჟა და ეს...*

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. დღეს ფეხბურთი კი არ არის მთავარი, არამედ რომელი გუნდის მაიკა გაცვია.

*— და გაზა?*

— რა გაზა?

*— გაზას ეცვა საფრანგეთის მაიკა?*

— კი, გაზასაც ეცვა, ოღონდ რახან ეს მაიკაც ლურჯი იყო, ეგონა „რეინჯერსის“ მაიკა რატომ მაცვია, მე ხომ „მიდლსბროში“ გადავედიო. ამ დროს კი საფრანგეთის მაიკა ეცვა, გაიგე?

*— ამდენს ფიქრობს გაზა?*

— რა ქნას? სიზმარში ხომ მაინც უნდა იფიქროს რამე.

## რაგბი

# ყოჩები ისევ ყოჩობენ, დათვები კი დატორეს

**ბოლოდროინდელ „სარბიელებში“ ქართული რაგბის გაჭირვებაზე ბევრი დაიწერა, შეიძლება მოგაბეზრეთ კიდეც თავი, მაგრამ ამჯერადაც ამაზე მოგვიწევს.**



„ყოჩები“ — „დინამო“. ჩემპიონმა ყოჩებმა იოლად გაიმარჯვეს

ჩვენც ქუთაისის ქალაქისთავთა იმედი გვაქვს, ალბათ არ მიატოვებენ ასეთი ტრადიციების გუნდს გაჭირვების ჟამს. ისე, ჩვენი მორაგბეების ეროვნული ჩემპიონატის შემხედვარეს (ერთი ტურიც კმარა) გაგიკვირდება კიდეც, საერთოდ რა საჭიროა პირველი ორი ეტაპის გამართვა, იმდენად დიდია ოთხი გუნდის უპირატესობა დანარჩენ ოთხზე. მეორე შეხვედრაში „გუმარმა“ ქუთაისელყოფილებით გაძლიერებულ ბათუმელ „დათვებს“ 15:0 სძლია. ეს ხუთშაბათს გამართულ შეხვედრებზე ვთქვით, პარასკევს კი პირველი ტურის დარჩენილი ორი მატჩიც მოეწყო. ჩემპიონმა „ყოჩებმა“ „ბ“-დან „ა“ ჯგუფში აღზევებული „დინამო“ დაამარცხეს 76:7. ამ მატჩში ბრძოლა (თუ კი ამას ბრძოლა შეიძლება ეწოდოს) მხოლოდ პირველ ტაიმში იყო, მეორეში კი მეტოქეები ვალის მოხდის მიზნითღა თამაშობდნენ. შედარებით დაძაბულად წარიმართა მეორე მატჩი თბილისის „ექსპრესსა“ და „უნივერსიტეტს“ შორის, თუმცა ანგარიშის შემხედვარე ამას ვერ იტყვით. სახელმა „ექსპრესმა“ არ დაგაბნიოთ, ეს ყოფილი „ლოკომოტივია“. ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდმა კიდევ ერთი მეპატრონე შეიძინა, ასე რომ, „ექსპრესის“ მფლობელი რკინიგზის დეპარტამენტთან ერთად ახლა სოფლის მეურნეობის სამინისტროცაა. სტუდენტების მონდომება და ბრძოლის ჟინი შესაშური იყო, მაგრამ ოსტატობამ მაინც თავისი გაიტანა — 34:0.

უკვე ვწერდით, რა ვნებათაღელვაც იყო ქართულ სარაგბო თემში ქუთაისის „აიას“ და რუსთავის „აზოტის“ დაშლის გამო. ჩემპიონატის წინ, როგორც იქნა, გაირკვა მათი მდგომარეობა, ქუთაისელები გადარჩნენ, რუსთაველები — სამწუხაროდ, ვერა. მაგრამ გადარჩენის მიუხედავად, არა მგონია, „აიას“ წლევანდელ ჩემპიონატში კარგი დღე დაადგეს. გუშინწინ დაწყებული ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ქუთაისელები სკა-სთან 3:47 დამარცხდნენ. მაგრამ მარცხიც არის და მარცხიც. არმიელებთან მათი გუშინწინდელი თამაშით „ა“ ჯგუფში ადგილს ნამდვილად ვერ შეინარჩუნებენ. ქუთათურთა ამგვარი ყოფის მიზეზი ისიცაა, რომ 12 კაცით ითამაშეს. ეს კი იმიტომ, რომ სამი მორაგბე ერთდროულად ორი გუნდის — „აიასა“ და „დათვების“ განაცხადში იყო და მათ თამაშის უფლება არ მიეცათ. კაცი იმედით ცოცხლობსო. ჰოდა,



„ექსპრესი“ — „უნივერსიტეტი“

**პაატა თოთაძე**

**ბადრი ძეთილაძის ფოტო**

## ჭადრაკი

# ქართველებმა „ქვე-ნოკაუტ-სისტემა“ გამოიგონეს

**ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალისტების [illegible] გაირკვა, თავად ნახევარფინალები კი მცირე ხნით გადაიდო. მიზეზი გია გიორგაძის არყოფნაა, რომელიც ელისტაში გაემგზავრა. ეს გამგზავრება ყალმუხეთის დედაქალაქში მომხდარ ცნობილ შემთხვევას უკავშირდება.**

ნახევარფინალები ალბათ დაახლოებით 20 მაისს დაიწყება, მაგრამ ჭადრაკის სასახლე მაინც არ უქმობს. სასახლეში ამჯერად ვაჟთა ჩემპიონატის მე-5-მე-8 ადგილების მფლობელთა ვინაობა ირკვევა, რასაკვირველია, ისევ „ნოკაუტ-სისტემის“ მეშვეობით. მეოთხედფინალებში დამარცხებულები ახლა ერთმანეთს ეპაექრებიან. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსოფლიოს საჭადრაკო პრაქტიკაში ჯერჯერობით არ ყოფილა ამგვარი „ქვე-ნოკაუტ-სისტემის“ გამოყენების პრეცედენტი. „ნოკაუტ-სისტემას“ ეს სახელი იმიტომ ჰქვია, რომ ერთხელ დამარცხებული ყველანაირ შანსს კარგავს. ქართული ნოვაცია ფრიად გვევამა, თუმცა, როგორც გაირკვა, თვითონ ტურნირის გამართვას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეროვნული ოლიმპიური ნაკრების ხუთი წევრის ვინაობა ისედაც ცნობილია, ხოლო მეექვსე კი ჭადრაკის ფედერაციამ უნდა დაასახელოს. ასევე, მსოფლიოს პირველობის ზონალურ ტურნირზეც ნახევარფინალში გასული მოჭადრაკეები წავლენ.

გუშინ „სანუგეშო“ ტურნირის პირველი ტური გათამაშდა. უფერულად ჩაიარა მეოთხედფინალში ტრაგიკულად დამარცხებული ყაჭიაშვილისა და დგებუაძის პარტიამ. შედეგიც ლოგიკური იყო — ყაიმი. სამაგიეროდ, მეტად საინტერესო გამოდგა ახალგაზრდა შენგელიასა და უფრო გამოცდილი ბალათუროვის დუელი. „გამოცდილება“ რომ ძვირფასი სიტყვაა, ამ პარტიაშიც ნათლად გამოჩნდა. დებიუტი ხეირიანად არ გასრულებულიყო, რომ შენგელიას კუმ და მხედარმა შავების პოზიციაში გაიჭრითეს. განსაკუთრებით თავხედურად იქცეოდა მხედარი, რომელმაც შავებს ერთი პაიკი ზედ ცხვირწინ ააცალა. ბალათუროვმა, ვითომც აქ არაფერიო, ხარისხიც შესწირა მეტოქეს. შეწირვის შედეგი კი ის იყო, რომ თეთრი მეფე სამი შავი ფიგურის პირისპირ აღმოჩნდა, მისი დამცველი კი, გარდა უდღეური პაიკებისა, არავინ იყო. მეფე, როგორც იყო, გაიქცა, მაგრამ ახლა შავმა ლაზიერმა გაიგრიალა თეთრების ლაზიერის ფრთაზე და იქაურ პაიკებს მუსრი გაავლო. როცა თამაში ეტლების ენდშპილში გადავიდა, ბალათუროვს 2 ზედმეტი პაიკი ჰქონდა და გაიმარჯვა კიდეც.

„სანუგეშო“ ტურნირის ფინალისტების ვინაობა დღეს გაირკვევა.

**დავით გულუა**

# თოთხმეტწლიანების ევროპა და მსოფლიო

როგორც წესი, ყოველი წლის გაზაფხულზე ჭადრაკის სასახლე 10, 12, 14, 16, 18 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეებს მასპინძლობს. ამ ტურნირებში გამარჯვებულებს შესაბამისი მსოფლიო პირველობების საგზურები ერგებათ, მეორეთ — ევროპისა.

გუშინ 14-წლიანთა შესარჩევი ტურნირი დასრულდა.

გოგონათა შორის გაიმარჯვა ნანა წიქარიშვილმა, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე ლელა ჯავახიშვილი გაემგზავრება. ბიჭებში ტოლი არ ჰყავდა ზვიად იზორიას, მეორე მერაბ გაგუნაშვილი იყო.

**თინათინ ცერცვაძე**

## ხელბურთი

# სტუ-შევარდენი უკვე და ისევ ჩემპიონია

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-4 ტურის მატჩებს თელავმა უმასპინძლა, საქართველოს უცვლელი ჩემპიონი „სტუ-შევარდენი“ შესუსტებული შემადგენლობით წარდგა თელაველთა წინაშე: ჩვენი ეროვნული გუნდი მაკედონიასა და იუგოსლავიაშია ამხანაგური მატჩების გასამართად და „სტუ-შევარდენის“ ხელბურთელთა უმეტესობაც ნაკრებშია მიწვეული. მიუხედავად ამისა, ჩემპიონმა ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო და უკვე გაინაღდა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. ბოლო, მე-5 ტური დღეს დაიწყება ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში. საინტერესო და დაძაბული იქნება „სტუ-შევარდენი 2“-ისა და „მამულის“ შეხვედრა — ამათში გამარჯვებულს ვერცხლის მედლები ერგება.

## წყალბურთი

# კიჭას აუზიდან ამოსვლა არ უნდა

**დღეს საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურში სასპარეზოდ სლოვენიას მიემგზავრება. ნაკრების აბარგებამდე მის კაპიტანს ზვიად დავითიანს გავესაუბრეთ.**



**ზვიად დავითიანი**

დაიბადა 1971 წელს თბილისში

10 წლისა წყალბურთს თენგიზ ივანიშვილმა აზიარა

1988-90 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში“

იყო სსკრ ახალგაზრდული ნაკრების წევრი

1990 წელს გადავიდა ლენინგრადის „ბალტიკაში“

1990 წლიდანვე თამაშობდა იუგოსლავიაში

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი

მეტსახელი „კიჭა“

*იყო დრო, წყალბურთი პოპულარობით არ ჩამოუვარდებოდა ჩვენთვის ტრადიციულ სახეობებს — ფეხბურთს, კალათბურთს, ჭიდაობას...*

*იყო დრო, ვაკის აუზსა თუ სანაპიროზე მდებარე საწყლოსნო კომპლექსის გადაჭედილი ტრიბუნები თავგამოდებით ქომაგობდნენ საყვარელ თბილისის „დინამოს“ — გუნდს, რომელსაც გამორჩეული, თვითმყოფადი სათამაშო სტილი ჰქონდა და არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვებია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში.*

*იყო დრო, ხმამაღლა საუბრობდნენ წყალბურთის ქართველ ვარსკვლავებზე და ისინიც წარმატებით იცავდნენ სსრკ ნაკრების ღირსებას საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ ეს ყველაფერი იყო, დღეს კი — დღეს ქართულ წყალბურთს უჭირს, „ლაგუნა-ვერეს“ სპორტული კომპლექსის ტრიბუნებზეც კანტიკუნტად თუ შეამჩნევთ ქომაგს, თუმცა კვლავ საუბრობენ ქართველ ვარსკვლავებზე. მართალია, ისინი სამშობლოში არ თამაშობენ, მაგრამ მათი პროფესიონალიზმი და გამოცდილება დიდად წაადგება დღევანდელ, აღდგენილ საქართველოს ნაკრებს. მოსაუბრედ სწორედ ერთი ამათგანი ჩვენი ნაკრების კაპიტანი ზვიად დავითიანი ვირჩიე...*

**— აღარც კი ვიცი, როგორ მოგმართო, თანაგუნდელები კიჭას გეძახიან...**

— მარტო ეგენი კი არა, ყველა ნაცნობი კიჭას მეძახის, სულ იცინიო... შენც კიჭა დამიძახე.

**— თამაშის დროს სასაცილოდ არ უნდა გეცალოს.**

— ეგ კი ეგრეა: წყალში რომ ჩავდივარ და ბურთს ხელთ მოვიგდებ, მრისხანე რაინდს უფრო ვგავარ.

**— წყალბურთელობა შენი ბავშვობის ოცნება იყო?**

— 10 წლიდან ცურვაში დავიწყე ვარჯიში, შემდეგ თენგიზ ივანიშვილმა წყალბურთელთა ჯგუფში გადამიყვანა და მას მერე აუზიდან აღარ ამოვსულვარ.

**— 17 წლისა თბილისის „დინამოში“ მიგიწვიეს, სწორედ ამ დღიდან იწყება შენი პროფესიული კარიერა.**

— მაშინდელი თბილისის „დინამო“ ერთ-ერთი ძლიერი კლუბი იყო ყოფილ საბჭოეთში და ამ გუნდში მოხვედრა ჩემთვის ოცნების ახდენა იყო. „დინამოში“ ორი წელი დავყავი, შემდეგ კი, რაც ჩვენში ამბები დატრიალდა, წყალბურთისთვის ვინღა მოიცლიდა და გუნდიც, ფაქტობრივად, დაიშალა.

**— და შენც უცხოეთს მიაშურე...**

— აბა, რა მექნა? წყალბურთი წყლის გარეშე ვის გაუგია, მე კი ამ საქმის გარდა არაფერი ვიცოდი, ჩემი ბავშვობის მწვრთნელის თენგიზ ივანიშვილის რეკომენდაციით ლენინგრადის „ბალტიკაში“ მოვხვდი. იქ დიდხანს არ გავჩერებულვარ და მალე სათამაშოდ იუგოსლავიას მივაშურე. წყალბურთის სამყაროში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა ადამიანმაც კი იცის, რას წარმოადგენდა იუგოსლავიის ნაკრები და დღესაც როგორი ავტორიტეტი აქვს მსოფლიოში. იუგები ოლიმპიური თამაშების არაერთგზის გამარჯვებულნი და მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონები არიან. ეროვნული ჩემპიონატიც ძალიან მაღალი დონისა აქვთ, მასში 12 გუნდია და ყოველ თამაშში უშეღავათო ბრძოლაა, მაყურებელიც მრავლად ესწრება მატჩებს.

**— როგორც ვიცი, იუგოსლავიაში სამი კლუბი გამოიცვალე.**

— ჩემი პირველი გუნდი „ბეჩე“ იყო. მის შემადგენლობაში ხუთი სეზონი ვითამაშე და ხუთჯერვე ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, ერთხელ ქვეყნის თასიც მოვიგეთ. 1993 წელს 69 გატანილი ბურთით ბომბარდირთა შორის საუკეთესო ვიყავი. შემდეგ „ცრვენა ზვეზდაში“ გადავედი, იქ ერთი სეზონი დავყავი. ბოლო ორი წელი ზღვისპირა ქალაქ ბუდვას „ბუდვანსკარივიერას“ კლუბში ვთამაშობდი და ევროთასის ნახევარფინალურ მატჩებში ვმონაწილეობდი, თუმცა ორი შეხვედრის ჯამში უნგრელებთან დავმარცხდით და თასისთვის ბრძოლას გამოვეთიშეთ.

**— „ბუდვანსკარივიერაში“ ვთამაშობდიო, თქვი. კიდევ აპირებ კლუბის გამოცვლას?**

— ამ გუნდთან კონტრაქტი დამიმთავრდა, მართალია, კვლავ სურთ, მათთან ვითამაშო, მაგრამ სექტემბრამდე — სატრანსფერო სეზონის დამთავრებამდე არ ეჩქარობ, მითუმეტეს, ჩემი თანაგუნდელი, იუგოსლავიის ნაკრების წევრი დუშან პოპოვიჩი ფრანგულ და იტალიურ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებას. მას დიდი ავტორიტეტი აქვს წყალბურთის სამყაროში და მის სიტყვას ენდობიან. მოკლედ რომ ვთქვათ, პოპოვიჩი აქტიურ სპორტულ საქმიანობას ჩემს აგენტობასაც უთავსებს. თუ ფრანგული ან იტალიური კლუბებიდან სასურველი წინადადებები ვერ მივიღე, კვლავ იუგოსლავიაში გავაგრძელებ კარიერას. ძალიან შევეთვისე იქაურობას, ხალხიც ქართველებივით ტემპერამენტიანი და სტუმართმოყვარეა, მშობლიურ გარემოში მგონია ხოლმე თავი, დედაჩემიც თან მყავდა და ქართული კერძებით ხშირად ვუმასპინძლდებოდი ჩემს თანაგუნდელებს.

**— საქართველოს დავუბრუნდეთ, ჩვენი ნაკრების მომავალზე ვთქვათ. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურში გუნდს შენ უკაპიტნებ.**

— ეს ტური სლოვენიაში გაიმართება, ჩვენი მეტოქეები იქნებიან ჩეხეთი, პოლონეთი და შვეიცარია. საქართველოს ნაკრები ახლა ჩამოყალიბების პროცესშია, ჯერ გამოუცდელი გუნდია, შეკვრა-შეთამაშება აკლია. გამოცდილება სხვას არაფერს, სათამაშო პრაქტიკას მოაქვს, ჩვენ კი ერთად სულ რამდენიმე ხნის წინ შევიკრიბეთ. ისე არ მინდა გამიგოთ, თითქოს ხელი გვაქვს ჩაქნეული და მომავალს იმედით არ ვუყურებთ, პირიქით, ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ გარჯაშია და ჩვენ, მოთამაშეებიც, თავდაუზოგავად ვვარჯიშობთ. ვეცდებით, საკვალიფიკაციო წინაღობა წარმატებით გადავლახოთ. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის მომდევნო ეტაპზე და ნაკრების მიზანი ამ ორეულში მოხვედრაა. ეროვნული გუნდი საუკეთესო წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული, ნაკრებში არიან გერმანიაში მოთამაშე ირაკლი ტატიშვილი და მეკარე ნიკა ასათიანი, რომელიც ერთ-ერთი იტალიური კლუბის ღირსებას იცავს.

**— ვინ არის შენთვის იდეალური წყალბურთელი?**

— დღეს მსოფლიოში მრავალი ძლიერი წყალბურთელია, ყოველ მათგანს თამაშის განსაკუთრებული სტილი აქვს, მაგრამ მე მაინც ესპანელ მანუელ ესტიარდს გამოვყოფდი. თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, უდიდესი წყალბურთელიაო, ალბათ, პირველ რიგში მასზე. იგი ნამდვილი პროფესიონალია. მანუელ ესტიარდი 18 წლის იყო, მოსკოვის ოლიმპიადაზე რომ ითამაშა და მას შემდეგ ესპანეთის ნაკრების ლიდერია. იგი დღესაც, 39 წლისა, განაგრძობს კარიერას, კვლავ ჩვეულ ფორმაშია და გოლებიც ძველებურად გააქვს.

**— შენც ხომ არ აპირებ ორმოც წლამდე თამაშს?**

— ვნახოთ, რას მოიტანს ცხოვრება. ისე, არ ვიქნები წინააღმდეგი, 39 წლისა საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გავხდე.

**სოსო ქოტორეიშვილი**

# ოთარ ქორქიას 75 წელი

**ვის გაიხსენებს პირველად გულშემატკივარი, როდესაც ქართველი კალათბურთელის დასახელებას სთხოვენ. რა თქმა უნდა, ქორქიას, თუმცა ბრწყინვალე მოთამაშეები არა ერთი და ორი გვყოლია. ოთარ ქორქია, ქართული კალათბურთის ბერმუხა — ზუსტად შეესაბამება ეს არცთუ ორიგინალური, მაგრამ უზუსტესი განსაზღვრება შესანიშნავ ქართველ კალათბურთელს.**



70-იანი წლების ბოლოს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ კალათბურთის ცნობილი საბჭოთა სპეციალისტებს შორის მოაწყო გამოკითხვა, ვინ არის ყველა დროის უძლიერესი საბჭოთა კალათბურთელი. გამოკითხვაში გამოჩენილი მწვრთნელები და სპეციალისტები მონაწილეობდნენ: გომელსკი, სპანდარიანი, კონდრაშინი, შაბლინსკი, კარნიტისი... უკვე დამთავრებული ჰქონდათ თამაში ქორქიას შემდგომი თაობის შესანიშნავ მოთამაშეებს — გენადი ვოლნოვსა და იური კორნეევს, არმენაკ ალაჩაჩიანს და მაიგონის ვალდმანისს, ვალდის მუიჟნიექსსა და იაკ ლიპსოს. უკვე მოხიბლული ჰყავდათ ევროპა და მსოფლიო სერგეი და ალექსანდრ ბელოვებს, მოდესტას პაულუსკასსა და ანატოლი პოლივოდას, მაგრამ ყველა სპეციალისტმა ყველა დროის უძლიერესად მაინც ოთარ ქორქია აღიარა, რადგან თანამედროვეთა შორის ისეთი გამორჩეული და ალმატებული, როგორიც ქორქია იყო, არც მანამდე და არც შემდეგ არავინ ყოფილა.

ოთარ ქორქიამ ქუთაისში აიდგა ფეხი, როგორც კალათბურთელმა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოედანზე მოხიბლა მაყურებელი თავისი ოსტატობით. იგი არის ევროპის სამგზის ჩემპიონი. საბჭოთა კავშირის პირველობის სამგზის გამარჯვებული, მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, 50-იანი წლების ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე.

მისი კალათბურთის ფუძემდებლებს, ამერიკელებსაც ეშინოდათ. 1952 წლის ოლიმპიადაზე სამმა ტანმაღალმა ამერიკელმა ვერ შეძლო ოთარ ქორქიას შეჩერება. მაშინ ამერიკელებმა აკრძალულ ხერხს მიმართეს: როდესაც ოთარ ქორქია ბურთის ასაღებად დაიხარა, ამერიკელთაგან ერთ-ერთმა, როი კრერანდმა ვითომ შემთხვევით, ფეხი დაარტყა მხარში და მარჯვენა ხელი მთლიანად გამოუთიშა. ქორქია მოედნიდან გაიყვანეს და ამერიკელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მიაღწიეს. მეორე ტაიმში ქორქია მოედანზე დაბრუნდა და მარცხენა ხელით განაგრძო მეტოქის კალათზე იერიში. სხვაობა საბჭოთა ნაკრებსა და ამერიკელებს შორის მცირდებოდა. მაგრამ მთლიანად მატჩის შემობრუნება ვერ მოხერხდა — მსაჯის სასტვენმა შეტევისას მოუსწრო ქორქიას.

ოთარ ქორქია, გარდა იმისა, რომ შესანიშნავად ხედავდა თამაშს, დიდი ფიზიკური ძალითაც გამოირჩეოდა. ძველ გულშემატკივრებს ახსოვთ ასეთი სურათი — მას მცველები ეკიდნენ, მაგრამ მაინც იწევდა ფარზე და ბურთის კალათში მოთავსებას ხელს ვერავინ უშლიდა.

ცნობილია ასეთი ეპიზოდიც — ერთხელ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ოთარ ქორქია სტადიონზე სეირნობდა. იქ მძლეოსნები ვარჯიშობდნენ. უცებ მის წინ ბადრო დაეცა. ბადროს მტყორცნელმა სთხოვა, მომიტანეო. ქორქიამ ბადრო აიღო, მძლეოსანს არ მიახლოვებია, მარჯვენა ხელზე დაიდო, ისროლა და ბადრო მტყორცნელს გადააცილა. განცვიფრებული მძლეოსნები შემდეგ კარგა ხანს სთხოვდნენ ქორქიას, გამოეცვალა სახეობა და მძლეოსნობაში გადასულიყო, მაგრამ იგი კალათბურთის ერთგული დარჩა. სანამ ოთარ ქორქია მოედანზე იყო, ქართველი კალათბურთელები უძლეველები იყვნენ და როგორც მწვრთნელმა, სწორედ მან მიიყვანა ქართული კალათბურთი თავის ყველაზე დიდ გამარჯვებამდე. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი თბილისის „დინამომ“ 1962 წელს.

მის მიერ გაკვალულ გზაზე ქორქიათა გვარის სხვა წარმომადგენლებმაც გაიარეს. ოთარ ქორქიას ძმიშვილი მიხეილ ქორქია 70-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ლიდერი და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე გახლდათ. მიხეილ ქორქიამ ზურაბ საკანდელიძესთან ერთად პირველმა მოიხვეჭა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული 1972 წელს მიუნხენში.

თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იყო ოთარ ქორქიას შვილი ნოდარ ქორქიაც.

მაინც ასეა, საქართველოში კალათბურთის ხსენებაზე პირველად ქორქიას გვარს იხსენებენ.

ეს იმიტომ, რომ არის ოთარ ქორქია, რომელმაც სათავე დაუდო ქართული კალათბურთის დიდებას.

ხვალ, 10 მაისს, ამ ბუმბერაზ მოთამაშეს და პიროვნებას 75 წელი უსრულდება და ყველა, ვისაც სპორტის ეს სახეობა უყვარს, ულოცავს მას ამ თარიღს და ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს.

**ილია მხეიძე**

# დღეს ჩემპიონი გვეყოლება

## ვითა — აზოტი 2:2 (92:93 91:81 115:104 81:83 ?:?)



„ვითას“ მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე

საქართველოს ჩემპიონატში ყველაფერი გაირკვა. დარჩა ერთი, მაგრამ ყველაზე მთავარი საკითხი — ვინ იქნება საქართველოს 1998 წლის ჩემპიონი. დღეს სპორტის სასახლეში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონ თბილისის „ვითასა“ და რუსთავის „აზოტის“ ფინალური სერიის მეხუთე მატჩში ამ კითხვასაც გაეცემა პასუხი.

ფინალური სერია, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან დაძაბული გამოდგა და მეტოქეებს ყველა თამაში დასჭირდათ გამარჯვებულის გამოსავლენად.

„აზოტმა“ პირველი და მეოთხე მატჩი მოიგო, „ვითამ“ — მეორე და მესამე.

რუსთაველებმა ორივე გამარჯვება ბოლო წუთებში გამოგლიჯეს მეტოქეს (93:92, 83:81), ვითელების უპირატესობა მოგებულ შეხვედრებში უფრო აშკარა იყო (92:81, 115:104).

გუნდებს პირველ მატჩებში უფრო ნერვიულობა ეტყობოდათ, მესამე და მეოთხე შეხვედრები კი ძირითადად თამაშს მოანდომეს და მაყურებელმაც ისიამოვნა კალათბურთით.

ვითელებმა ამ მატჩში 9 მოთამაშე გამოიყენეს. ამ ოთხ შეხვედრაში მათი მონაგარი ასეთია:

აბრამიძე 87 ქულა
ტურაშვილი 74
დავითულიანი 48
ჩუბინიძე 48
კორძაძე 48
კოკოლიშვილი 35
ორმოცაძე 24
გაგნიძე 9
ლოსაბერიძე 6

მაშინ, როცა „ვითას“ ტანმაღალი მოთამაშეები რუსთაველთა ძლიერ ცენტრებს უმკლავდებოდნენ. შეტევაზე ჩემპიონის მთავარი იარაღი აბრამიძე და ტურაშვილი გახდა. თუმცა, კორძაძეს, ჩუბინიძესა და ორმოცაძესაც შეაქვთ თავიანთი წვლილი „ვითას“ შედეგიანობაში. რაც შეეხება ტურაშვილს და აბრამიძეს, ისინი მართლაც ჩინებულად უძლვებიან გუნდის შეტევებს და მატჩის ბედი მათზე დიდადაა დამოკიდებული.

„აზოტში“ ასეთი მდგომარეობაა:

ჯაფარიძე 102
გოგობერიშვილი 87
ბოისა 78
ბერუაშვილი 38
წიკლაური 26
კიკვიძე 18
ჩაჩუა 4
კოჭლამაზაშვილი 3
კეჭაყმაძე 3
გოგოლაძე 1



ფინალის მესამე და მეოთხე მატჩებში კორძაძემ ჩინებულად ითამაშა

ვითელებისგან განსხვავებით, რუსთაველთა წარმატება მკვეთრადაა დამოკიდებული მათი ლიდერების — ჯაფარიძისა და გოგობერიშვილის თამაშზე. ვითელები კარგად დაუდგნენ ჯაფარიძეს, მაგრამ ირაკლი თავის წილ ქულებს მაინც ყოველ მატჩში აგროვებს, მოგებულ შეხვედრებში კი ჩინებულად ითამაშა. მოწინაალმდეგეს გადასაწყვეტი აქვს გოგობერიშვილის პრობლემაც, რამაზს ხომ ყველაფერი ეხერხება — შორიდან ტყორცნებიც, გარღვევაც და ფარისქვეშ ბრძოლაც. რაც შეეხება ბოისას, იგი უკეთ თამაშობს მაშინ, როცა თვითონ იწყებს ლიდერობას და შედარებით დაკარგულია, როცა სხვებს მიჰყავთ თამაში. „აზოტის“ უკანახაზელებს კი ძალიან აკლიათ გაბისონია, რადგან აბრამიძისა და ტურაშვილის შეჩერება სხვებს უჭირთ.

სამქულიანები:

„ვითა“ 20: ტურაშვილი — 9, აბრამიძე — 7, კოკოლიშვილი — 3, კორძაძე — 1

„აზოტი“ 29: გოგობერიშვილი — 7, ბოისა — 6, კიკვიძე — 6, ბერუაშვილი — 2, ჯაფარიძე — 2, კოჭლამაზაშვილი — 1, გაბისონია — 1.

სამქულიანებში უპირატესობა რუსთაველთა მხარესაა. მათგან შვიდმა მოთამაშემ მოახერხა ეს. რუსთაველთაგან ყველას ძალუძს შორეული ტყორცნები, მაღლებსაც და დაბლებსაც. თუმცა მათ შესაძლებლობებთან შედარებით შედეგი მცირეა. რაც შეეხება ვითელებს, აქ სამქულიანები ძირითადად ორ კაცზე ტურაშვილზე და აბრამიძეზე მოდის. მაგრამ ესეც გასაგებია. „ვითა“ ტემპიან თამაშს ამჯობინებს და რუსთაველთა ზონური დაცვის დამშლელად სწორედ ეს ორი მოთამაშე ევულებათ. პარტნიორებიც მათ გაყვანას ცდილობენ სასროლ პოზიციაზე.

ასეთ დაძაბულ მატჩებში შეიძლება ბევრი გადაწყვიტოს საჯარიმოების ზუსტად შესრულებამ. ვითელები გაცილებით მეტ საჯარიმოს ესვრიან, რაც იმითაა, ალბათ, განპირობებული, რომ მათი სწრაფი შეტევებისას რუსთაველები ყოველთვის ვერ ასწრებენ დაცვის დაყენებას. მაგრამ ამ დროს ვითელები ხშირად სცოდავენ. 139 საჯარიმოდან მხოლოდ 97-ია ზუსტი. ყველაზე აქტიურნი — აბრამიძე, ტურაშვილი და დავითულიანი არიან და მათი შედეგები ასეთია: აბრამიძე 34-დან 28 ზუსტად, ტურაშვილი 28 (23), დავითულიანი 27 (16).

რუსთაველთაგან, რა თქმა უნდა, ყველაზე ხშირად ჯაფარიძეზე, გოგობერიშვილზე და ბოისაზე ჯარიმდებიან, დანარჩენები ასეთი აქტიურობით არ გამოირჩევიან. რუსთაველებმა სულ 96 საჯარიმო ისროლეს და 69 გამოიყენეს. ყველაზე აქტიურთა მონაგარი ასეთია: ჯაფარიძე 27 (20), ბოისა 23 (17), გოგობერიშვილი 22 (19).



„აზოტის“ მწვრთნელი ოთარ ხმელიძე

ეს ციფრები მაინც ბევრს ვერაფერს გვეტყვის დღევანდელი მატჩის შესახებ, მხოლოდ მის მოლოდინში შეგვიძლია თავი შევიქციოთ.

მთავარი კი მატჩია, რომელიც დღეს სპორტის სასახლეში 18 საათზე დაიწყება.

**გია აგლაძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



ტურაშვილზე ბევრი რამაა დამოკიდებული




ჯაფარიძე თავის საქმეს ყველა მატჩში აკეთებს

# მაშინ ევროპა ჩვენი იყო

**წლევანდელი ევროლიგის თასის გათამაშების დასასრულთან დაკავშირებით ჩვენმა გაზეთმა ევროლიგის (ადრე ევროპის ჩემპიონთა თასის) ყველა ფინალის ცხრილი გამოაქვეყნა. იმ დღეს ავტობუსში ორ ახალგაზრდას მოვკარი თვალი. ერთ-ერთი მათგანი „სარბიელის" ამ ნომერს ჩარჩირკიტებდა. მას უცბად სახე გაუბრწყინდა და ამხანაგს ხმამაღლა უთხრა — ბიჭო, ნახე, თბილისის „დინამოს" ადრე ევროპის ჩემპიონთა თასი აულიაო, მეორემაც, გახარებულმა, სასწრაფოდ ცხრილს ჩახედა...**

**ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მოვიდნენ ახალი თაობები, რომელთაც არც კი იციან ეს ამბავი. ამ ფაქტის უცოდინარობა იქნებ მთლიანად ახალი თაობის უინტერესობისთვის დაგვებრალებინა, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ არ გავახსენეთ, რა ახალი თაობის ბრალია. ჰოდა, გავიხსენოთ ქართული სპორტის ეს დიდი წარმატება.**

ისეთი დიდი ტრადიციების საკალათბურთო ქვეყანამ, როგორიც ლიტვაა, მხოლოდ წელს მოახერხა ევროთასის მოგება. კაუნასის „ჟალგირისის" სახელგანთქმულმა გუნდმა, რომელსაც არაერთი გამოჩენილი მოთამაშე ალუზრდია, მხოლოდ ახლა მოახერხა ევროპის საკლუბო ტურ-



ვლადიმერ უგრეხელიძე

ნირში გამარჯვება, თანაც არა ყველაზე მთავარში. ჩვენ კი... ჯერ კიდევ 1962 წელს.

საფრანგეთის პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა" 1958 წელს წამოაყენა წინადადება, ფეხბურთის საკლუბო გუნდების დარად კალათბურთშიც შემოეღოთ ევროპის ჩემპიონთა თასი. ფიბამ გაზეთს მხარი დაუჭირა და ევროპამაც კონტინენტის უძლიერესი კლუბის გამოვლენა დაიწყო. პირველ სამ გათამაშებაში ბადალი არ ჰყავდა რიგის არმიელთა ჭეშმარიტად დიდ გუნდს, სადაც ცნობილი მოთამაშეები: ვალდმანისი, მუჟნიექსი, კრუმინში და სხვები გამოდიოდნენ. ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელის გარდა გათამაშებაში იმ ქვეყნიდან მეორე პრიზიორსაც უშვებდნენ. პირველად ასე მოხვდა თბილისის „დინამო" ევროპის ჩემპიონთა თასის მესამე გათამაშებაში, სადაც სწორედ რიგელებთან წააგო ორი მატჩის ჯამში, თბილისში 51:61, რიგაში 62:69. შემდეგი ტურნირი უკვე მოსკოვის არმიელებმა მოიგეს და მეხუთე გათამაშებაში საბჭოთა კავშირიდან არმიელებთან ერთად თბილისის „დინამოელებიც" ჩაებნენ. ფინალამდე „დინამომ" ექვსი მატჩი ჩაატარა და ექვსივე მოიგო ბუქარესტის კკა-სთან 77:76 და 82:77, სტამბოლის „დარუშაფაკთან" 80:67 და 84:48 და ნახევარფინალში კი თვით ჩემპიონთა თასის მფლობელი მოსკოვის ცსკა დაამარცხა, მოსკოვში 75:71 და თბილისში 77:66. ჩემპიონთა თასის მოპოვებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა და ეს ნაბიჯი ჩვენებს მადრიდის „რეალის" დამარცხებით უნდა გაეკეთებინათ. მაშინ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალები ორი მატჩისგან შედგებოდა, მაგრამ რადგან საბჭოთა კავშირი ესპანეთში ფრანკოს რეჟიმს ებუტებოდა, მატჩები ჩაშლის პირას იდგა. ფიბამ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო და ფინალი ერთი შეხვედრით განისაზღვრა — ნეიტრალური ქვეყნის, შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში.



გურამ მინაშვილი

მადრიდის „რეალი" სწორედ მაშინ ყალიბდებოდა საკალათბურთო სუპერკლუბად და ესპანელებს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ფეხბურთელთა დარად საკალათბურთო ოლიმპსაც დაიპყრობდნენ. ამისთვის ესპანელები გუნდის ამერიკელებით გაძლიერებას აპირებდნენ — დებულებით ასეთი რამ დაშვებული იყო, გუნდს შეეძლო ორი მოთამაშე შეემატებინა.

დინამოელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ჩინებული შემადგენლობა ჰყავდათ, მაინც ისარგებლეს დებულების ამ მუხლით და მოსკოვის დინამოელი ცენტრი ალექსეი პეტროვი დაიმატეს.

ჩვენი გუნდის მაშინდელი კაპიტანი გურამ მინაშვილი: „პეტროვი იმიტომ ავირჩიეთ, რომ ჩავთვალეთ, ესპანელები ცენტრალურ თავდამსხმელებს დაიმატებდნენ და ჩვენს ძირითად ცენტრს ანზორ ლეჟავას სწრაფ ამერიკელ მოთამაშეებთან იქნებ გასჭირვებოდა, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, თასს უმისოდაც ვიგებდით. პეტროვმა სულ შვიდი წუთი დაჰყო მოედანზე და ხუთი ქულა შესძინა გუნდს, თუმცა მის მოწვევას მაინც ჰქონდა გამართლება, ლეჟავას დასვენების საშუალება მისცა.

მადრიდის „რეალის" მთავარი იმედი ამ მატჩში სწორედ დამატებული ამერიკელი ჰაიტაუერი გამოდგა, მაგრამ ის უფრო ფრთაზე თამაშობდა და არა ცენტრში. ესპანელთა შეტევებს კი სახელგანთქმული ესპანელი კალათბურთელი ემილიანო როდრიგესი მეთაურობდა, რომელსაც ჩვენს კაპიტანთან, გურამ მინაშვილთან მოუწია ურთიერთობის გარკვევა.

ამერიკელი მაინც ამერიკელია, მაგრამ ვერც მისმა კარგმა თამაშმა მოუტანა ესპანელებს უპირატესობა.

ვლადიმერ უგრეხელიძე: „რითაც ეს ჰაიტუერი დამამახსოვრდა, ის იყო, რომ ერთხელ სირბილისას ჩვენს შურა კილაძეს ისე გადაახტა, არც შეხებია".

ქართველებმა თავიდანვე იგდეს მატჩის სადავეები ხელთ და, მართალია ესპანელები რამდენჯერმე დაწინაურდნენ, პირველი ტაიმი მაინც მოიგეს 38:36.

გურამ მინაშვილი: „მე მთელი მატჩის განმავლობაში ერთხელაც არ გამივლია გულში, რომ დავმარცხდებოდით, იმდენად დარწმუნებული ვიყავი ჩვენს სიძლიერეში. ჩვენ უფრო თანაბარი შემადგენლობა გვყავდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ რამდენიმე მოთამაშემ მოაგროვა 12-14 ქულა, ესპანელები კი ძირითადად ლიდერებზე თამაშობდნენ".

მეორე ნახევარში ქართველმა კალათბურთელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა. მხოლოდ ტაიმის შუაწელს შეძლეს ესპანელებმა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ მატჩის ბოლო მაინც ჩვენებისა იყო. საბოლოოდ, „დინამომ" 90:83 მოიგო და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

ამ ღირშესანიშნავ მოვლენას საბჭოთა ბიუროკრატიის გამო არც ქართველი ჟურნალისტები ესწრებოდნენ და არც ქართველი გულშემატკივრები (ესპანელები კი ჟენევაში მრავლად იყვნენ) და სწორედ ამის გამო ქართული კალათბურთისთვის ამ უდიდეს მოვლენაზე ასეთი მწირი ინფორმაცია გვაქვს, ჟენევაში მატჩს მხოლოდ ხუთი უცხოეთში მცხოვრები ქართველი დაესწრო, მათ შორის ჩვენი ცნობილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, მაგრამ მაშინ ამ გვარის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა საქართველოში, მით უმეტეს, მისი შთაბეჭდილების დაბეჭდვა. თვით გრიგოლ რობაქიძეს კი მართლაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ჩვენი კალათბურთელების თამაშმა, მათ ოსტატობას ქართული სულის გამოვლენა უწოდა და შესანიშნავი წერილიც დაწერა ამ მოვლენის გამო, რომელიც ძალიან გვიან გამოქვეყნდა ქართულ პრესაში, მაშინ, როცა დრომ ამის შესაძლებლობა მოიტანა.

ჩვენს კალათბურთელებს არ აკლდათ წარმატებები და ევროპაშიც კარგად იცნობდნენ ქორქიას, ჯორჯიკიას, მინაშვილს, უგრეხელიძეს...

მაგრამ, როცა ჩვენი ქვეყანა არ იყო დამოუკიდებელი, საკლუბო წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იქ ქართველები წარმოადგენდნენ თავიანთ თავს და არ იყვნენ ათქვეფილნი ერთმანეთისთვის სავსებით უცხო ეროვნებების მოთამაშეთა კონგლომერატში.



ოთარ ქორქია

ეს ქართული კალათბურთის დიდი სვლა იყო ევროპაში.

ვლადიმერ უგრეხელიძე: „ჟენევამ ჩვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა. ერთ შენობასთან გაგვატარეს, რომლის თავზეც დროშები ფრიალებდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩვენი კუთხით აღვიქვით ეს. გვეგონა, ან მინისტრთა საბჭოა ან რაღაც სამთავრობო დაწესებულებაო. გვითხრეს, ციხეაო. გაგვიკვირდა. ციხეს რად უნდა დროშებიო, ვკითხეთ. ეს ციხე 50 წელს აღნიშნავს, რაც პატიმრები არ ჰყოლიაო.

ამ ფაქტის უტყუარობაში თვალნათლივ დავრწმუნდით, როცა ჩემპიონთა თასი ავიღეთ. მეორე დილით სასტუმროს წინ ვიდექით. წვიმდა, მოდიოდნენ შვეიცარიელები „მერსედესებით", მანქანებს არ კეტავდნენ, გასაღებიანად ტოვებდნენ. ნუთუ არ ეშინიათ, რომ ვინმემ მოიპაროსო, ვეკითხებოდით ერთმანეთს. ამ დროს დავინახეთ, ვიღაც მიუახლოვდა „მერსედესს", კარი გააღო და რომ ვიფიქრეთ, ქურდები აქაც ყოფილანო, მინები აუწია მანქანის ფანჯარას, რომ წვიმა არ შესულიყო. ეს ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო".

ადამიანების ამგვარი, ევროპული დამოკიდებულება ჩვენთვის უცხო იყო. კალათბურთელებმა კი ევროპული დონის მწვერვალი დაიპყრეს და თავიანთი ძალა აჩვენეს გაზულუქებულ ქვეყნებს.

თბილისის აეროპორტში დინამოელებს ზღვა ხალხი დახვდა. გულშემატკივრებმა ხელში აიყვანეს კალათბურთელები, მანქანებამდე ისე მიაცილეს, ქალაქამდეც საპატიო ესკორტით გაჰყვნენ.

გურამ მინაშვილი: „პირდაპირ ჩვენს ცკ-ს მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან შეგვიყვანეს. მჟავანაძემ დაიბარა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი და უთხრა: „გივი, ხომ გვასახელეს ბიჭებმა, ღირსეულად არ უნდა დავაჯილდოოთ? მოდი, ათას ხუთას-ათას ხუთასი მანეთი მივცეთო. გაგვიხარდა, 1500 მანეთი დიდი ფული იყო. მე საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანი მოთამაშე ვიყავი და 180 მანეთი მქონდა ხელფასი. წარმოიდგინეთ, 1500 მანეთი რა ძვირფასი საჩუქარი იქნებოდა თითოეული ჩვენგანისთვის. გავიდა ხანი და პრემია არ ჩანს. მერე გვითხრეს, 1500-ს არა, 1000 მანეთს მოგცემთო. გული დაგვწყდა, მაგრამ 1000 მანეთიც კარგი ფულიაო, თავი დავიიმედეთ. რამდენიმე ხნის შემდეგ გვითხრეს, 500-500 მანეთს მოგცემთო. მივედით ამ ხუთასი მანეთის ასაღებად და გვეუბნებიან, ჩვენმა ფეხბურთელებმა ათი თამაში ითამაშეს ჩემპიონატში წაუგებლად და თქვენი ფულიდან 180-180 მანეთი იმათ მივეცით წასახალისებლადო. ასე დაგვრჩა პრემიად 1500 მანეთიდან 320-320".

მაგრამ ამ პრემიაზე უფრო კალათბურთელებს ის აღიარება ეძვირფასებათ, რომელიც მოიპოვეს. რადგან რა დროც არ უნდა გავიდეს, თბილისის „დინამოს" ეს ბრწყინვალე გამარჯვება მუდმივად დარჩება ქართული სპორტის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ფურცელი. იგი ყოველთვის შეგვახსენებს, რომ ქართველებს აქვთ იმის ნიჭი და შესაძლებლობა, უდიდეს მწვერვალებს მიაღწიონ, რა თქმა უნდა, თუ სათანადო ყურადღება ექნებათ.

ეს მოვლენა კი ყოველთვის დარჩება იმ ორიენტირად, რომლისკენაც უნდა ესწრაფოდეს ქართული კალათბურთის ახალი თაობა და იმ მოთამაშეთა სახელებიც უნდა ახსოვდეს, ვინც 1962 წელს ჟენევაში ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.



ლევან მოსეშვილი

გუნდის კაპიტანი გურამ მინაშვილი, ალექსანდრე კილაძე, ვალერი ალთაბაევი, ლევან მოსეშვილი, ვლადიმერ უგრეხელიძე, რეზო გოგელია, ლევან ინწკირველი, ანზორ ლეჟავა, ამირან სხიერელი, ილარიონ ხაზარაძე, ალექსეი პეტროვი, გუნდის მწვრთნელი ოთარ ქორქია.

განმეორდება?

**ილია მხეიძე**

მეორე წრე

# შაკილმა ბიძაკაცს კაბა ჩააცვა

**ჩიკაგო 1 შარლოტი 1**

6 მაისი

**ჩიკაგო 76:78 შარლოტი**

**ჩიკაგო:** ჰარპერი (2), ჯორდანი (22), პიპენი (13), კუკოჩი (9), როდმანი (2); ლონგლი (15), კერი (7), ბარელი (5), უენინგტონი (1), ბრაუნი, ბიუჰლერი

**შარლოტი:** უესლი (4), ფილზი (2), რაისი (14), მეისონი (15), დივაცი (7); კარი (15), არმსტრონგი (10), როიალი (7), რიდი (4), გეიგერი, ბექი

„შარლოტ ჰორნეთსმა" სენსაციას გამოჰკრა ხელი. შარლოტელმა კრაზანებმა ისე მოულოდნელაად დაკბინეს ჩიკაგოელი ხარები, რომ ეს უკანასკნელნი მარცხის შემდეგ ძლივს მოეგნენ გონს. „ზოგი შეიძლება გააოგნოს ჩვენმა წაგებამ, მაგრამ მათ ძლიერად ითამაშეს და დიდი მატჩი მოიგეს, მათთვის დიდი მატჩი" — ბრძანა გულგატეხილმაა ჯორდანმა შეხვედრის შემდეგ. არადა, ჩიკაგომ, როგორც ჩემპიონსა და ფავორიტს შეშვენის, ისე დაიწყო და ბოლო მეოთხედს 8-ქულიანი უპირატესობით მიატანა. აქ კი აფეთქდა სტუმარი გუნდი, მაგრამ არა მისი ლიდერები, არამედ, ინდიანასი არ იყოს, მეორეხარისხოვანი მოთამაშეები დელ კარი და ბი ჯეი არმსტრონგი. ამ ორმა ერთად ბოლო 12 წუთში 21 ქულა მიითვალა, ჩიკაგოს კი ყელი გამოჭრა ექსჩიკაგოელმა ბი ჯეი არმსტრონგმა, ვისი გარღვევა სირენამდე 17 წამით ადრე ჩიკაგოსთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

ალმოსავლეთი

**ნიუ იორკი:** უორდი, ჰიუსტონი (16), ჯონსონი (15), ოკლი (4), იუინგი (10); სტარქსი (20), ჩილდსი (7), მილზი (3), კამინგსი (2), დადლი

ნიუ იორკის ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშის პატრიკ იუინგის წლევანდელი საპლეიოფო დებიუტი ინდიანასთან მეორე მატჩისას შედგა, მაგრამ ხუთი თვის უთამაშებელი პატრიკი მხოლოდ 27 წუთი იყო მოედანზე და ბევრი ვერაფრით დაეხმარა თავისიანებს. მის წინაალმდეგ კი მშვენივრად ითამაშა რიკ სმიტსმა, ვინაც, მართალია, საწყისი 7 სროლიდან ერთის გარდა ყველა გააცუდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ყველაზე მეტი ქულა მიითვალა. ინდიანამ თავიდანვე აჯობა მეტოქეს და სმიტსის და ნიუიორკელთა მოსისხლის რეჯი მილერის მეთაურობით საკმაოდ იოლად გაიმარჯვა.



ინდიანა — ნიუ იორკი. ჯონ სტარქსი (მარჯვნივ) და რეჯი მილერი ბურთისთვის იბრძვიან

**ინდიანა 2 ნიუ იორკი 0**

7 მაისი

**ინდიანა 85:77 ნიუ იორკი**

**ინდიანა:** ჯეკსონი (2), მილერი (21), მულინი (8), დ. დევისი (4), სმიტსი (22); ა. დევისი (9), მაკკიი (8), როუზი (7), ბესტი (4)

დასავლეთი

**სიეტლი 1 ლეიკერსი 1**

6 მაისი

**სიეტლი 68:92 ლეიკერსი**

**სიეტლი:** პეიტონი (12), ჰოკინსი (10), შრემპფი (1), ბეიკერი (13), მაკლვეინი (8); პერკინსი (12), კერსი (7), ენტონი (2), უილიამსი (2), ვინგეიტი (1), მაკმილანი, ელისი

**ლეიკერსი:** ფიშერი (6), ჯონსი (23), ფოქსი (2), ჰორი (9), ონილი (26); ვან ექსელი (16), რექსი (4), ბლაუნტი (2), კემპბელი (2), ბენეტი (2), ბერი

სიეტლთან მეორე შეხვედრაში ლიკერსმა მოისაკლისა 19 წლის სურდომეყრილი თინეიჯერი კობი ბრაიანტი, მაგრამ ამ ყმაწვილის არყოფნა არც დაუტყვია, ისე გაამრო ტყავი ჩრდილოელებს. კვლავ გაილაღა ონილმა, ვისაც მხარი ააუბა ედი ჯონსმა და პლეი ოფებში მისთვის უჩვეულო 23 ქულას მოუყრა თავი. სიეტლმა, მას რომ შეშვენის, ისე მხოლოდ საწყის მეოთხედში ითამაშა, მერე კი სტუმართა საწვრთნელ ტომარად იქცა. ლოსანჯელესელებმა მეტოქენი ბავშვებივით იოლად დაიბრიყვეს და ფარზეც 54:32 გააცამტვერეს. სიეტლს არც სროლები წაუვიდა, მხოლოდ 33 პროცენტი იხეირა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძელთა თავკაცი ჯორჯ კარლი, ვისაც წინა თამაშის მერე შაკილმა დიაცი უწოდა, ლეიკერსელის პასუხად ქალის წინსაფარში გამოწყობილი მივიდა.

**იუტა 2 სან ანტონიო 0**

7 მაისი

**იუტა 109:106 სან ანტონიო**

**იუტა:** სტოქტონი (18), ჰორნაჩეკი (21), კიფი, მელოუნი (22), ფოსტერი (6); რასელი (16), კასი (15), ანდერსონი (4), ოსტერტაგი (4), ეისლი (3)

**სან ანტონიო:** ჯეკსონი (13), ჯონსონი (21), დანკანი (25), პერდიუ (5), რობინსონი (21); დელ ნეგრო (10), პერსონი (5), გირი (3), ჰერერა (2)

იუტამ მეორე თამაშიც მოიგო შინ, თუმცა ამისთვის, პირველის დარად, გვარიანად ღვარა ოფლი და ოვერტაიმშილა იძალა. მატჩი თავიდანვე დაძაბულად დაიწყო. საგრძნობ უპირატესობას ვერცერთმა მიაღწია. იუტა მხოლოდ თამაშის ბოლოს დაწინაურდა, მაგრამ სტუმრებმაც თავი გამოიდეს და დანკანის ზუსტი სროლით ძირითადი დროის ამოწურვამდე 16 წამით ადრე 98:96 გავიდნენ წინ. დარჩენილ დროში დევიდ რობინსონი მელოუნზე ჯარიმდება, იუტელი ორივეს აცილებს, მაგრამ ანტუან კარი ამატებს და მატჩი ოვერტაიმში გაგრძელდა. აქაც ქულა ქულაზეა, მაგრამ ოვერტაიმის ბოლოს წინ იუტაა 108:103. აქ ჯეკსონმა სამქულიანი ჩააგდო და ამის მეტი სტუმრებმა ვერაფერი შეძლეს. მომდევნო ორი მატჩი სან ანტონიოში 9 და 10 მაისს გაიმართება.

**ირაკლი ფირაშვილი**

## წელსაც ისინი, ვინც შარშან...

დასახელდა დაცვაში ყველაზე მარჯვეთა ხუთეულები. ხუთეული ორია, ამათგან პირველი გასული სეზონის ხუთეულის ასლია და მასში ისევ ჩიკაგოელები მაიკლ ჯორდანი (53 ქულა გამოკითხვაში) და სკოტი პიპენი (44), ატლანტას ცენტრი და წლევანდელი სეზონის საუკეთესო დამცველი დიკემბე მუტომბო (48), სიეტლის გამთამაშებელი გერი პეიტონი (51) და იუტას სუპერთავდამსხმელი კარლ მელოუნი (24) მოხვდნენ. მეორე ხუთეულში არიან სანანტონიოელები დევიდ რობინსონი (18) და ტიმ დანკანი (21), ნიუიორკელი ჩარლზ ოკლი (19), ლეიკერსელი ედი ჯონსი (10) და ატლანტელი მუკი ბლეილოკი (23).

ჩიკაგოს ყოჩი მაიკლ ჯორდანი სარეკორდოდ, მეცხრედ მოხვდა პირველ ხუთეულში, სკოტი პიპენი მეშვიდედ. ასევე შვიდჯერ იყო დასახელებული „ჩიკაგო ბულზის" მესამე ლიდერი დენის როდმანი, ვისაც ამჯერად მეორეც არ აღირსეს.



ეროვნული

მსოფლიოს ჩემპიონატი

# რუსები ასე ჯერ არ შერცხვენილან

6 მაისი

C ჯგუფი

**შვედეთი — აშშ 6:1**

2:0, 2:1, 2:0

**შაიბები:** მ. იუჰანსონი (1:0), კ. იუნსონი (2:0), სმოლინსკი (2:1), რენბერგი (3:1), დალინი (4:1), ჰუუსკო (5:1), დალინი (6:1)

ამერიკელთა მწვრთნელ ჯიმ ჯეკსონს იმედები გაუცრუვდა. საუკეთესო ნჰლ-ელები ციურიხში არ ჩავიდნენ. შემონახული ადგილები კი არც ისე ძლიერმა ჰოკეისტებმა შეავსეს — ფილადელფიელმა ჯონ ჰოდინმა, მობერებულმა მცველმა ელ აიეფრეიტმა (სან ხოსე) და ნიუ ჯერსის მეორე მეკარემ მაიკ დანჰემმა. მათი შემატებით აშშ-ის ნაკრების თამაშს სასიკეთო არაფერი დაეტყო. ისე, სკანდინავიელები იმდენად სჯობდნენ მეტოქეს, რომ მათ ორი-სამი სუპერვარსკვლავიც ვერ გადაარჩენდათ. 30-ე წუთამდე ამერიკელები კიდევ ახერხებდნენ წინაალმდეგობას, მაგრამ რენბერგის შაიბის შემდეგ, ფაქტობრივად, ბრძოლა შეწყვიტეს. შვედთა შორის საუკეთესო ულფ დალინი იყო, რომელმაც ორ გოლს ამდენივე შედეგიანი პასი მიუმატა.

**შვეიცარია — საფრანგეთი 5:1**

1:0, 2:1, 2:0

**შაიბები:** ზაიტერი (1:0), სუტერი (2:0), კრამერი (3:0), ბოზონი (3:1), ჟენი (4:1), ჟენი (5:1)

ამერიკელებს, მიუხედავად უნიათო გამოსვლისა, მეორე ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი რჩებოდათ, თუ შვეიცარიელები მხოლოდ ორ-სამ შაიბიანი სხვაობით იმარჯვებდნენ. მაყურებელთა მხურვალე მხარდაჭერით შეგულიანებული მასპინძლები ფრანგების კარს გამუდმებით უტევდნენ, მაგრამ ბოლო წამებამდე ისინი სწორედ სამი შაიბით უსწრებდნენ მეტოქეს. მერე, როცა ფრანგებმა ისინი მოულოდნელად დაასაჩუქრეს და მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალეს, მასპინძელთა საუკეთესო ფორვარდმა ჟენიმ ცარიელ კარში შეაგდო და თავის გუნდს სწორედ ისეთი გამარჯვება მოუტანა, რომელიც სჭირდებოდა.

C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 3 | 0 | 0 | 16:4 | 6 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 2 | 9:10 | 2 |
| აშშ | 1 | 0 | 2 | 7:11 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 2 | 5:12 | 2 |

D ჯგუფი

**ყაზახეთი — ლატვია 2:7**

1:1, 0:5, 1:1

**შაიბები:** ბოროდულინი (1:0), ტამბიევი (1:1), ტამბიევი (1:2), ვიტოლინში (1:3), ოზოლინში (1:4), ზნაროკი (1:5), იზნატოვიჩი (1:6), კერჩი (1:7), ა. კორეშკოვი (2:7)

მესამე ადგილისთვის მებრძოლი გუნდები თავიდან თანაბარძალოვანნი ჩანდნენ, მაგრამ 31-ე წუთიდან, როცა ყაზახთა მეკარე ერემეევმა იოლი შაიბა გაუშვა, აზიელებმა ყურები ჩამოყარეს და მეორე პერიოდის დამთავრებამდე კიდევ ოთხი გოლით ახარეს მეტოქენი. აქედან ერთ-ერთი კოლორადოს ცნობილი მცველის სანდის ოზოლინშის ანგარიშზეა.

**რუსეთი — ფინეთი 4:2**

0:1, 3:0, 1:1

**შაიბები:** იკონენი (0:1), ბერეზინი (1:1), ბერეზინი (2:1), კოზლოვი (3:1), კოვალიოვი (4:1), კარალაჰტი (4:2)

ფინელთა მეკარე იარმო მიულისი ოლიმპიადის შემდეგ პაველ ბურესგან ისეა დაშინებული, ეტყობა, შოკიდან ჯერაც ვერ გამოსულა და რუსებთან ერთობ სუსტად ითამაშა — ოთხი გაშვებული გოლიდან ორი მაინც მის სინდისზეა. რუსებმა ეს მატჩი უფრო საიმედოდ და შეწყობილად ითამაშეს. ყოველ შემთხვევაში, დაცვაში ნაკლებად ცდებოდნენ, წინა ხაზში კი ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობით გამოირჩეოდნენ მათი ლიდერები — ტორონტოელი სერგეი ბერეზინი და ტურნირის საუკეთესო სნაიპერი ალექსეი კოვალიოვი, რომელმაც მეხუთე გოლი მიითვალა. ამ გამარჯვების წყალობით რუსები მეორე ეტაპზე შედარებით სუსტ ჯგუფში მოხვდნენ, სადაც ჩეხები, სლოვაკები და შვეიცარიელები არიან, ხოლო ფინელებს მეზობელ შვედებთან და კანადელებთან ბრძოლა უწევთ.

D ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 19:11 | 6 |
| ფინეთი | 2 | 0 | 1 | 12:4 | 4 |
| ლატვია | 1 | 0 | 2 | 12:15 | 2 |
| ყაზახეთი | 0 | 0 | 3 | 6:19 | 0 |

საკვალიფიკაციო ეტაპი

7 მაისი

E ჯგუფი

**კანადა — ბელარუსი 6:2**

0:0, 5:1, 1:1

**შაიბები:** კროსი 1 (1:0), გრეტონი 1 (2:0), უიტნი 3 (3:0), მიურეი 1 (4:0), სკაბელკა 1 (4:1), რუჩინი 1 (5:1), დ. პანკოვი 1 (5:2), ჟოვანოვსკი 2 (6:2)

კანადელთა თამაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ისინი ჯერჯერობით მთლიანად არ ამჟღავნებენ თავიანთ შესაძლებლობებს. ამჯერადაც პირველ პერიოდში აბსოლუტურად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. თქვენ წარმოიდგინეთ, გამოუცდელი ბელარუსები უფრო მწვავედაც კი უტევდნენ, მაგრამ კანადელებმა ოდნავ უმატეს ტემპს თუ არა, ხუთიოდ წუთში ყველაფერი გადაწყდა — მიურეისა და ბერტუცის კომბინაციის შემდეგ ანგარიში უკვე 4:0 იყო. უნდა ითქვას, რომ ბელარუსებს მეკარემ ერთობ უმტყუნა — ძალიან იოლად მოსაგერიებელი შაიბები გაუშვა. და მაინც, ძალისმიერი თამაშის მოყვარული პროფესიონალები ჯერჯერობით ერიდებიან ჩვეულ მკაცრ სტილს და მათი გოლები უმეტესწილად ლამაზი კომბინაციების შედეგია, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ ისინი ძალებს ზოგავენ.

**ფინეთი — შვედეთი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**შაიბა:** ოლუნდი 2 (0:1)

ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ შვედეთს მართლაც დიდი ბრძოლა გადახდა, რაც ფინეთთან შეხვედრაში მოულოდნელი არც ყოფილა. უნდა ითქვას, რომ ამჯერად „ტრე კრუნური" ისე სოლიდურად და თავდაჯერებულად არ გამოიყურებოდა, როგორც სჩვევია. ის კი არა, ფინელები უფრო აქტიურობდნენ და კარის აღების შესაძლებლობაც ბევრჯერ ჰქონდათ, მაგრამ შვედების მეკარე ტომი სალო, რომელიც წინა პირველობაზე საუკეთესოდ აღიარეს, კლდესავით იდგა (25 მოგერიება). 26-ე წუთზე ვანკუვერელი მცველის მათიას ოლუნდის შორეული დარტყმით შეგდებული შაიბა ერთადერთი აღმოჩნდა და შვედებმაც ორი ქულა მიითვალეს.

F ჯგუფი

**ჩეხეთი — სლოვაკეთი 1:0**

1:0, 0:0, 0:0

**შაიბა:** ფ. კუჩერა 3 (1:0)

ეს მატჩი უფრო დაძაბული და უკომპრომისო უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა: ჩეხებმა მეტოქეს უმალვე მოახვიეს თავს თავიანთი ტაქტიკა და ბოლო წუთამდე არ გაუშვიათ ხელიდან უპირატესობა. მეტოქენი ძალიან ფრთხილობდნენ და ყურადღება უფრო საკუთარი კარის დაცვაზე ჰქონდათ გადატანილი, ამიტომ სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა. მატჩის მიწურულს სლოვაკები ოდნავ გააქტიურდნენ, გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მათმა ფორვარდმა იანოშმა ორი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. ერთადერთი გოლი კი შეტევაში ჩართულმა მცველმა ფრანტიშეკ კუჩერამ გაიტანა წინა ღამეს ნიუ ჯერსიდან ჩასულ ტომაშ სიკორას ზუსტი პასის შემდეგ. ეს მე-11 წუთზე მოხდა.

**შვეიცარია — რუსეთი 4:2**

0:0, 2:0, 2:0

**შაიბები:** ჟენი 2 (1:0), კრამერი 2 2:0), ფიშერი 1 (3:0), ზაიტერი 2 (4:0), პეტროვი 2 (4:1), კოზლოვი 3 (4:2)

რას იფიქრებდნენ რუსები, რომ პირველი მატჩი იმედებს მწარედ გაუცრუებდათ. საუკეთესო ოქტეტში მოხვედრით ფრთაშესხმულმა ტურნირის მასპინძლებმა ეს მატჩი დიდი ჟინითა და ენთუზიაზმით ჩაატარეს და მთელი 60 წუთის განმავლობაში ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს რუსების სწრაფ ფორვარდებს. ჯერ კიდევ პირველ პერიოდში იგრძნობოდა, რომ შვეიცარიელები მეტოქეს კარგს არაფერს უქადდნენ, რაც მეორე პერიოდში კიდეც გაამართლეს. მათ ჟენის (1+1) და კრამერის (1+1) მიერ გათამაშებული ორი სწრაფი კომბინაციით რუსები ერთობ გაამწარეს. თუმცა ეს უკანასკნელნიც ხშირად აქტიურობდნენ, განსაკუთრებით რიცხვმრავლობაში და მიზანთანაც თითქოს ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ ბედი არ სწყალობდათ. მერე კი მცველთა უხეში შეცდომის შედეგად ზაიტერმა ანგარიში 4:0-მდე გაზარდა. რუსები ასე არასდროს შერცხვენილან. ეტყობა, ეს მასპინძლებმაც იგრძნეს და კეთილშობილურად მოიქცნენ — მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალება მისცეს. კოზლოვის გოლი რუსეთის ნაკრების ოფიციალურ თამაშებში საიუბილეო, მე-1000 გამოდგა, მაგრამ მათ ნამდვილად არ ეზეიმებოდათ.

**სამველ ლარიბიანი**

კონფერენციების ნახევარფინალი

# კოლციგი თურმე დიდი მეკარეა

დასავლეთი

**დალასი 1 ედმონტონი 0**

7 მაისი

**დალასი — ედმონტონი 3:1**

2:0, 0:1, 1:0

**შაიბები:** ზუბოვი 2 (1:0), ზუბოვი 3 (2:0), ზელეპუკინი 1 (2:1), კინი 3 (3:1)

კერტის ჯოზეფმა, როგორც იქნა, დაამტკიცა, რომ ჩვეულებრივი ადამიანია და არა რობოტი. კოლორადოსთან სერიაში ფანტასტიკური თამაშის შემდეგ მასაც დაღლა დაეტყო და პირველ რვა წუთში მცველ სერგეი ზუბოვის შორიდან დარტყმული ორი შაიბა გაუშვა, რითაც თანაგუნდელთა საქმე ერთობ გაართულა. შეგირდების უნიათობის შემყურე რონ ლოუმ თამაშის შემდეგ იხუმრა, ვგონებ, დებიუტში ჯერ კიდევ დენვერში ვიყავით და იმ გამარჯვებას ვზეიმობდითო. ნაყოფიერმა დასაწყისმა, ეტყობა, დალასი დაამშვიდა და სტუმრებმა თამაში თანდათან მეტოქეთა ზონაში გადაიტანეს. მეორე პერიოდში ედმონტონელთა უპირატესობა აშკარა გახდა, მაგრამ, ჯოზეფისგან განსხვავებით, დალასის დასვენებული მეკარე ედი ბელფორი საიმედოდ იდგა და ამიტომაც მასპინძელთა კარში მხოლოდ ერთი გოლი აღმოჩნდა. თუმცა, ძნელი სავარაუდოა, რით დამთავრდებოდა ეს მატჩი, 44-ე წუთზე პირველი რაუნდის გმირს მაიკ კინს კონტრშეტევის დროს გოლი რომ არ გაეტანა.

**ვაშინგტონი 1 ოტავა 0**

**ვაშინგტონი — ოტავა 4:2**

1:1, 1:0, 2:1

**შაიბები:** ალფრედსონი 4 (0:1), ზედნიკი 2 (1:1), ოუთსი 4 (2:1), ბონდრა 1 (3:1), ბელოუზი 3 (4:1), დაკელი 1 (4:2)

პლეი ოფში ახალი გმირები იბადებიან. მართალია, ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის, მაგრამ ვაშინგტონის წარმოშობით გერმანელმა მეკარემ ოლაფ კოლციგმა უკვე იმდენი გააკეთა თავისიანებისთვის, იგი წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთ მნიშვნელოვან აღმოჩენად ჩაითვლება. ოტაველ შონ მაკიჩერნს თამაშის შემდეგაც არ სჯეროდა, რომ კოლციგმა მისი ერთი მეტრიდან დარტყმული მოიგერია. მისი თანაგუნდელი ბრიუს გარდინერი კი გაოცებას ვერ ფარავდა, არასდროს ვიფიქრებდი, რომ კოლციგი ასეთი დიდი მეკარეაო. კოლციგის გუნდის ვეტერანებმაც აუბეს მხარი — ადამ ოუთსმა, პეტერ ბონდრამ და ბრაიან ბელოუზმა თითო-თითო გოლი მიითვალეს და საერთო საპლეიოფო მონაგარი 101 გოლამდე გაზარდეს (სათასო ისტორიაში ამდენი ოტავის მთელ გუნდს არ გაუტანია).



კოლციგი ალფრედსონსაც მაგრად დაუდგა

# ედი ჯორდანს ფული გადააყრევინეს

ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშება წლეულს 30-ედ ეწყობა. პირველი რბოლა პირინეის ნახევარკუნძულზე 1951 წელს იყო „პედრალებეს“ ტრასაზე და ლეგენდარული არგენტინელის ხუან-მანუელ ფანხიოს („ალფა-რომეო“) გამარჯვებით დასრულდა. „კატალუნია მონტმელოს“ ტრასა კი მერვედ უმასპინძლებს ავტოსპორტის ელიტას.

ეს ტრასა საკმაოდ მომქანცველია პილოტებისთვის და საბურავებსაც დიდი ჯაფა ადგათ, სწორედ ამიტომაც ენიჭება დიდი მნიშვნელობა პიტ-სტოპების სწორად დაგეგმვას. შარშან გუნდების უმეტესობამ 3-3-ჯერ მიიწვია პილოტები საწვავის შესავსებად და საბურავების შესაცვლელად.

შარშან შესანიშნავად ირბოლა ვილნევმა, მხოლოდ ორჯერ (ბოქსებში შესვლისას), ისიც თითო წრით დათმო პირველობა და საბოლოოდ 5 წამით აჯობა მეორეზე გასულ პანის, რომელმაც ასევე მშვენივრად იასპარეზა და სასტარტო მე-12 ადგილიდან რბოლა პოდიუმზე დაასრულა. აქვე თავისი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი წრის რეკორდი დაამყარა ფიზიკელამ.

რაც შეეხება წლევანდელ, საიუბილეო რბოლას, გარდა იუბილარისა, სხვა აღსანიშნი ფაქტებიც მრავლად იქნება კატალონიაში: „მაკლარენი“ 465-ედ მიიღებს მონაწილეობას რბოლაში, „ეროუსი“ - 310-ედ, ხოლო „მინარდი“ 210-ედ გამოვა საასპარეზოდ. ჟან ალეზისთვის ეს 140-ე რბოლა იქნება, ირვინისა და ფრენცენისთვის 70-ე. ფიზიკელა 30-ედ მიუჯდება ფორმულა 1-ის ბოლიდის საჭეს, ჩემპიონატის დებიუტანტები ტუერო და ტაკაჯი კი მეხუთედ გამოვლენ სტარტზე.

გუნდები შესანიშნავად იცნობენ ტრასას, რადგან მათი უმრავლესობა ზამთრის ტესტებს სწორედ კატალონიაში ატარებს. გასულ კვირასაც აქვე მოსინჯეს თავიანთი ბოლიდების მზადყოფნა. ტესტებმა კიდევ ერთხელ ცხადყო მაკლარენთა უპირატესობა.

საუკეთესო შედეგი ჰაკინენისა იყო 1.21,51, მეორე კულჰარდისა 1.22,28.

მეტად საყურადღებოა ახალგაზრდა ავსტრიელის ვურცის („ბენეტონი“) მესამე შედეგი 1.22,49. იგი მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა კულჰარდს, თუმცა კი ჰაკინენთან თითქმის 1 წამი წააგო. მაკლარენთა ძირითადი მეტოქე მიხაელ შუმახერი კი მხოლოდ მეექვსე გახლდათ 1.22,83.

ბარსელონაში ფიამ კიდევ ერთი ცვლილება შეიტანა ტექნიკურ მოთხოვნებში: აიკრძალა დამატებითი ფრთების გამოყენება. ამან ძლიერ გაანაწყენა ედი ჯორდანი, რადგან მის გუნდს ამ ტექნიკური ელემენტის დამზადება და ბოლიდზე მორგება 50000 გირვანქა დაუჯდა, ფულის ტყუილად ფანტვა კი გულზე ვის ეხატება.

გამოსაბოლქვი მილების ახალი, უფრო მაღლა მოთავსებული სისტემით იასპარეზებს „ფერარი“, თუმც კი ამ სიახლის ძველებურთან შედარებით უპირატესობაზე ლაპარაკი ნაადრევია. ვერც „უილიამსის“ ბოლიდების კონსტრუქციაში შეტანილ ცვლილებებზე ითქმის, დედა, რა ვნახეო.

პარასკევის თავისუფალ ვარჯიშზე მაკლარენის უპირატესობა აშკარა იყო. პირველი ჰაკინენი გახლდათ — 1.22,147, რომელსაც თანაგუნდელი 0,8 წამით ჩამორჩა. ყველასთვის მოულოდნელად მესამე დრო ზაუბერელი ჰერბერტისა იყო. შუმი მეხუთე იყო და 1,32 წამით ჩამორჩა ფინელს. ვილნევმა მხოლოდ მერვე, ლიდერზე 2,15 წამით უარესი დრო აჩვენა.

ასე რომ, პირველობისთვის ალბათ კვლავ „მაკლარენის“ დუეტი იბრძოლებს, ჩასათვლელ ექვსეულში დარჩენილი ადგილებისთვის კი „ფერარისა“ და „უილიამსის“ ძირითად მეტოქეებად შესაძლოა „ბენეტონის“ და „ზაუბერის“ ბიჭები ვიხილოთ.

**ალეკო ჟაბუკიანი**

## ფორმულა 1
### V ეტაპი
### ესპანეთის დიდი პრიზი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

10 მაისი, ბარსელონა, „კატალუნია მონტმელოს“ ტრასა
რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 16 საათზე
ტრასის სიგრძე 4.728 კმ; რბოლის დისტანცია 307,336 კმ




**1997 წლის შედეგები**

1. *ვილნევი* (უილიამს-რენო) 1:30.35,896 (200,34 კმ/სთ)
2. *პანი* (პროსტ-მუგენ-ჰონდა)
3. *ალეზი* (ბენეტონ-რენო)
4. *შუმახერი* (ფერარი)
5. *ჰერბერტი* (ზაუბერ-ფერარი)
6. *კულჰარდი* (მაკლარენ-მერსედესი)

საუკეთესო წრე: *ფიზიკელა* (ჯორდან-პეჟო) 1.22,242 (206,36 კმ/სთ)
პოული: *ვილნევი* (უილიამს-რენო) 1.16,525 (222,421 კმ/სთ)

**წინა წლების გამარჯვებულნი:**

1996 *მ. შუმახერი* (ფერარი)
1995 *მ. შუმახერი* (ბენეტონ-რენო)
1994 *ჰილი* (უილიამს-რენო)
1993 *პროსტი* (უილიამს-რენო)



# ღლაპების აღლუმი მარადიულ ქალაქში

რომი. იტალიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 926 250 $

მონიკა სელეშისთვის Foro Italico, იგივე იტალიის ღია პირველობა განსაკუთრებული ტურნირია. 1990-ში, ჯერ კიდევ 16 წლის იუგოსლაველმა გოგონამ ფინალში ლეგენდარული მარტინა ნავრატილოვას დამარცხებით პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა კარიერაში, მერე კი ასეთივე წარმატება როლან გაროსზეც გაიმეორა. მონიკა რომაული ტურნირის ფინალში მომდევნო ორი სეზონის განმავლობაშიც გადიოდა, თუმცა იქ იტალიელი მამაკაცების ფავორიტთან — გაბრიელა საბატინისთან მარცხდებოდა. შარშან კი, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ, მარადიულ ქალაქში გამოჩენილ აწ უკვე ამერიკელ სელეშს მაყურებელი ფეხზე ადგომით შეეგება.



სერენა უილიამსი

ახლა, პირველი ტრიუმფიდან 8 წლისა და 9 დიდი სლემის ტიტულის შემდეგ, მონიკა ის მონიკა აღარ არის. „ხანგრძლივმა პაუზამ 19 წლის ასაკში დაჭრის შემდეგ, მერე მამაჩემის ავადმყოფობამ (კაროლი სელეშს კიბო სჭირს) ჩემი ცხოვრება ძირფესვიანად შეიცვალა“ — მიაჩნია მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს. მართლაც, შესამჩნევად შესუქებული გვერდების გარდა, სელეშს ამჟამად ცხოვრებაშიც სხვა პრიორიტეტები გააჩნია: „მამაჩემს პირველ ადგილზე ვაყენებ. რა თქმა უნდა, ცოტა მეტის თამაში არ მაწყენდა, მაგრამ... ვნახოთ, იქნებ გაისად.“ სელეში რომის ტურნირის შემდეგ ამერიკაში აპირებს გაფრენას მშობლის სანახავად, ისევე როგორც როლან გაროსსა და უიმბლდონს შორის, თუმცა, მანამ, ტურნირის მეორე წრეში იტალიელი სილვია ფარინას დამარცხება არ გასჭირვებია 6:2, 6:1.

სელეშისგან განსხვავებით, იანა ნოვოტნას (2) რომთან ტკბილი მოგონებები ნამდვილად არ აკავშირებს: 1987 წლიდან მოყოლებული მას ტურნირზე ერთი მატჩიც არ მოუგია. ამჯერად ნავსი თითქოს უნდა გაეტეხა, მაგრამ ჩეხმა ფრანგ ალესანდრა ფუზაისთან შეხვედრის მეორე სეტში სამი მატჩ-პოინტი სამი უნებლიე შეცდომით დაანიავა, სამაგიეროდ კი ტრადიციისადმი ერთგულება შეინარჩუნა 6:2, 6:7 (6:8), 3:6.

დამარცხდა მეორე წრეში ტურნირზე მესამედ განთესილი სამხრეთაფრიკელი ამანდა კუტცერიც. ჩია ამანდას წარმოსადეგი გვარ-სახელის პატრონმა რუმინელმა რუქსანდრა დრაგომირმა აჯობა 6:2, 6:2.

**მეორე წრე: მარი პირსი (4, საფრანგეთი) — სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) 6:1, 6:2; ივა მაიოლი (8, ხორვატია) — იანა კანდარი (გერმანია) 4:6, 6:4, 6:4; ვინუს უილიამსი (9, აშშ) — მარია ანტონიო სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:1, 6:4; მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 3:6, 6:2, 6:2; ანა კურნიკოვა (14, რუსეთი) — ბარბარა პაულუსი (ავსტრია) 6:2, 6:2; სერენა უილიამსი (აშშ) — ჟოანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 5:1, ტრავმა.**

თინეიჯერთა შეტევა გრძელდება: რომის პრესტიჟული სათიხნარო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასული 8 ჩოგბურთელიდან ხუთს თვრამეტიც არ შესრულებია, მეოთხედფინალებიდან ერთში კი სულაც ერთი მეტად შავი (რა თქმა უნდა პირდაპირი მნიშვნელობით) ოჯახის ორი წევრი შეებმება ერთმანეთს.

„სატურნირო ბადე როცა ვნახე, იმედი გამიცრუვდა, მეგონა, ვინუსს ამჯერად მაინც ავცდებოდი ადრეულ ეტაპზე. ამაში რომ გაგვემართლებოდა, ერთმანეთს ფინალში შევხვდებოდით“ — ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე განაცხადა 16 წლის სერენა უილიამსმა მომდევნო წრეში უფროს დასთან დაჭიდების პერსპექტივის შესახებ.

სერენას ბაქიობის მიზეზი მართლაც აქვს — დიდ ჩოგბურთში შვიდი თვის წინანდელი დებიუტის შემდეგ კლასიფიკაციაში მთელი 400 საფეხურით წაიწია წინ (ახლა 31-ეა), გზად ბობოლათა მთელი ლეგიონი მოინადირა და ხუთშაბათსაც მორიგი მოულოდნელობის ავტორი შეიქნა — ოთხგზის ჩემპიონი და შარშანდელი ფინალისტი, ესპანელი კონჩიტა მარტინესი (7) ტურნირიდან გააგდო. ყველაზე შთამბეჭდავი კი ის არის, რომ აქამდე სერენას წითელ თიხნარზე მატჩიც კი არ ჰქონდა ჩატარებული: „საკუთარ თავს შთავაგონე, თიხნარი შენი საყვარელი საფარია-მეთქი და როგორც ხედავთ, გაჭრა“.

რაც შეეხება 17 წლის ვინუს უილიამსს, მას მერვედფინალში მეტად იოლი მეტოქე, ალესანდრა ფუზაი ჰყავდა და მოსაგებადაც სულ რაღაც 50 წუთი დასჭირდა 6:1, 6:1. დები ერთმანეთს ავსტრალიის ღია პირველობის მეორე წრეშიც შეხვდნენ, სადაც გამარჯვება უფროსს ხვდა წილად. „ვინუსს ჩემზე მეტი ძალა აქვს, მაგრამ, ვფიქრობ, მე უფრო ჭკვიანურად ვთამაშობ“ — არც აქ დაუმორცხვია სერენას (ისე, გუშინ საღამოს უფროსმა დაიკომ სერენას მეტად მწარე გაკვეთილი ჩაუტარა).

რაც შეეხება დანარჩენ ღლაპებს, 16 წლის ანა კურნიკოვამ როლან გაროსის თავგზააბნეული ჩემპიონი ივა მაიოლი (8) დაამარცხა 6:3, 3:6, 6:2, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა კი რუმინელი ირინა სპირლეა (10) 6:1, 6:2.

ყველაზე დიდი სენსაცია კი დღის ბოლოს 16 წლის ხორვატმა მირიანა ლუჩიჩმა მოახდინა, როცა შესანიშნავ ფორმაში მყოფ ფრანგ მარი პირსს (4) ორ სეტში 7:5, 6:4 მოუგო.

**მერვედფინალი: სანდრინ ტესტიუ (12, საფრანგეთი) — მონიკა სელეში 6:2, 4:6, 7:5; ლაიზა რეიმონდი (15, აშშ) — რუქსანდრა დრაგომირი 6:4, 6:1; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (5, ესპანეთი) — დომინიკ ვან რუსტი (13, ბელგია) 6:1, 6:2**

ჰამბურგი. გერმანიის ღია პირველობა (Super 9). ტარდება თიხნარზე. საპრიზო 2,45 მილიონი $

ქვა აღმართში დაეწიაო მარსელო რიოსზეა ზედგამოჭრილი. კლასიფიკაციაში პირველობის მოპოვებიდან დაკარგვამდე ერთი მატჩის ჩატარებაც კი ვერ მოახერხა იდაყვის ტრავმის გამო. როგორც იქნა, ასპარეზობას დაუბრუნდა და პირველივე შეხვედრაში გიგანტთმმუსრავ უეინ ფერერას გადაეყარა.

„იდაყვი ცოტათი მტკივა, მაგრამ თავს მაინც გაცილებით უკეთ ვგრძნობ, არც



უეინ ფერერა

იმედგაცრუებული ვარ იმით, რაც მოხდა. წესით როლან გაროსისთვის ფორმაში უნდა ჩავდგე“ — განაცხადა ჩილელმა სამხრეთაფრიკელთან 6:3, 4:6, 3:6 წაგების შემდეგ.

ისე, მარსელომ მატჩი ურიგოდ როდი დაიწყო, მაგრამ მეორე სეტის შუაწელში კარგა ხნის უთამაშებლობამ მაინც თავისი გაიტანა და შეცდომებიც თანდათან მოუხშირდა. მერე კი ფერერამ თავისი მკვლელი ფორჰენდი აამუშავა და დამსახურებული გამარჯვებაც მალე მოვიდა. „უბრალოდ, კარგ დროს შევხვდი, ტრავმის შემდეგ ფორმაში არ არის ჩამდგარი“ — ასე ახსნა მოგება ფერერამ, რომელმაც წლეულს სამპრასისა და რაფტერის განაწყენებაც მოასწრო.

როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონების შეხვედრაში 95-ისამ 96-სა გაანადგურა: ტომას მუსტერი — ევგენი კაფელნიკოვი 6:4, 6:2. მერე კი გულმოცემული ავსტრიელი მოშურნეებს დაერია: „ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემი ცოცხლად დამარხვა სურდეთ, ყველა მიკიჟინებს, პენსიაზე გადიო, მე კი კიდევ 3-4 წელი ვაპირებ თამაშს.“

**მეორე წრე: გრეგ რუზეცკი (2, ინგლისი) — ემილიო ალვარესი (ესპანეთი) 7:6 (7:3), 0:6, 6:3; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — მაიკლ ჩანგი (11, აშშ) 6:3, 6:7 (4:7), 6:2; ალბერტო ბერასატეგი (8, ესპანეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 6:3; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ტიმ ჰენმანი (12, ინგლისი) 6:3, 6:3.**

მერვედფინალში დიდი ბრძოლები ესპანელებმა გააჩაღეს. ალექს კორეჩას (4) წვიმის მიზეზით გადატანილი მატჩის გამო ხუთშაბათს ერთბაშად ორი სამსეტიანი შეხვედრის გამართვამ მოუწია და ორივეში გამარჯვებული დარჩა, მათ შორის როლან გაროსის ორგზის ჩემპიონ სერხი ბრუგერასთან (13) 6:7 (0:7), 6:4, 6:3. აი, ალბერტო ბერასატეგიმ (8) კი თანამემამულე ფელიქს მანტიასთან (9) შეხვედრაში ერთბაშად 13 (!) მატჩ-პოინტი და მესამე სეტში 5:1 უპირატესობა დაანიავა და 6:1, 6:7 (3:7), 6:7 (4:7) წააგო.

**მერვედფინალი: ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — უეინ ფერერა 6:3, 6:3; ტომას მუსტერი — იენს კნიპშილდი (გერმანია) 6:1, 6:4; გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) — ჰიშამ არაზი 6:1, 4:6, 6:2; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — რიჩარდ კრაიჩეკი (7, ჰოლანდია) 7:5, 7:6 (7:3); გორან ივანიშევიჩი (16, ხორვატია) — გრეგ რუზეცკი 6:4, 6:2; კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) — ფრანსისკო კლავეტი 6:2, 6:2**

**ავთანდილ სვანიძე**


## სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29